## დღეს საქართველომ პრეზიდენტი უნდა აირჩიოს! ყველანი არჩევნებზე!


# საქართველოს რესპუბლიკა

კვირა, 4 იანვარი, 2004 წელი

№2 (4731)

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. ფასი 50 თეთრი.


### ინფორმაცია

#### ევროპარლამენტმა გვირჩია



საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ნინო ბურჯანაძის ევროპარლამენტის წარმომადგენლებთან შეხვედრის მთავარი თემა საპრეზიდენტო არჩევნების ორგანიზებულად და გამჭვირვალედ გამართვა იყო. ჯგუფის ხელმძღვანელმა ბრიუს ჯორჯმა იმედი გამოთქვა, რომ არჩევნები სამართლიანი იქნება. თუმცა დასძინა, რომ შეიძლება იყოს გარკვეული ნაკლოვანებები, რაც არჩევნების მოსამზადებელი დროის სიმცირით შეიძლება აიხსნას.

საყურადღებოა, რომ ევროპამ საქართველოს ხელისუფლებას საპარლამენტო არჩევნების მარტისთვის შემდეგ მოწყობა ურჩია.

#### ადამ ერელი იმედოვნებს

აშშ იმედოვნებს, რომ დღევანდელი საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები საერთაშორისო დემოკრატიული ნორმების შესაბამისად ჩაივლის, განაცხადა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ადამ ერელმა.

მან იმედი გამოთქვა, რომ არჩევნების შედეგები „ქართველი ხალხის ნებას ასახავს“. არჩევნებს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის 450 დამკვირვებელი და დსთ 90 წარმომადგენელი დააკვირდება.

#### მუშაობის განსაკუთრებულ რეჟიმზე

ოთხი იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის შსს, უშიშროებისა და თავდაცვის სამინისტროები მუშაობის განსაკუთრებულ რეჟიმზე არიან გადასული.

როგორც პრაიმ-ნიუსს უშიშროების სამინისტროში აცნობეს, განსაკუთრებულ კონტროლქვეშ იქნება სტრატეგიული დანიშნულების ობიექტები.

შესაბამისი ორგანოები მაქსიმალურ სამუშაოებს ეწევიან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად, რათა არ მოხდეს რაიმე ექსცესი.

ამასთან, უშიშროების სამინისტრო ფლობს გარკვეულ ოპერატიულ ინფორმაციას, რომ ქვეყნის გარედან დაფინანსებული გარკვეული ელემენტები დივერსიების გზით არჩევნების ჩაშლას გეგმავენ.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრაიმ-ნიუსმა და ინტერ-პრესმა.

### გაზეთის მეგობრები

## გმადლობთ, მილოცვისთვის!



საახალწლო მილოცვებს წლეულს განსაკუთრებულად რომ ველოდით, არ დაგიმალავთ, ასე იყო.

თუმცა, არც შარშან გვქონია ნაკლები მოლოდინი: შობა-ახალი წელი უცვლელი სიდიდეა ყველა დროსა და ფორმაციაში.

პირველი მილოცვა გიორგი ხოსროევისგან მივიღეთ, საქართველოში სომხეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩისგან, ამას საქართველოს ელჩის ევროპის ხუთ ქვეყანაში გიორგი არსენიშვილის მოლოცვა მოჰყვა. მესამე „საპრიზო“ ადგილზე ავთანდილ იოსელიანი აღმოჩნდა — საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე. მეოთხე, ასევე „საპრიზო“ დეპეშა თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა დესპანმა ზურაბ გამეზარდაშვილმა გამოგვიგზავნა.

დროზე დაიჭირეს თადარიგი.

გმადლობთ, ბატონებო, პირველი სიხარულისთვის!

იხ. მე-2 გვ.

### თაობა

## 4 იანვარი — რწმენა და იმედი

კიდევ ერთი ახალი წელი გაგვითენდა, იმედისა და რწმენის 2004 წელი. და დღეს, 4 იანვარს, როდესაც ამა წლის ყველაზე მნიშვნელოვან მიჯნასთან ვდგავართ, უნებლიეთ მახსენდება ის დღე, ამ ახალ წელს რომ უძღოდა წინ...

გიორგობა ახლოვდებოდა, ყველა დღესასწაულის მობრძანებას ელოდა, ელოდა და ფორიაქობდა, რადგან გიორგობის დღესასწაულს გარდა სხვა რამესაც ელოდნენ ადამიანები...

ქალაქში უჩვეულო ხალხმრავლობა იყო, თბილისელები „თავისუფლების მოედნისა“ და რუსთაველის პროსპექტისკენ მიიჩქაროდნენ. მათ გარდა ამ ადგილებისკენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის ზღვა ხალხი მოედინებოდა ავტობუსებით, სამარშრუტო ტაქსებით, საკუთარი მანქანებით თუ ფეხით... გზად ზოგჯერ წინააღმდეგობასაც აწყდებოდნენ, მაგრამ არ უშინდებოდნენ.

იხ. მე-2 გვ.



### ცესკო

## ყველა საარჩევნო უბანი მზად არის

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ზურაბ ჭიაბერაშვილის განცხადებით, დღევანდელი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ყველა საარჩევნო უბანი მზად არის. როგორც მან გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, წინასწარი რეგისტრაციის მონაცემებით, საქართველოში ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად მზადყოფნა დააფიქსირა 1 739 000-მა ამომრჩეველმა.

ზურაბ ჭიაბერაშვილმა მოუწოდა ქართველ ამომრჩევლებს, აუცილებლად მივიდნენ უბნებზე და მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა, რათა „საფრთხე არ შეექმნას საქართველოს მომავალს და საქართველოს შემდგომ სტაბილურობას“.



„თუ საქართველოში არჩევნები არ შედგა, ანუ მასში მონაწილეობა არ მიიღო 50 პროცენტზე მეტმა ამომრჩეველმა, მაშინ არჩევნები კანონის თანახმად, ორი თვით გადაიწევს. შესაბამისად, ნებისმიერი ცვლილება სახელმწიფოში, რაც უნდა მოჰყოლოდა ახალი პრეზიდენტის არჩევას, გაჭიანურდება და საფრთხე შეექმნება სახელმწიფოს სტაბილურობას“, — მიაჩნია ჭიაბერაშვილს.

იხ. მე-2 გვ.

## მაშველები დაბრუნდნენ

ირანის ქალაქ ბამიდან დაბრუნდა ქართველ მაშველთა ჯგუფი, რომელიც იქ დამანგრეველი მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებს აწარმოებდა. მათი განცხადებით, მიწასთან გასწორებული ქალაქის ნანგრევებში ცოცხალი ადამიანების პოვნა პრაქტიკულად გამორიცხული იყო, თუმცა გუშინ ირანელებმა ორი ხანდაზმული ქალი ამოიყვანეს ნანგრევებიდან.



### ინტერპანორამა

გერმანელმა ექსპერტებმა, რომლებიც ამოწმებდნენ „ალ-ყაიდას“ ლიდერის ბენ ლადენის გამოსვლების უტყუარობას, შეძლეს, გამოეყოთ გამოსვლათა ხმოვანი ტექსტიდან ჩიტების გალობა და მოახერხეს ამ ფრთოსანთა იდენტიფიცირება. იტყობინებიან, რომ ამგვარი ჩიტები მხოლოდ ზოგიერთ რეგიონში ცხოვრობენ. ამგვარად მოხერხდა ბენ ლადენის ადგილსამყოფელის დადგენაც.



იაპონია ამცირებს გაეროს ბიუჯეტში გადარიცხვებს. აქამდე იგი ამ ორგანიზაციის ხარჯების თითქმის 20 პროცენტს ფარავდა და მხოლოდ აშშ-ს ჩამორჩებოდა სულ რაღაც ორი პროცენტით. დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს 10-10 პროცენტი შეაქვთ.

გაზეთის მეგობრები

# გმადლობთ, მილოცვისთვის!

(პირველი გვერდიდან)



თუმცა, არც „მომდევნო სიხარული" იყო პირველზე ნაკლები: მოსწრებაზე ხომ არ არის საქმე! გულწრფელი სურვილები – სიკეთის, გამარჯვების, ქვეყნის საკეთილდღეო პროფესიულ მოღვაწეობაში; ჯანმრთელობა, ბედნიერება!

ეს ის შემთხვევაა, როცა ერთი და იმავე სიტყვების გამეორება სულაც არ არის გაცვეთილი და დაშტამპული, მით უფრო, ბიუროკრატიული ვალის მოხდა ტრადიციის წინაშე – გულწრფელია და სიკეთით სავსე.

სწორედ ასეთი იყო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის გიორგი ბარამიძის და საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის თეიმურაზ ჩარკვიანის მისალოცი ბარათები, რომლებიც რედაქციაში 31 დეკემბერს მოიტანეს.

„სიხარული, ბედნიერება და წარმატებები დაგბედებოდეთ თქვენ, თქვენი ოჯახების წევრებსა და ახლობლებს, სრულიად საქართველოს", – გვწერს საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი გიორგი ჭანტურია.

თქვენც ამასვე გისურვებთ, ბატონო გიორგი.

სხვა ფასი აქვს, როცა ახალ წელს ექიმები ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს გისურვებენ. თქვენი იმედით ვართ და ვიქნებით, ბატონებო! – ამას ვეუბნებით აკადემიკოსებს – თამარ დეკანოსიძეს, ფრიდონ თოდუას და ონკოლოგიის ეროვნული ცენტრის პრეზიდენტს, პროფესორ რევაზ გაგუას.

ჭეშმარიტად კორპორაციული ერთობა, თანადგომა და ძნელი პროფესიული ჭაპანის წარმატებით გაწევის სურვილი ჩანს ყველა საახალწლო ბარათში, რომლებიც კოლეგებისგან მივიღეთ – გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას" მთავარი რედაქტორის ტატო ლასხიშვილისგან, საქინფორმის დირექტორის ზაზა ტალახაძისგან, ტელეკომპანია „მირის" ხელმძღვანელის ბადრი ნაჭყებიასგან, ტელეკომპანია „იბერიისგან", გაზეთ „ახალი ეპოქისგან", საერთაშორისო ახალი ამბების სააგენტო „ინტერ-პრესისგან", რადიო „იმედისგან", ტელეკომპანია „მეშვიდე არხის" ხელმძღვანელის გიორგი გაბესკირიასგან, ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდისგან „ოქროს ფრთა".

მადლობა კეთილი სურვილებისთვის, კოლეგებო, ყველას დიდი მადლობა – ვინც გამოგვიგზავნა მოსალოცი ბარათები და, მათაც, ვინც ვერ შეძლო ამის გაკეთება. გამარჯვებით გევლოთ ჟურნალისტის ეკლიან გზაზე, მკითხველი, მსმენელი, მაყურებელი გიმრავლოთ 2004 წელს!

შობა-ახალი წელი მოგვილოცეს სეოკის პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა და სეოკის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა, საქართველოს ეროვნული ზარაფხანის დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ, ფოთის საზღვაო ნავსადგურის უფროსმა ჯემალ ინაიშვილმა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტმა, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა, თბილუნივერსალბანკმა, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ალიკო შარაძემ და გენერალურმა დირექტორმა სერგო სურმანიძემ, სათნოების სახლმა „კათარზისმა", ავთანდილ წერეთელმა – „საქართველოს თამბაქოს წარმოება", სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ, საფეხბურთო კლუბმა „თბილისის „დინამომ" და თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის სამსახურმა.

ჩვენი გაზეთის პირველი იანვრის ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს მოქმედი პრეზიდენტის ნინო ბურჯანაძის და პრეზიდენტობის კანდიდატის მიხეილ სააკაშვილის მილოცვები „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტებისადმი.

ახალი წლის დადგომა, ტრადიციულად, მოგვილოცა პრეზიდენტმა შევარდნაძემ.

„საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ ყველას, ვინც გაგვიხსენა და კეთილი სურვილები არ დაიშურა ჩვენთვის!

ვუსურვებთ ყველას, რომ ახალი წელი სიკეთის, გამარჯვების, ხვავისა და ბარაქის მომტანი ყოფილიყოს ყველასთვის, ჯანმრთელობა და ბედნიერება თქვენ და თქვენს ოჯახებს, ჩვენო მეგობრებო!

**„საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები.**



დოკუმენტი

## საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

2003 წლის 30 დეკემბერი ქ. თბილისი

### „სუუამის მონაწილე სახელმწიფოთა განათლების სამინისტროებს შორის განათლების დარგში თანამშრომლობის შესახებ" ქ. იალტაში 2003 წლის 4 ივლისს ხელმოწერილი შეთანხმების დამტკიცებისა და ძალაში შესვლის თაობაზე

1. ძალაში შესვლის მიზნით დამტკიცდეს ქ.იალტაში 2003 წლის 4 ივლისს ხელმოწერილი შეთანხმება „სუუამის მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობებს შორის განათლების დარგში თანამშრომლობის შესახებ".

2. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ (თ. ჯაფარიძე):

ა) აცნობოს საქართველოს პარლამენტს ამ ბრძანებულების პირველ პუნქტში აღნიშნული შეთანხმების ხელმოწერის შესახებ.

ბ) შეატყობინოს სუუამის მონაწილე სახელმწიფოებს ამ ბრძანებულების პირველ პუნქტში აღნიშნული შეთანხმების ძალაში შესვლისათვის აუცილებელი საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი პროცედურის შესრულების შესახებ.

**ნინო ბურჯანაძე,**
**საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი.**

ცესკო

## ყველა საარჩევნო უბანი მზად არის



(პირველი გვერდიდან)

მისივე განცხადებით, არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლია იმ ამომრჩეველსაც, ვინც წინასწარი რეგისტრაცია დათქმულ ვადებში ვერ გაიარა. „ის ამომრჩეველი, ვინც 4 იანვარს არჩევნებზე გამოცხადდება, ჩვეულებრივი წესით გაივლის რეგისტრაციას და პარალელურად მისცემს ხმას", – განაცხადა ცესკოს თავმჯდომარემ. მისივე თქმით, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა აითვლება წინასწარ რეგისტრაციაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობას დამატებული 4 იანვარს გამოცხადებული ამომრჩევლის რაოდენობა, რომელიც საარჩევნო პროცესში მიიღებს მონაწილეობას.

4 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებისთვის საქართველოში გახსნილია 2850 საარჩევნო უბანი. ჭიაბერაშვილი აცხადებს, რომ ამ უბნებზე საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შეიცვალა კომისიების შემადგენლობები, რადგან ზოგიერთი კომისიის თავმჯდომარემ და მისმა წევრებმა საკუთარი ნებით დატოვეს თანამდებობები.

**ინტერ-პრესი.**

თაობა

## 4 იანვარი – რწმენა და იმედი

(პირველი გვერდიდან)

ხალხის გული ერთ რიტმში და ერთი იმედით ფეთქავდა, სწამდა, რომ ახალი ხელისუფლება გარდაქმნიდა ქვეყნის ცხოვრებას, ამუშავდებოდა გაჩერებული საწარმოები, ხალხს სამსახური და ხელფასი ექნებოდა; დააბრუნებდნენ მოპარულ მილიონებს და შეავსებდნენ ბიუჯეტს – ხალხს პენსია და დახმარება ექნებოდა. წვრილი ბიზნესი გათავისუფლდებოდა ზედმეტი ბეგარისგან...

თანაც ამის შესრულებას ერთ დღეში კი არ გვპირდებოდნენ უსისხლო რევოლუციის თავკაცნი: ეს ხალხს ეჭვს აღუძრავდა, იმედს გაუცრუებდა. ეს თანდათან უნდა მომხდარიყო.

თუ ახალი მთავრობა გვინერგავს მომავლის რწმენას და გვაიმედებს, რომ ყველაფერი ახლო მომავალში გამოსწორდება, სულიერადაც და ტერიტორიულადაც გამთლიანდება საქართველო, საზოგადოებას რაღა დარჩენია, გარდა იმისა, რომ იწამოს დანაპირების ჭეშმარიტება და იმედით მიიღოს მონაწილეობა დღევანდელ არჩევნებში...

ახალი წელი მოვიდა, არჩევნების დღეც დადგა.

მოდით, შევხვდეთ რწმენით და იმედით! იქნებ, ამჯერად მაინც გაგვიღიმოს ბედმა და „კვლავ გაიხაროს საქართველომა".

**ლევან ინასარიძე,**
**მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტის II კურსის სტუდენტი.**

ინფორმაცია

### მიხეილ სააკაშვილი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში

„ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი და პრეზიდენტობის ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატი მიხეილ სააკაშვილი, ყველასთვის მოულოდნელად, გუშინ დილით შინაგან საქმეთა მინისტრთან და შიდა ქართლის გუბერნატორთან ერთად ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ჩავიდა.

მიხეილ სააკაშვილი პირველად ცხინვალის ცენტრში გაჩერდა, სადაც ადგილობრივი ოსი ეროვნების მოსახლეობას შეხვდა. „ნაციონალური მოძრაობის" ლიდერის ცხინვალში გამოჩენისთანავე განსაკუთრებით გააქტიურდნენ ადგილობრივი სამართალდამცველები. განსაკუთრებული კონტროლი დაწესდა დე-ფაქტო სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ადმინისტრაციულ შენობაზე, თუმცა მიხეილ სააკაშვილს ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეხვედრა არც უფიქრია.

როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, სააკაშვილი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ვიზიტზე ცხინვალის ხელისუფლებას არც შეთანხმებია. ცხინვალის შემდეგ სააკაშვილი დიდი ლიახვის ხეობაში გაემგზავრა და სოფელ თამარაშენის საშუალო სკოლაში ადგილობრივ, ამჯერად ქართულ მოსახლეობასთან გამართა შეხვედრა.

სააკაშვილმა სწორედ თამარაშენში ყოფნისას განაცხადა, რომ ეს ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებია, რომელიც ცხინვალში და აფხაზეთის ტერიტორიაზე არ ტარდება.

ამასთან, იგი საპრეზიდენტო არჩევნების შესაძლო ჩაშლის საფრთხეზეც საუბრობდა. პრეზიდენტობის კანდიდატის განცხადებით, ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანია, ამომრჩეველთა მაქსიმალურად დიდი რაოდენობა მივიდეს არჩევნებზე, რათა არ ჩაიშალოს საპრეზიდენტო არჩევნები, რაც „საყოველთაო არეულობას და ომს გამოიწვევს".

### იური იაროვი პოზიტიურად აფასებს

დსთ ქვეყნების ოთხმოცზე მეტი დამკვირვებელი იმუშავებს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებზე.

ამის შესახებ აცნობა პრაიმ-ნიუსს შაბათს თბილისის აეროპორტში დსთ ქვეყნების აღმასრულებელმა მდივანმა იური იაროვმა.

მისი თქმით, დსთ მისიის დამკვირვებლები არჩევნების შედეგების წინასწარი მონაცემების შეფასებას უკვე ორშაბათისთვის შეძლებენ.

ამასთან, იაროვის თქმით, არჩევნებზე წინასწარი რეგისტრაციის პროცესი საკმაოდ ორგანიზებულად წარიმართა.

მან, ასევე, პოზიტიურად შეაფასა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, რომ საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაცია არჩევნების დღესაც განხორციელდება.

### ქელეხსაშვილმა მოხსნა კანდიდატურა

გუშინ, დღის მეორე ნახევარში საქართველოს პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა ზურაბ ქელეხსაშვილმა მოხსნა საკუთარი კანდიდატურა. მან ეს ნაბიჯი ახსნა პოლიტიკურ ძალთა ზეწოლით და, აგრეთვე, იმ უფლებათა დარღვევით, რაც მას, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატს, ჰქონდა მინიჭებული. მისი განცხადებით, ყველაფერ ამის მიზეზი დიქტატორული ხელისუფლება იყო.

ცესკოში განმარტეს, რომ ქელეხსაშვილი რჩება კანდიდატად, რადგან თავისი გადაწყვეტილების შესახებ კანონით მას გუშინ 12 საათამდე უნდა განეცხადებინა.

### მოძრაობის 500 დამკვირვებელი იმუშავებს

დღევანდელ საპრეზიდენტო არჩევნებს მოძრაობის „ახალი თაობა – ახალი ინიციატივის" 500-ზე მეტი დამკვირვებელი გაუწევს მონიტორინგს. ისინი იმუშავებენ როგორც თბილისის და საქართველოს მხარეების საარჩევნო უბნებზე, ასევე ნიუ-იორკში, მიუნხენსა და მოსკოვში გახსნილ უბნებში.

„ახალი თაობა – ახალი ინიციატივა" პროგრამებს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით და „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის" მხარდაჭერით ანხორციელებს. კერძოდ, მათი ეგიდით განხორციელდა ამომრჩევლის საგანმანათლებლო პროგრამა, არჩევნებში ახალგაზრდების გააქტიურების ხელშემწყობი პროგრამა („მოდი არჩევნებზე"), რომლის ფარგლებშიც მოეწყო შეხვედრები მხარეებში, დამზადდა ვიდეოკლიპები და ბეჭდვითი პროდუქცია.

მოძრაობა „ახალი თაობა – ახალი ინიციატივა", რომელიც 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ რამდენიმე ახალგაზრდული ორგანიზაციის ბაზაზე დაფუძნდა, მიზნად ისახავს სხვადასხვა დონის არჩევნების დემოკრატიულად და ცივილიზებულად გამართვის ხელშეწყობას და არჩევნებში საზოგადოების აქტიური მონაწილეობის ინიცირებას.

### საარჩევნო უბნებიდან გამოსულ ამომრჩეველს გამოკითხავენ

ამერიკული კვლევითი კომპანია „გლობალ სტრატეჯი გრუპი" 700-მდე ქართველ სოციოლოგთან ერთად, 4 იანვარს რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებზე, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარდა, საარჩევნო უბნებიდან გამოსულ ამომრჩეველთა გამოკითხვას მოაწყობს.

როგორც „არჩევნების მედია-ცენტრში" გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე „გლობალ სტრატეჯი გრუპის" წარმომადგენელმა სკოტ ელდერმა განაცხადა, საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდიკით მთლიანობაში 226 საარჩევნო უბანზე 10 ათასი ამომრჩეველი გამოიკითხება.

ელდერის განცხადებით, ექზიტპოლი – ეს არის დემოკრატიული პროცესი და საშუალებას აძლევს ხალხს, ნათლად დაინახოს, თუ რა ხდება საარჩევნო პროცესში.

მისი თქმით, გამოკითხვა იგივე მეთოდოლოგიით განხორციელდება, როგორც ეს 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებზე მოხდა.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: ინტერ-პრესმა, პრაიმ-ნიუსმა.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

### პერსპექტივა

**ბოლო წლებში მივეჩვიეთ იმის მოსმენას, რომ საქართველო მალე ნავთობის სატრანზიტო ქვეყნიდან დიდი ნავთობის მომპოვებელ ქვეყნადაც გადაიქცევა. ამაში დაბეჯითებით გვარწმუნებენ უცხოელი ინვესტორები, რომლებიც საქართველოს ნავთობის საბადოების ძიებასა და გახსნაში მილიონებს ხარჯავენ. რწმენა ერთია, მაგრამ რეალური შედეგები – მეორე. სწორედ ამის თაობაზე გადავწყვიტე გავსაუბრებოდი კომპანია „საქნავთობის“ თავკაცს, პროფესორ რევაზ თევზაძეს.**

## საქართველოს შეუძლია ადგილობრივი წარმოება და მოსახლეობა საკუთარი ნავთობით „გამოკვებოს“

**2003 წელს, წინა წელთან შედარებით, ქვეყანაში ნავთობის მოპოვება თითქმის ორჯერ გაიზარდა**

***— ბატონო რევაზ, ნავთობის მოპოვებასთან ჭიდილში კიდევ ერთმა შრომითმა წელმა განვლო. იქნებ გვითხრათ, როგორია ამ შრომის შედეგები?***

— საკმაოდ დამაიმედებელი. საკმარისია ითქვას, რომ წინა წელთან შედარებით 2003 წელს ნავთობის მოპოვების მოცულობა თითქმის ორჯერ გაიზარდა. ციფრებში ეს მაჩვენებელი 74 და 130 ათასი ტონის თანაფარდობაში გამოიხატება. ბუნებრივია, შესაბამისად გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტში ნავთობიდან მიღებული შემოსავლებიც.

***— რა თქმა უნდა, წარმატება თავისით არ მოსულა. როგორც ვიცი, ეს, ძირითადად, ნავთობის მრეწველობაში ახალი, დასავლური ტექნოლოგიების დანერგვამ განაპირობა.***

— მართალი ხართ, ეს უმთავრესად ჰორიზონტალური ბურღვის ახალი მეთოდის გამოყენების ხარჯზე მოხდა, რომელიც ნინოწმინდის საბადოზე ქართულ-ბრიტანულმა ერთობლივმა საწარმომ „ნინოწმინდა-კანარგომ“ განახორციელა. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: თუ ადრე ჭაბურღილში ნავთობის ყოველდღიური დებიტი 10-15 კუბმეტრს არ აღემატებოდა, ჰორიზონტალური ბურღვის გამოყენებით ეს მაჩვენებელი 200 კუბმეტრამდე გაიზარდა. ამ მეთოდით შარშან უკვე 4 ჭაბურღილი გაიბურღა, დაწყებულია მეხუთეც. ინვესტორი თანხებს არ ზოგავს, რადგან შედეგს ხედავს – საბადოზე ნავთობის სადღეღამისო მოპოვებამ ადრინდელი 100-ის ნაცვლად 500 ტონას გადააჭარბა.

ინტენსიური სამუშაოები წარმოებს სამგორი-პატარძეულის ნავთობის საბადოს შუაეოცენური ნალექების ვერტიკალური ჭაბურღილების ინტენსიფიკაციისათვის, რამაც ნავთობის მოპოვების მოცულობა შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაზარდა.

დიდი მოცულობის საინტენსიფიკაციო სამუშაოები შეასრულა ქართულ-ამერიკულმა კომპანია „ფრონტერამ“ პატარა შირაქის, მირზაანისა და ტარიბანის საბადოებზე. ამ უკანასკნელზე დაიწყეს ახალი ვერტიკალური ჭაბურღილის ბურღვა, რომლიდანაც გარკვეულ სიღრმეზე ჩასვლის შემდეგ, გაბურღავენ ჰორიზონტალურ ლულას. იმედოვნებენ, რომ ამ მეთოდით შეძლებენ ტარიბანის ნავთობის რესურსების ინტენსიურ დამუშავებას.

დიდად ნაყოფიერია ქართულ-ამერიკული კომპანია „ანადარკოს“ მოღვაწეობა შავი ზღვის შელფურ ნაწილში, რომელიც ფოთის სანაპიროდან იწყება და ბათუმამდე გრძელდება. დიდი მოცულობის წყალქვეშა სეისმური კვლევების საფუძველზე მიღებულია მეტად დამაიმედებელი შედეგები. კერძოდ, გამოყოფილია რამდენიმე ახალი ნავთობშემცველი სტრუქტურა, რომელთა რესურსი ერთ მილიარდ 150 მილიონი ბარელის ტოლია. აქედან გამომდინარე, ინვესტორს გადაწყვეტილი აქვს ზღვის სანაპიროდან 44 კილომეტრის დაშორებით გაბურღოს ჭაბურღილი, რომლის საპროექტო სიღრმე 4000-5000 მეტრი იქნება. მაგრამ იმის გამო, რომ მას 100 მილიონ დოლარამდე თანხა დასჭირდება, „ანადარკო“ მოლაპარაკებას აწარმოებს ახალ კონტრაქტორებთან, რომლებიც შეძლებენ ამ დიდი რისკის ფაქტორის ერთმანეთში გადანაწილებას. მიმდინარე წლის მარტში ისინი წარმოადგენენ ჭაბურღილის საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო მასალებს, რომელთა მიხედვითაც გადაწყდება ბურღვის დაწყების თარიღი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამით დაიწყება სრულიად ახალი ერა საქართველოს ნავთობის მრეწველობაში, რომელმაც საფუძველი უნდა ჩაუყაროს „შავი ოქროს“ მოპოვების პერსპექტივას შავი ზღვის შელფში.

***— სასიამოვნოა იმის მოსმენა, რაც გაკეთდა შარშან, მაგრამ უფრო საინტერესოა, როგორი პროგრამით გვეწვია ახალი წელი?***

— პროგრამა მართლაც საინტერესო გვაქვს. უპირველესად ეს შეეხება ნინოწმინდის საბადოს, სადაც გაგრძელდება შუაეოცენური ასაკის ნალექების ინტენსიური დამუშავება ჰორიზონტალური ბურღვის მეთოდით. იგივე მეთოდს დანერგავს ქართულ-შვეიცარული კომპანია „ივრის ველი“ სამგორი-პატარძეულის საბადოზე, სადაც ვვარაუდობთ, რომ ნინოწმინდის საბადოსთან შედარებით მეტ ეფექტს მივაღწევთ. ამის გარანტიას იძლევა ამ საბადოს ქანების კოლექტორული თვისებების უპირატესობა და სხვა გეოლოგიური კრიტერიუმები.

საკმაოდ საიმედო შედეგია მიღებული მანავის სტრუქტურაზე, სადაც გახსნილია სრულიად ახალი ნავთობგაზშემცველი ზედაცარცული ნალექები. წარმატებით მიმდინარეობს ბურღვა ნორიოში საბადოს პროდუქტიულობის დასადგენად.

დაბოლოს, როგორც უკვე ვთქვი, „ანადარკო“ დაიწყებს ახალი ჭაბურღილის პლატფორმით მშენებლობას და ბურღვას, რაც იმის საწინდარია, რომ დაიწყება შავი ზღვის შელფური ნაწილის ნავთობისა და გაზის საბადოების ათვისება.



***— მაგრამ არის იმის გარანტია, რომ ისეთ არასტაბილურ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, უცხოელი ინვესტორები კვლავ გააგრძელებენ ნავთობმომპოვებელ საქმიანობას?***

— პირველ რიგში, ამის გარანტად მიგვაჩნია საპრეზიდენტო არჩევნები, რომელმაც საფუძველი უნდა დაუდოს ქვეყნის მყარ სტაბილიზაციას. ამასთან, მიგვაჩნია, რომ ახალი ხელისუფლება განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდება ქვეყნის ნავთობისა და გაზის რესურსების ათვისებისა და ადგილზე გადამუშავების საკითხს, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღებისთვის.

წარმოდგენა რომ ვიქონიოთ იმაზე, თუ რა გაკეთდა ბოლო წლებში ამ მხრივ საქართველოში, რამდენიმე ფაქტისა და მაჩვენებლის დასახელებაც საკმარისი იქნებოდა. ამჟამად ქვეყანაში უცხოელ ინვესტორებთან ერთად შექმნილია 9 ერთობლივი კომპანია. 1995 წლიდან დღემდე მათ დააბანდეს 230 მილიონ დოლარზე მეტი ინვესტიცია, მოპოვებულია 950 ათას ტონაზე მეტი ნავთობი და 15,5 მილიონი კუბმეტრი გაზი, შესრულებულია 2670 გრძივი კილომეტრის სეისმური კვლევები, აქედან 2000 კილომეტრი – შავი ზღვის შელფურ ნაწილში. გაბურღულია 40 ათასი მეტრი ჭაბურღილი, ქვეყნის ბიუჯეტში შეტანილია 70 მილიონი ლარი.

ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ დიდია საქართველოს ნავთობით უცხოელი ინვესტორების დაინტერესება. ეს კი იძლევა იმის გარანტიას, რომ ქვეყანა მოკლე პერიოდში მიაღწევს ნავთობისა და გაზის მოპოვების იმ დონეს, რითაც ამ პროდუქტებზე თავის მოთხოვნილებას მთლიანად დაიკმაყოფილებს.

***— გვაქვს კი საამისო რესურსი?***

— როგორ არა გვაქვს. ქვეყანაში ბოლო ხანს განხორციელებული გეოფიზიკური და გეოლოგიური საძიებო სამუშაოების შედეგად დათვლილი ნავთობის რესურსი შეადგენს 2 მილიარდ 350 მილიონ ტონას, აქედან ზღვის შელფურ ნაწილზე მოდის 1 მილიარდ 150 მილიონი ტონა, დანარჩენი კი – ხმელეთზე. თუ გავითვალისწინებთ, რომ დღემდე საქართველოში მოპოვებულია სულ 27 მილიონ ტონამდე ნავთობი, ქვეყნის წინაშე უზარმაზარი პერსპექტივა იშლება.

***— და აქვე იბადება კითხვა – როგორია ნავთობის ადგილზე გადამუშავების პერსპექტივა? როგორც ჩემთვის ცნობილია, უკვე 10 წელია გაჩერებულია ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა, ხოლო „გაორიც“, რომელზეც დიდ იმედებს ვამყარებდით, რატომღაც „დუმს“.***

— სამწუხაროდ, ეს რეალობაა და მას გვერდს ვერ ავუვლით. ბათუმის ქარხანა უკვე ამორტიზებულია, ხოლო „გაორი“ არასწორი საგადასახადო პოლიტიკის გამოა გაჩერებული. თუ გვინდა, საქართველოში მოპოვებული ნავთობი ადგილზევე გადამუშავდეს, ქვეყანაში უნდა აშენდეს მაღალი ტექნიკის მქონე გადამმუშავებელი სიმძლავრეები, ანუ ამუშავდეს შიგასაწარმოები. ცხადია, ამისათვის სახელმწიფოში უნდა შეიქმნას მომპოვებელი და გადამმუშავებელი დარგების განვითარების ხელშემწყობი პირობები, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ წარმოება უნდა გახდეს უფრო მომგებიანი, ვინემ პროდუქციის ექსპორტი საზღვარგარეთ. ამის მაგალითად გამოდგება ამერიკელების მიერ სამი წლის წინათ აშენებული ერთობლივი საწარმოს „გაორის“ საქმიანობა, რომელმაც მხოლოდ 6 თვე იმუშავა და „მოულოდნელად“ არარენტაბელური, წამგებიანი გახდა. აქვე ვიტყვი, რომ პირველი 6 თვის განმავლობაში მან ბიუჯეტს ყოველთვიურად 2 მილიონამდე ლარი შემატა. თუ ეს პრობლემა მოგვარდება და ქარხანა ამუშავდება, სახელმწიფო ბიუჯეტი ყოველწლიურად 23-24 მილიონი ლარით გაიზრდება. დღეს თუ ქვეყანა ერთი ტონა ნავთობის ექსპორტიდან იღებს დაახლოებით 57 ლარს, იგივე ტონა ნავთობის ადგილზე გადამუშავება ბიუჯეტს მისცემს დაახლოებით 100 დოლარს. ნუთუ ამის გაანგარიშება ასე ძნელია?!

***— ბატონო რევაზ, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალ ხელისუფლებას ამის გაანალიზება არ გაუჭირდება.***

— ჩვენც მაგის იმედად ვართ. გვჯერა, 2004 წელი ამ დარგში, ისევე როგორც ქვეყნის მეურნეობის სხვადასხვა დარგებში, გარდატეხისა და აღმავლობის წლად შევა. „საქნავთობის“ შრომისმოყვარე, ტრადიციული კოლექტივი ულოცავს ქართველ ერს ახალი წლის დადგომას და უსურვებს ახალი, დამაჯერებელი წარმატებების მოპოვებას.

ესაუბრა
**ოთარ ხუციშვილი.**



ჭაბურღილი – საქართველოს პეიზაჟის აუცილებელი შტრიხი.

### გიორგი წერეთლის სასარგებლოდ

თბილისის მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის მეორე ტურის არჩევნებში, რომელიც 4 იანვარს გაიმართება, „საკავშირო-ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა გიორგი თორთლაძემ კანდიდატურა მოხსნა “ბურჯანაძე-დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერის, პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი წერეთლის სასარგებლოდ.

როგორც პრაიმ-ნიუსს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანმა დიმიტრი ქიტოშვილმა განუცხადა, თორთლაძე და წერეთელი ამჟამად ერთი პოლიტიკური გუნდის წარმომადგენლები არიან და მათი დაპირისპირება მაჟორიტარი დეპუტატის არჩევნებში მიუღებელი იქნებოდა.

ქიტოშვილის ინფორმაციით, გაზაფხულზე დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებზე “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და “ბურჯანაძე-დემოკრატების“ ერთიან პარტიულ საარჩევნო სიაში თორთლაძეც იქნება წარმოდგენილი.

### აჭარა მონაწილეობს არჩევნებში

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ზურაბ ჭიაბერაშვილის განცხადებით, 4 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები აჭარაშიც ჩატარდება, რადგან იქ უკვე გახსნილია საარჩევნო უბნები.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ზურაბ ჭიაბერაშვილმა განაცხადა, აჭარაში ექვსივე საარჩევნო ოლქის ყველა საარჩევნო უბანია გახსნილი.

ჭიაბერაშვილი “გადაუმოწმებელს“ უწოდებს იმ ინფორმაციას, თითქოს აჭარაში საარჩევნო უბნების გახსნის პარალელურად მიმდინარეობს არჩევნების ბოიკოტირების პროპაგანდა. ცესკოს თავმჯდომარე იმედს გამოთქვამს, რომ აჭარაში არჩევნები აუცილებლად ჩატარდება და საქართველო ახალ პრეზიდენტს აირჩევს.

აჭარაში საპარლამენტო არჩევნებისთვის 281 საარჩევნო უბანი იყო გახსნილი, ახლა კი, 265 საარჩევნო უბანია. ჭიაბერაშვილი ვერანაირ პრობლემას ვერ ხედავს იმაში, რომ აჭარაში წინასწარი რეგისტრაცია არ ჩატარებულა. მისი განცხადებით, აჭარაში ამომრჩეველთა რეგისტრაცია ხმის მიცემის პროცესში განხორციელდება.

ჩვენ ეს ყველაფერი დავუშვით იმიტომ, რომ აჭარა საქართველოს სამართლებრივი ჩარჩოებიდან არ გამოსულიყო, – აღნიშნა ჭიაბერაშვილმა.

### დამკვირვებლებად დარეგისტრირება უჭირთ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საარჩევნო ოლქები აჭიანურებენ „სახალხო მოძრაობა – ჩვენი აჭარის“ წარმომადგენლების დარეგისტრირებას დამკვირვებლებად.

როგორც პრაიმ-ნიუსს „სახალხო მოძრაობა – ჩვენი აჭარას“ ერთ-ერთმა ლიდერმა თამაზ დიასამიძემ განუცხადა, აჭარაში 265 უბანია, თითო უბანზე „ჩვენს აჭარას“ 2 მეთვალყურის დარეგისტრირება სურს, თუმცა იმის გამო, რომ ეს პირები არ არიან აკრედიტირებული უბნებზე, შესაძლოა, მათ პრობლემები შეექმნათ.

დიასამიძის თქმით, „დემოკრატიული აღორძინების კავშირმა“ ბოიკოტი გამოუცხადა არჩევნებს, თანაც საარჩევნო კომისიებს მთლიანად ეს პარტია აკონტროლებს.

**ინფორმაციები მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საუკუნე

საქართველოს რესპუბლიკა

№ 2, კვირა, 4 იანვარი, 2004 წელი.

მოგონებები



## ირაკლი აბაშიძე

# ზარები ოცდაათიანი წლებიდან

... და კიდევ, რომ არ ცოდნოდათ (ამბობენ, ნოსტრადამუსი უფრო მეორე მსოფლიო ომის დროს გახდა საფრანგეთში პოპულარულიო), რა კარგად ესადაგება ეს ყოველივე ამ ჩვენი ორი შესანიშნავი მწერლის რევოლუციისშემდგომ გუნება-ხასიათს, როცა უმთავრეს სლავურ ქვეყანაში მონარქიის მსხვრევას მოჰყვა არა ერთი „ñòî ëàñò è Äîãì àòèê è ëîæíû é ïðîðîê “.

„უდრტვინველი“, ჭირ-ვარამის „უდრტვირნველად გადამტანი“ – არავის ისე არ მიესადაგება ეს სიტყვები ქართულ იმდროინდელ ინტელიგენციაში, როგორც ლეო ქიაჩელს. რომ არაფერი ვთქვათ მისი უმძიმესი წარსულის გამო, მარტო მისი ოჯახური ტრაგედიების გახსენებაც კი შეზარავს კაცს. მაგრამ იგი არა ოხვრითა და წუთისოფლის ზეპირი საყვედურებით, არამედ მხოლოდ თავის შემოქმედებაში, თავის დიდებულ ქმნილებებში იჯერებდა გულს. ლეო ქიაჩელი ადამიანიც ისეთივე სამაგალითო და საკვირველი იყო, როგორც ოსტატი შემოქმედი. მართლაც, „მთის კაცი“ იყო.

* * *

რობაქიძის „მოკვეთა“ ოცდაათიან წლებში პირველი დარტყმა იყო არა მარტო მის ლიტერატურულ მეგობრებზე, არამედ მთელ ქართულ მწერლობაზე. განსაკუთრებით მის რევოლუციამდელ თაობაზე, მაშინ, როცა ეს თაობაც უკვე კარგა ხნის შემობრუნებული იყო ახალი სინამდვილისკენ. გავიხსენოთ ტიციან ტაბიძის ჯერ კიდევ 1928 წელს თქმული სიტყვები წერილიდან „ტოლსტოის დღეები“: „ოქტომბრის შემდეგ არათუ ახალი ადამიანები დაიბადნენ – ოქტომბრის წინ დაბადებული ხალხიც ხელმეორედ დაიბადა და მოინათლა ცეცხლით და ნიაღვრით... და მეც ჩემს თავზე ვაკვირვებდი ამ მეორე ადამიანს, ახალ კაცს, ახალი გრძნობითა და შთაბეჭდილებითო“.

დღეს ერთი ნიჭიერი და სერიოზული ლიტერატორიც კი წერს, რომ ზოგ-ზოგი მწერალი იძულებული იყო ხარკის სახით ეპოქისთვის მიეგდო მცირე რამ ნაწარმოებიო. სწორია ვითომ ეს? აბა, ერთი თქვენც სინჯეთ ახლა ვისმეს „მიუგდოთ“ ისეთი სქელტანიანი რომანები, როგორიცაა „ბელადი“ და „ვაზის ყვავილობა“ ან მთელი პასაჟები „მთვარის მოტაცებიდან“ (აი, რას წერს ამის გამო ერთ თავის წერილში გრიგოლ რობაქიძე: „წავიკითხე პირველი წიგნი გამსახურდიას ტრილოგიისა, ორი დანარჩენი დაამთავრა თუ არა, არ ვიცი... ეგებ თვალთმაქცობდა იგი, როცა ამ წიგნს წერდა? არა. მე დარწმუნებული ვარ: იგი გულით იყო მოწადინებული სწვდომოდა მხატვრულად აღებულ საგანს. ვერ მოახერხა? ეს მხოლოდ იმის გამო, რომ აქ მას თუმცა „გულწრფელს“ აკლდა „ნამდვილობა“), ან პოეტური „გორი“, შექმნილი „ნიკორწმინდის“ ავტორის ფუნჯით; ან „ბავშვობა და ყრმობა“ იმავე კალმით, რომლითაც იწერებოდა „ნინოწმინდის ღამე“. წაიკითხეთ ეს ყოველივე ერთხელაც დღეს და მათთან ერთად ბევრი სხვა რაიმეც (გინდაც ჩემი „წულუკიძის სიკვდილი“). არ არის მათში, პირველ რიგში, დახატული ჩვენი ქვეყნის სურათები და გაცხადებული სამშობლოსადმი ერთგულება და სიყვარული?

მაშ – იკითხავს დღევანდელ თაობათა ადამიანი – რისთვის, ვისთვის იყო საჭირო შემდგომ, ოცდაათიანი წლების მიწურულში, ასეთი გამოჩენილი ადამიანების, ასეთი, უკვე საკუთარი ინტელიგენციის შერისხვა და დევნა?

მართებულად წერს ავტორხანოვი პიროვნების კულტის ეპოქაზე – მტერი თუ არ არსებობდა, მას იგონებდნენო. აქ სხვისი აზრების მოტანა მე რად მჭირდება: მომაქვს მხოლოდ იმიტომ, რომ იმ წლების ეს ბევრისთვის საბედისწერო სენი სხვასაც ბევრს აქვს შემჩნეული. მე კი აქ ჩემდათავად დავუმატებ, რომ ამ საქმეში უკანასკნელ როლს როდი თამაშობდა ქვეყნის უმაღლეს ხელმძღვანელთა ავადმყოფური პანიკიორობა, როცა ყველგან და ყველაფერში, ყოველდღე და ყოველ საათს ღალატი, ჯაშუშობა და შეთქმულება ეჩვენებოდათ. იყო სრული უნდობლობა თვით უერთგულეს ადამიანთა მიმართაც. ოცდაათიან წლებში საბჭოთა კავშირის უმაღლესი ტრიბუნიდან ითქვა – გაშლილი სოციალისტური მშენებლობის დროს კლასთა ბრძოლა მძაფრდებაო. ყოველივე ეს კი უსაზღვროდ უწყობდა ხელს დანაშაულებრივი ერთპიროვნული დიქტატურის განმტკიცებას ცენტრში და ადგილებზეც.

ინფორმაციის საშუალებები – პრესა, რადიო (ტელევიზია ჯერ კიდევ არ არსებობდა) ქვეყანას აწვდიდნენ მხოლოდ ერთი მხარის, მხოლოდ სამთავრობო ინფორმაციებს; რაიმე სხვა, მეორე მხარის არსებობის შესახებ ხალხმა პირწმინდად არაფერი იცოდა. ხალხი იჯერებდა მხოლოდ ამ ცნობებს და ბოლოს მას სხვაგვარად ვერაფერი წარმოედგინა.

ახლოვდებოდა მეორე მსოფლიო ომი.

* * *

ოცდაათიანი წლების მთავარი მოვლენათაგანი იმ პირველსავე წლებში საბოლოოდ გაფორმდა და გერმანიის ხელისუფლების სათავეში რაიხსტაგის ხანძრისა და დიმიტროვის პროცესის შემდეგ მოვიდა და განმტკიცდა. ფაშიზმი, რომლის ბელადმაც თავიდანვე განუცხადა თავის ხალხს – მე განთავისუფლებთ თქვენ ქიმერისაგან, რასაც სინდის-ნამუსი ეწოდებაო და ამის მაგალითს იგი თვითონ პირველი იძლეოდა (თუმცა დღეს ზოგი რუსი მეცნიერი ამაზე უფრო ადრე ლენინის ნათქვამსაც იხსენებს: «Ì û â âå÷í óþ í ðàâñòâåí í î ñòü í å âåðèì è îáì àí âñÿêèõ ñêàçîê î í ðàâñòâåí-í î ñòè ðàçîáëà÷àåì »). ამით საბოლოოდ იმ ათეული წლების პირველსავე წელს გამოიკვეთა მომავალი დიდი მსოფლიო კატასტროფის ორი მთავარი, ორი ძირითადი მონაწილე მხარის, ორი ძირითადი, დაპირისპირებული იდეოლოგიის აშკარა სახე. თუმცა, როგორც დღეს ზოგი ისტორიკოსი გვეტყვის, სტალინს ჯერ კიდევ არ სჯერა, რომ რუსეთს საშიშროება სწორედ იქედან, გერმანიიდან ემუქრება; იგი ამ საშიშროებას ოციანი წლების ინერციით ინგლისიდან თუ საფრანგეთიდან მოელის.

ერთმანეთის პირისპირ სამკვდრო-სასიცოცხლოდ დგებოდა ორი უდიდესი დიქტატორი. ჩვენი თანამედროვე მსოფლიო ისტორიისა და ჩემი თაობის გამოცდილებით, დიქტატორები სახელმწიფოების სათავეში, როგორც წესი, თავდაპირველად, ხალხის მხსნელის, ხალხის თავისუფლების, სახალხო ბედნიერების უკეთილშობილესი ლოზუნგებით და დროშებით მოდიან ხოლმე, როცა ქვეყანას ალტერნატიული გზა აღარ გააჩნია. ხალხის დაბრმავების, ხალხის დაყრუების, ხალხის გამოთაყვანების ეპოქებში. ყველა რასაკვირველია არა, მაგრამ დიქტატორების უმეტესობა პარანოიკები არიან და, როგორც ჩანს, ამ სნეულების ხარისხზეა დამოკიდებული, რა ხნის მანძილზე გამოაჩენენ ისინი თავის ნამდვილ ეშვებსა და კლანჭებს.

ზოგიერთი დიქტატორი, თუ იგი მართლაც დაბადებით ნამდვილი სახელმწიფოებრივი კაცია, შეპირებისამებრ მართლაც ააყვავებს ხოლმე თავის ქვეყანას, როგორც აგერ ჩვენი თაობის თვალწინ მოხდა ესპანეთში; მაგრამ არიან ისეთი შემთხვევითი პატარა კაცუნები, თუნდაც არჩევნებით ქვეყნის სათავეში მოხვედრილი ავანტიურისტები, რომელთაც აღშფოთებული ხალხი დიქტატორის სახელს შეარქმევს (ბოლოს და ბოლოს მაინც სახელმწიფოებრივ, მაინც რაღაც კაცურ სახელს). ისინი კი მხოლოდ მანიაკები, მხოლოდ და მხოლოდ სადისტები არიან.

გაქანებული ტემპით იცვლებოდა მთელი საბჭოთა კავშირი სამხედრო ბანაკად.

* * *

იმ ათეული წლების ჩვენი ქვეყნის ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ისიცაა, რომ უკვე საკმარისი აღარ აღმოჩნდა სოციალიზმის, კომუნიზმის მხარდამხარ დადგომა. ახლა ერთპიროვნულმა დიქტატურამ ცენტრში და ადგილებზე მოითხოვა კონკრეტული ხელმძღვანელის, კონკრეტული კაცის გვერდით ულაპარაკო ამოდგომა და ზოგჯერ მხოლოდ ეს და სხვა არაფერი; რისი სოციალიზმი, რისი კომუნიზმი!.. კონკრეტულად საქართველოში კი მხოლოდ ეს, მხოლოდ პირადი თანადგომა და უსიტყვო ერთგულება, სხვა აღარაფერი, სხვა აღარაფერი...

აქ კი ორიოდე სიტყვა ვთქვათ თვით კომუნისტურ პარტიაზეც.

პირველ ყოვლისა გავიხსენოთ, რომ ოცდაათიანი წლების დასაწყისშივე „ნეპის“ გაუქმებისთანავე რატომღაც მკაცრად შეწყდა კომუნისტური პარტიის რიგებში ახალი წევრების მიღება. უკიდურესი გამონაკლისი შეიძლებოდა მხოლოდ რომელიღაც მძიმე ინდუსტრიის მუშებისათვის. ინტელიგენციის მიღების საკითხი საერთოდაც არ განიხილებოდა. პარტიაში მიღება განახლდა მხოლოდ ოცდაათიანი წლების მიწურულში, როცა მასიური რეპრესიების შედეგად, პირველ რიგში, განსაკუთრებულად დაზარალდა თვითონ კომუნისტური პარტია. ახლა სასწრაფოდ გაიღო პარტიის კარები და მასიურად დაიწყო მის რიგებში მიღება, ახლა უკვე ინტელიგენციისაც, რადგანაც იმ წლებში კომუნისტური პარტია პირველ რიგში ინტელიგენციისგან დაიცალა. ახლა ჩვენ ხელგაშლილად გვეპატიჟებოდნენ კიდეც პარტიაში, თორემ, აბა ვინ იტყვის, რომ პარტიის კარების გახსნას წლების განმავლობაში მოუთმენლად ელოდნენ და უცდიდნენ, ჩვენზე რომ აღარაფერი ვთქვათ, დრამატურგი, უკვე მოხუცი შალვა დადიანი, მეცნიერი, დრეკადობის თეორიის ერთ-ერთი შემოქმედი ნიკო მუსხელიშვილი, თბილისის საოპერო თეატრის პრიმა-ბალერინა ლილი გვარამაძე. ასე ერთბაშად შეივსო ინტელიგენციით საქართველოს კომუნისტური პარტია მეცნიერებით, მწერლებით, ჟურნალისტებით, ხელოვნების მოღვაწეებით, ინჟინრებით, მედიცინის მუშაკებით, აგრონომებით, მასწავლებლებით, ბიბლიოთეკარებით, გამომცემლობების თანამშრომლებით...

მაგრამ აქვე ხაზი გავუსვათ იმასაც, რომ სწორედ იმ ოცდაათიანი წლებიდან კომუნისტური პარტიის წევრობა უკვე აღარ არის ადამიანის იდეური პრინციპებისა და მისწრაფების, ადამიანის პოლიტიკური მრწამსის საკითხი. კომუნისტური პარტიის წევრობა აღარ ნიშნავს იმას, რომ შენ თავგამოდებით ისწრაფვი და გჯერა კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისა; ინტელიგენციის აბსოლუტური უმრავლესობა, თუ ყველა არა, ამ მიზნით არაა აღგზნებული პარტიაში. ამიერიდან პარტიაში შესვლა უბრალოდ ნიშნავს შენი ადგილის დაჭერას ცხოვრებაში, მით უფრო მოწინავე საზოგადოებაში; ნიშნავს იმას, რომ შენ უკვე მომწიფდი, დასრულდი და ფეხი შედგი ხალხში; ის აღარაფერს ნიშნავს, ხარ თუ არა შენი ადამიანური მონაცემებით, შენი ბუნებით რაიმე პარტიულობისკენ განწყობილი. ერთი სიტყვით, ოცდაათიანი წლებიდან კომუნისტური პარტიის წევრობა სრულიადაც არ ნიშნავს, იყო კომუნიზმის იდეით შეპყრობილი. რაც შეეხება საერთოდ კომპარტიებს, ნელ-ნელა მთელ საბჭოთა კავშირში მინელდა პარტიის საბოლოო მიზანზე, სოციალიზმსა და კომუნიზმზე ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი, იგი პირველი პლანიდან გადადგა უკან, რომელიღაც პლანზე და საბჭოეთის ყველა რესპუბლიკის კომპარტია არსებითად შეუდგა თავისი ხალხისა და სახელმწიფოს საქმეების მოგვარებას თავისი ეროვნული ინტერესების მიხედვით. ამ პროცესსაც სათავე სწორედ იმ ოცდაათიანი წლებიდან დაედო.

(გაგრძელება იქნება).



დიმიტრი მჭედლიძე, სიკო დოლიძე, ირაკლი აბაშიძე.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ 338-350.

## ობიექტივში ახალი წლის ღამე



ბევრი პარიზელი ახალ წელს რომანტიული ხვევნა-კოცნით შეხვდა: სიყვარული – უპირველეს ყოვლისა!





არ გაუმართლა შოტლანდიის დედაქალაქ ედინბურგის მცხოვრებთ – ცუდი ამინდის გამო ყველა საახალწლო ღონისძიება გადაიდო.



ნიგერიელი მუსულმანი ქალები ქვეყნის დედაქალაქის ლაგოსის პლაჟზე ახალ წელს ჯანმრთელობისა და აყვავებისათვის ლოცულობდნენ.





ბევრ ქვეყანაში ახალ წელს უშიშროების გაძლიერებული ზომებით ხვდებოდნენ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!



# „ცივი ომი“ საქართველოს გამო

**„ახალი ცივი ომი“ – ბრიტანული გაზეთ „გარდიანის“ კორესპონდენტმა ჯონათან სტილმა ასე დაახასიათა ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ბრძოლა საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე ზემოქმედებისათვის, სადაც კვირას უნდა გაიმართოს პრეზიდენტის არჩევნები.**

„ახალი“ იმიტომ, რომ სსრ კავშირის დაშლის შემდეგ ორი სახელმწიფოს მეტოქეობას უკვე აღარა აქვს გლობალური მასშტაბი. წინანდელი აშკარა მტრული ურთიერთობა ახლა შეცვალა რთულმა მანევრირებამ.

ვაშინგტონმა შეძლო გაეფართოებინა ძველი ანტირუსული ალიანსი – ნატო. ჯერ კიდევ კლინტონის ადმინისტრაციის დროს, ამერიკელებმა ყურადღება გადაიტანეს რუსეთის სამხრეთ საზღვრებზე ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში. უკვე მაშინ დაისახეს ამერიკელებმა მიზნად ის, რომ მაქსიმალურად შეემცირებინათ მოსკოვის პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენა.

საამისოდ შესაფერისი პარტნიორი აღმოჩნდა საქართველო, რომლის პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე იჩენდა სრულ მზადყოფნას გაეთვალისწინებინა დასავლეთის ესა თუ ის მოთხოვნა. საქართველოს მოაწყდა უზარმაზარი ფინანსური დახმარება და იგი გახდა მეორე ქვეყანა ისრაელის შემდეგ, რომელიც სულ მოსახლეზე გაანგარიშებით იღებდა ყველაზე მეტ დახმარებას ამერიკელებისგან.

ალბათ, საქართველოსთვის უკეთესი იქნებოდა, მას რომ ფეხზე დადგომაში დახმარებოდნენ ისეთი დამოუკიდებელი, არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორიც არის გაერო და არა ამერიკა, იმპერიული ამბიციებით შეპყრობილი სახელმწიფო, მიაჩნია „გარდიანის“ მიმომხილველს.

თუმცა, შევარდნაძის 10-წლიან მმართველობის პერიოდში ქვეყანაში პროგრესული რეფორმები ვერ განხორციელდა. საქართველო დღესაც არის პოსტკომუნისტური წყობილების ერთ-ერთი ყველაზე უარესი ნიმუში.

„პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციამ არა მარტო განაგრძო რუსეთის ზემოქმედების შემცირებისათვის გამიზნული კლინტონისეული სტრატეგიის განხორციელება, არამედ, კიდევ უფრო გააძლიერა იგი. ვლადიმერ პუტინს სურდა, რომ ამერიკელები დუმილით შეხვედროდნენ ჩეჩნეთში რუსეთის წარუმატებელ ომს, ამის სანაცვლოდ კი ვაშინგტონმა მიიღო მოსკოვის თანხმობა ცენტრალურ აზიაში ბაზების მშენებლობისათვის.

ამ საქმეში ამერიკელებს დიდი დახმარება გაუწია მსოფლიო ტერორიზმის საფრთხემ. მართალია, ეს ბაზები ამერიკელებმა შექმნეს როგორც ავღანელი თალიბების წინააღმდეგ გამიზნული დროებითი სამხედრო ობიექტები, მაგრამ ისინი აპირებენ შეინარჩუნონ ბაზები რუსეთის, ჩინეთისა და ახლო აღმოსავლეთის წინააღმდეგ მათი შესაძლო გამოყენების მიზნით“, – წერს „გარდიანი“.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აიძულეს დასავლეთის კომპანიები, რუსეთისათვის გადაეკეტათ კასპიის ნავთობის მოპოვებაში მონაწილეობის გზები, ამერიკელებმა მიაღწიეს იმას, რომ ნავთობის სატრანზიტო მილსადენებს არ გაევლოთ რუსეთის ტერიტორიაზე.

„გარდიანის“ კომენტატორი წერს: ვაშინგტონმა შევარდნაძე „გაწირა“ არა იმიტომ, რომ ქვეყანაში გააყალბეს ნოემბრის არჩევნები. არანაკლები გაყალბება აღინიშნა მეზობელ აზერბაიჯანში პრეზიდენტის არჩევნების დროს, თუმცა ამას ამერიკელების პროტესტი თითქმის არ გამოუწვევია.

ნამდვილი მიზეზი გახდა საქართველოში არასტაბილურობის ან სამოქალაქო ომის გაჩაღების საფრთხე იმ შემთხვევაში, თუ აჯანყებული ოპოზიცია სწრაფად არ მიაღწევდა დასახულ მიზანს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმანაც, რომ შევარდნაძე რეალისტი იყო და მას კარგად ჰქონდა შეგნებული, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა რუსეთთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას.

ბუშის ადმინისტრაციის განრისხება გამოიწვია იმან, რომ რუსეთის „გაზპრომის“ კომპანიამ საქართველოსთან დადო გრძელვადიანი გარიგება ქვეყანაში ენერგოშემცველების მიწოდების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის ახალმა ლიდერებმა – სააკაშვილმა და ბურჯანაძემ – მაშინ გაილაშქრეს „გაზპრომთან“ მოლაპარაკების გამართვის წინააღმდეგ.

თუ კვირას გამართული არჩევნების შედეგად ისინი განიმტკიცებენ ხელისუფლებას, შესაძლოა, მოვლენები განვითარდეს ორი სცენარით: ან თბილისში ხელისუფლების სათავეში მოსული ახალი გუნდი დაადგება ანტირუსული ნაციონალიზმისა და კონფრონტაციის გზას, ან კიდევ შეიგნებს, რომ კავკასიაში ახალი ცივი ომის გაჩაღება არანაირ სარგებელს არ მოუტანს საქართველოს, დაასკვნის „გარდიანში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ჯონათან სტილი.



# ფხენიანი დათანხმდა ამერიკელი ექსპერტების მიერ იონბენის ბირთვული რეაქტორის შემოწმებას

**კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა დათანხმდა მიიღოს ამერიკელი ექსპერტების ჯგუფი თავის ბირთვულ ობიექტში – იონბენის რეაქტორში. სპეციალისტების ვიზიტი, რომელთა დელეგაციის შემადგენლობაში შევლენ ბირთვული სფეროს თვალსაჩინო მეცნიერი და რამდენიმე დიპლომატი, 2004 წლის 6 იანვრისთვის არის დაგეგმილი.**

ეს გახდება უცხოელი სპეციალისტების პირველი ჩასვლა ატომურ ელექტროსადგურში მას შემდეგ, რაც ერთი წლის წინ ჩრდილოეთ კორეა იძულებით დაატოვებინეს საერთაშორისო ექსპერტებს.

როგორც ამერიკული გაზეთი „იუ-ეს-ეს-თუდეი“ წერდა, ვაშინგტონი კმაყოფილებით შეხვდა ასეთ გადაწყვეტილებას. კომისიის შემადგენლობაში შევა სიგ ჰეკერი – ლოს-ანჯელესის ეროვნული ლაბორატორიის ყოფილი დირექტორი, სადაც დაამზადეს პირველი ატომური ბომბები.

ჰეკერის გარდა, დელეგაციის შემადგენლობაში შეიყვანენ ერთ ექსპერტ-სინოლოგს სტენფორდის უნივერსიტეტიდან, სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტის აპარატის ორ თანამშრომელს, რომლებიც შარშან უკვე იმყოფებოდნენ ფხენიანში, აგრეთვე, სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილ თანამშრომელს, რომელიც მონაწილეობდა კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასთან გამართულ მოლაპარაკებაში.



ამავე დროს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა „რეიტერს“ განუცხადა, რომ „ამერიკის მთავრობა არ მონაწილეობს“ იონბენის ბირთვულ ობიექტში ამერიკელი სპეციალისტების დელეგაციის დაგეგმილ ვიზიტში. „ეს თავიდან ბოლომდე კერძო ინიციატივა გახლავთ“, – აღნიშნა სახელმწიფო მოხელემ, რომელმაც არ ისურვა ვინაობის გამხელა.

„ამ ვიზიტის ორგანიზატორია სენატის დელეგაცია, რომელიც უკვე იმყოფებოდა ჩრდილოეთ კორეაში და აქვს დამყარებული კონტაქტები ჩრდილოკორეელებთან. ყოველივე ეს კეთდება მათი ინიციატივით და მათივე არხებით, – თქვა შემდეგ სახელმწიფო მოხელემ – თეთრი სახლის ადმინისტრაცია მათ ამაში არ ეხმარება და არც ხელს არ უშლის“.

„ეს ინიციატივა არანაირად არ უკავშირდება ჩვენი ცენტრის საქმიანობას, რომელიც ამჟამად მუშაობს ფხენიანის ბირთვული პრობლემისადმი მიძღვნილი ექვსმხრივი მოლაპარაკების ახალი რაუნდის ორგანიზებისათვის“, – დაასკვნა ამერიკის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა.

იონბენში განლაგებულია კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის თითქმის ყველა ცნობილი ბირთვული ობიექტი, მათ შორის ქვეყანაში მოქმედი ერთადერთი რეაქტორი, რომლის სიმძლავრეც 5 ათასი კილოვატია. იქვე მდებარეობს, აგრეთვე, რადიოქიმიური ლაბორატორია, რომელშიც, როგორც ამტკიცებენ, ფხენიანი იღებს ატომური იარაღის შექმნისათვის განკუთვნილ პლუტონიუმს დასხივებული სათბობის ღეროებიდან, იონბენში 50 ათასი კილოვატის სიმძლავრის დაუმთავრებელი რეაქტორის გარდა, გასული ათწლეულის შუა ხანებში კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეაჩერეს აგრეთვე 200 ათასი კილოვატი სიმძლავრის ტეჩჰონის რეაქტორის მშენებლობა. ჯერჯერობით არ არის რაიმე მონაცემები რეაქტორის მშენებლობის სამუშაოთა განახლების შესახებ.

ამერიკის შეერთებულ შტატებთან 1994 წელს მიღწეული მორიგების თანახამად, კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ გაყინა თავისი ბირთვული ობიექტების მუშაობა, რის სანაცვლოდაც ამერიკელები ფხენიანს დაპირდნენ მსუბუქ წყალზე მომუშავე ორი რეაქტორის აშენებას, რომლის გამოყენებაც ძალზე რთულია სამხედრო მიზნებისათვის. ამ ობიექტების აშენებამდე ვაშინგტონმა აგრეთვე იკისრა ვალდებულება მიეწოდებინა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისათვის მაზუთი ქვეყნის ეკონომიკის საჭიროებისათვის. მაგრამ შარშან, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ფაქტობრივად უარი თქვა ამ მორიგების მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ფხენიანი დაადანაშაულა ურანის საიდუმლოდ გამდიდრების მცდელობაში.

ამის პასუხად, კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ გამოაცხადა, რომ დატოვებდა ბირთული იარაღის გაუვრცელებლობის რეჟიმს და აღნიშნა, რომ განაახლებს თავისი ბირთვული ობიექტების მუშაობას.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს წყაროებზე დაყრდნობით, წინათ უკვე გავრცელდა მტკიცებულება იმის თაობაზე, თითქოს ჩრდილოეთ კორეას უკვე ჰქონდა 1-2 ატომური ბომბი და შეეძლო კიდევ 6 ანალოგიური ბომბის წარმოება პლუტონიუმის გამოყენებით, რომლის მოპოვებაც შეიძლება იონბენის ატომურ ელექტროსადგურში დასხივებული 8 ათასი ღერიდან.

ამ ბოლო ხანებში ჩრდილოეთ კორეაზე მძლავრ მოქმედებას ახდენს მისი უახლოესი მოკავშირე ჩინეთი: პეკინს სურს დაითანხმოს ფხენიანი ვაშინგტონთან მოლაპარაკების განახლებაზე.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მოსკოვის საელჩო იტყობინება, რომ ფხენიანი მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება ამერიკის შეერთებულ შტატებთან, მაგრამ მკაცრ რეაგირებას მოახდენს თუ ამერიკელები კვლავ შეეცდებიან მის მიმართ მტრული პოლიტიკის განხორციელებას. საელჩოში აღნიშნეს, რომ კორეის ნახევარკუნძულზე შექმნილმა სიტუაციამ მიაღწია უაღრესად საშიშ სტადიას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის მიერ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ განხორციელებული მტრული პოლიტიკის გამო.

არ გადავუხვევთ ჩვენი პრინციპული პოზიციიდან – ვეცდებით გამოვნახოთ ბირთვული პრობლემის მშვიდობიანად მოგვარების გზები ამერიკელებთან მოლაპარაკების მეშვეობით“, – მოჰყავს საელჩოს ციტატა მოწინავე სტატიიდან, რომელიც ჩრდილოეთ კორეის ცენტრალურ გაზეთებში გამოქვეყნდა. ინფორმაციაში ხაზგასმულია, რომ ფხენიანი მკაცრ რეაგირებას მოახდენს ამერიკელთა მტრულ პოლიტიკაზე. „ეს არის თავდაცვისა და ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვისათვის, კორეის ნახევარკუნძულზე და მთლიანად რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებისათვის ჩვენი კანონიერი უფლება“, – ხაზგასმულია კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

როგორც ცნობილია, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ბირთვული პროგრამის საკითხზე მოლაპარაკების პირველი რაუნდი გაიმართა 2003 წლის აგვისტოს დამლევს პეკინში, თუმცა ამ მოლაპარაკების შედეგად ვერ მოხერხდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პოზიციების დაახლოება. პრინციპული უთანხმოება გამოიწვია იმან, რომ მხარეებმა ვერ გადაწყვიტეს მთელი რიგი საკითხები: ფხენიანისათვის გარანტიების მიცემა იმის სანაცვლოდ, რომ იგი ხელს აიღებდა ბირთვული პროგრამის განხორციელებაზე და დაუბრუნდებოდა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის საერთო რეჟიმს.

2003 წლის ნომბერში კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა დათანხმდა მოლაპარაკების მეორე რაუნდის გამართვას და კვლავ დაადასტურა თავისი ასეთი თანხმობა ამ საკითხის თაობაზე ჩინეთ-ჩრდილოეთ კორეის კონსულტანციების დროს.

ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციამ დეკემბერში განახორციელა სულ ცოტა 180 სადაზვერვო ფრენა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის თვალთვალის მიზნით. ამას იტყობინებოდა ჩრდილოეთ კორეის ახალი ამბების სააგენტო, რომელიც იმოწმებდა ეროვნულ სამხედრო წყაროებს.

ამერიკის ავიაცია ყველაზე ხშირად დაფრინავდა სამხედრო-სადემარკაციო ხაზის მიდამოებში, რომელიც კორეის ნახევარკუნძულს ორ ნაწილად ჰყოფს, აგრეთვე ქვეყნის დასავლეთი და აღმოსავლეთი სანაპიროების გასწვრივ.

როგორც კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ახალი ამბების სააგენტო აღნიშნავს, ამერიკის ავიაციის სადაზვერვო ფრენა კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მუდამ არის მზად დაესხას თავს კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას“.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 2, კვირა, 4 იანვარი, 2004 წელი.




# ეგვიპტეში ავარია განიცადა სამგზავრო თვითმფრინავმა

**ეგვიპტეში ავარია განიცადა „ბოინგ-727“ სამგზავრო თვითმფრინავმა. ლაინერი, რომელშიც 135 მგზავრი და ეკიპაჟის 6 წევრი იმყოფებოდა, წითელ ზღვაში ჩავარდა.**

კატასტროფა მოხდა მას შემდეგ, რაც თვითმფრინავი აფრინდა შარმ-აშ-შეიჰის აეროპორტიდან.

ლაინერის მგზავრები იყვნენ ფრანგი ტურისტები, იტყობინება „ფრანს პრესის“ სააგენტო. ეგვიპტის ავიაციის სამინისტროს წყაროები აცხადებენ, რომ თვითმფრინავში მყოფი ყველა ადამიანი დაიღუპა, რომელთა შორის 127 ფრანგია.

დაღუპული თვითმფრინავის ნამსხვრევები აღმოაჩინეს წითელ ზღვაში შარმ აშ-შეიჰიდან 15 კილომეტრზე.

სამგზავრო თვითმფრინავი ეკუთვნოდა ეგვიპტის „ფლეშ ეარის“ კერძო ავიაკომპანიას. თავდაპირველად იტყობინებოდნენ, რომ ავიალაინერი კაიროში მიფრინავდა, თუმცა, ბოლო მონაცემებით, თვითმფრინავს გეზი საფრანგეთისკენ ეჭირა.

# „ვარსკვლავების მტვერი“ დედამიწისკენ მოფრინავს

**ამერიკული საკვლევი ზონდი „Stardust“ შეხვდა „ვილდ-2“ კომეტას, რომლის გვერდითაც 240 კილომეტრი მანძილი იფრინა. ეს კოსმოსური პაემანი მოხდა დედამიწიდან 389 მილიონ კილომეტრ მანძილზე.**

ნასას სააგენტოს აპარატმა უკვე გამოგზავნა დედამიწაზე კომეტის მკაფიო სურათები და სპეციალურ კაპსულაში მოთავსებული კომეტის მტვრის ნაწილაკები, რომლებსაც მეცნიერები მხოლოდ 2006 წლისთვის მიიღებენ.

„კომეტა გაცილებით უკეთ იქცეოდა, ვიდრე ჩვენ ამას ველოდით, და კოსმოსურმა აპარატმაც, შეიძლება ითქვას, ბრწყინვალედ იმუშავა“, – თქვა ვაშინგტონის შტატის უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დონ ბრაუნლიმ, რომელიც ხელმძღვანელობს „Stardust“ მისიაზე დაკვირვებას.

როგორც „ბი-ბი-სი“ იტყობინება, ნასას მიერ გაშვებული აპარატი 5 წლის განმავლობაში მიფრინავდა მიზნისკენ.

კომეტამ, რომლის ბირთვის დიამეტრი 5,4 კილომეტრს შეადგენს, 5-მეტრიან ზონდს საათში 21.260 კილომეტრი საათი სიჩქარით ჩაუქროლა.

ფრენის მართვა ხორციელდება ნასას ლაბორატორიიდან, რომელიც კალიფორნიის შტატში მდებარეობს.

მეცნიერებს იმედი აქვთ, რომ კომეტის მტვრის ნაწილაკების შესწავლა მისცემს მას შესაძლებლობას დაადგინონ კომეტის შემადგენლობა, გარდა ამისა, ეს გახდება უდიდესი მატერიალური წვლილი მზის სისტემის ადრეული ისტორიის შესწავლაში.

„ამ ბოლო რამდენიმე ათწლეულის წლის განმავლობაში კოსმოსური აპარატები უახლოვდებოდნენ კომეტას საკმაოდ ახლო მანძილზე და გვამარაგებდნენ ძალზე საინტერესო მონაცემებით“, – თქვა დონ ბრაუნლიმ.

„მაგრამ „ვარსკვლავების მტვერი“ არის კომეტის ბირთვის მასალების ნიმუშის აღებისა და შესწავლის მიზნით მათი დედამიწაზე ჩამოტანის პირველი მცდელობა“, – განმარტა მეცნიერმა.

როგორც ღია უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, ბრიტანელმა მეცნიერმა საიმონ გრინმა აღნიშნა, „ვარსკვლავების მტვერი“ მეცნიერებს მოუთხრობს ძალზე ბევრ საინტერესო ამბავს წარსულის შესახებ.

„კომეტა შედგება ყინულისგან. კომეტები ძალზე ცივები არიან და მუდამ ასეთები იყვნენ მათი შექმნის მომენტიდანვე“, – თქვა საიმონ გრინმა.

„ეს იცავს ნებისმიერი გახურებისაგან იმ მასალას, რომლისგანაც კომეტები შედგებიან. ამრიგად, კომეტის შემადგენელი მასალები არ შეცვლილან მათი წარმოქმნის შემდეგ, ეს კი მოხდა მაშინ, როცა წარმოიქმნა მთელი მზის სისტემა. ახლა ჩვენ ხელთ გვაქვს რაღაც „დროის მანქანის“ მსგავსი, რომელიც მოგვაწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ ხდებოდა ყველაფერი დაახლოებით 4,5 მილიარდი წლის წინ“, – დასძინა მეცნიერმა.



# გასული წელი თავისი კურიოზებით

**გასული წელი მდიდარი იყო სხვადასხვა უცნაური ამბებით, იქნებოდა ეს პოლონელი კონტრაბანდისტის დაკავება, რომელიც ცდილობდა კონტრაბანდული სიგარეტების გადატანას კუბოთი, თუ ის ბრაზილიელი პატიმრები, რომლებმაც შეძლეს საპყრობილედან გაქცევა იმის მიუხედავად, რომ ორივე ცალფეხა იყო.**

კანადელ პატიმრებს 2003 წელს დაურიგეს ხილის არომატის მქონე პრეზერვატივები. ჩინეთის ხელისუფლებამ კი აუკრძალა სადილობის დროს ტელევიზიით ჰემოროის საწინააღმდეგო საშუალებების რეკლამის გადაცემა.

რეიტერი იხსენებს, აგრეთვე, უამრავ ისტორიას. უიღბლო სიყვარულთან დაკავშირებით. მაგალითად, ერთ-ერთმა ფილიპინელმა დიასახლისმა დანით მოაჭრა თავის მძინარე მეუღლეს პენისი, როცა მის მობილურ ტელეფონზე აღმოაჩინა უცხო ქალისაგან გამოგზავნილი ტექსტური შეტყობინება. იტალიელმა პენსიონერმა ქალბატონმა კი, ტანსაცმლის საწმენდი ჯაგრისით ცემით ამოხადა მის ქმარს სული იმის გამო, რომ მათ ბავშვები არასდროს ჰყოლია.



საინტერესო გამოდგა სტერილიზაციასთან დაკავშირებული ამბები. ერთი ასეთი შემთხვევა მოხდა ლონდონში. პრაქტიკანტ მძღოლს გული შეუღონდა იმის გამო, რომ მისი კოლეგა ძალზე დეტალურად აღწერდა ამ ოპერაციას. პრაქტიკანტი მანქანიდან გადმოვარდა და ლიანდაგზე დაეცა, ამის გამოც მთელ ამ ხაზზე გარკვეული დროის განმავლობაში შეწყდა მატარებლების მოძრაობა.

ერთმა ბრაზილიელმა გადაწყვიტა საავადმყოფოში მისულიყო და შეეტყო, თუ რატომ სტკიოდა ყური. როცა ექიმთან მიღებაზე რიგში იდგა. მას შემთხვევით მოესმა, რომ ექიმმა გამოიძახა იგი და შევიდა კაბინეტში. კაბინეტიდან კი ეს მამაკაცი უკვე სტერილიზებული გამოვიდა.

ტანზანიაში მამაკაცმა მოიკვეთა საკუთარი გენიტალიები იმის გამო, რომ თანაგრძნობა გამოეწვია ნათესავებსა და მეგობრებში. ეს უკანასკნელნი მასზე განაწყენებული იყვნენ, რადგან სესხად აღებული ფული ამ კაცმა ალკოჰოლურ სასმელებში და მეძავეებში დახარჯა.

ერთ-ერთი ფრანგი მონადირე თოფით დაჭრა მისივე ძაღლმა: მონადირემ დატენილი თოფი დატოვა მანქანის საბარგულში, რომელშიც ორი ძაღლი იჯდა. ერთმა მათგანმა – შემთხვევით, თუ განზრახ – ფეხი დაადგა ჩახმახს.

კამბოჯიდან კი მოელიან ლტოლვილი ძაღლების რიცხვის ზრდას: პნომპენმა მოუწოდა ქვეყნის მოსახლეობას, რაც შეიძლება მეტი რაოდენობით მიირთვან ძაღლის ხორცი და ასეთი გზით შეამცირონ მაწანწალა ცხოველების რიცხვი, რომლებიც განსაკუთრებით მომრავლდნენ ამ ბოლო ხანებში კამბოჯის დედაქალაქის ქუჩებში.

როგორც ცნობილია, ოდესღაც გერმანული იუმორი ისეთივე იშვიათობად ითვლებოდა, როგორც გემრიელი ინგლისური კერძი, თავაზიანი ფრანგი ოფიციანტი, ან განრიგის მკაცრი დაცვით მოძრავი იტალიური მატარებელი. თუმცა, როგორც ჩანს, თანამედროვე გერმანელები უფრო მხიარულები არიან, ვიდრე მათი წინაპრები.

მაგალითად, დუისბურგში ერთ-ერთმა მღვდელმა ლუდის მოხარშვა გადაწყვიტა სარეცხ მანქანაში. ჰესენში კი ერთ-ერთ მძარცველმა, რომელიც ბანკის გაძარცვას აპირებდა, რატომღაც დაივიწყა, რომ ნიღაბზე უნდა ამოეჭრა ნახვრეტები თვალებისათვის.

ასეთი კურიოზიც მოხდა. წყნარი ოკეანის კუნძულოვანი სახელმწიფოს ფიჯის მთავრობამ ოფიციალურად მოიხადა ბოდიში 133 წლის წინ მოკლული და შეჭმული ბრიტანელი მისიონერის გამო.

მოსკოვის დიდი თეატრიდან დაითხოვეს ბალერინა. დასის ხელმძღვანელობამ თავისი ასეთი გადაწყვეტილება დაასაბუთა იმით, რომ მოცეკვავე ძალზე მძიმე და მაღალი იყო პარტნიორისათვის.

# ინდონეზიაში დაამყარეს დოლის უწყვეტი დაკვრის ახალი მსოფლიო რეკორდი

**ახალი წლის პირველ დღეს გინესის რეკორდების წიგნს შეემატა კიდევ ერთი რეკორდსმენი – ინდონეზიის ქალაქ ბაგორის 25 წლის მკვიდრმა კუნტო ჰარტონომ დაამყარა დოლზე დაკვრის ხანგრძლივობის მსოფლიო რეკორდი.**

დოლის დაკვრა მან დაიწყო 2003 წლის 29 დეკემბრის დილას და შეწყვიტა 2004 წლის 1 იანვრის ნაშუადღევს, განუწყვეტლივ უკრავდა 72 საათზე მეტ ხანს. მანამდე მოქმედი მსოფლიო რეკორდი – 60 საათი – 2003 წელს დაამყარა მაიამიში სამხრეთამერიკელმა ალვარო ლოპესმა.

მუსიკალური მარათონი, რომელშიც მონაწილეობდნენ ინდონეზიის ახალგაზრდული ესტრადის ვარსკვლავები და ფოლკლორისტი მუსიკოსები, ჯაკარტაში სამ დღე-ღამეს გრძელდებოდა. თავდაპირველად პრეტედენტები მომღერლებს ნელი ტემპით უწევდნენ აკომპანირებას, რადგან ძალებს ფინალისათვის ინახავდნენ.

31 დეკემბერს საღამოს უკვე ქანცგაცლილი მომავალი „ვარსკვლავის“ გასამხნევებლად მოვიდნენ ინდონეზიის კულტურისა და ტურიზმის საქმეთა სახელმწიფო მინისტრი ი გედე არტიკა და ამერიკის როკ-ჯგუფის „დებუს“ მუსიკოსები, რომლებიც საგასტროლოდ იმყოფებოდნენ ჯაკარტაში.

ყოველივე ამან, როგორც ჩანს, ძალზე დადებითად იმოქმედა რეკორდსმენზე და მას კიდევ 12 საათის განმავლობაში არ შეუწყვეტია დაკვრა. სრულიად მისავათებული ახალგაზრდა კაცი პირდაპირ სცენიდან წაიყვანეს საავადმყოფოში.

აქამდე გინესის რეკორდების წიგნში ინდონეზიიდან შესული იყო მხოლოდ სახელგანთქმული სპორტსმენი რუდი ჰარტონო (კუნტოს მოგვარე), რომელმაც ინგლისის ბადმინტონისტთა ჩემპიონატებში რვაჯერ გაიმარჯვა ერთეულთა თანრიგში.



# ბარბის აქვს სიშიშვლის უფლება

**ამერიკელმა ფოტოგრაფმა, რომელმაც სახელი მოიხვეჭა იმით, რომ თოჯინა ბარბის უღებდა სურათებს უჩვეულო, ხშირად – სექსუალურ, ზოგჯერ კი აშკარად პროვოკაციულ პოზებშიც, მოიგო სათამაშოების მშარმოებელი კომპანიის „მატელის“ წინააღმდეგ სასამართლო დავა.**

ფირმამ ფოტოგრაფ ტიმ ფორსაიტს სასამართლოში უჩივლა მას შემდეგ, რაც პრესაში გამოჩნდა საბავშვო სათამაშოს ისეთი ფოტოსურათები, რომლებმაც, „მატელის“ ხელმძღვანელობის თქმით, შესაძლოა, საერთოდ აუბნიოს თავგზა მყიდველს.

თუმცა, სან-ფრანცისკოს სასამართლომ დაადგინა: მართალია, ბარბი გრძელფეხა, ქერათმიანი „ლამაზმანია“, მაგრამ იგი მაინც სათამაშოა, ამიტომაც ფორსაიტის ფოტოსურათების აკრძალვა გახდებოდა სატირის ან პაროდიის უფლების დარღვევა.

პირველი სარჩელი ფოტოგრაფის წინააღმდეგ ფირმამ ჯერ კიდევ 1999 წელს აღძრა, მოგვიანებით, კი ცდილობდა მიეღწია სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვისათვის.

ფორსაიტის მიერ გადაღებულ ერთ-ერთ ფოტოსურათზე, ბარბი – აყვავებული დასავლეთის ეს ერთ-ერთი სიმბოლო – ასრულებს სოსისის როლს ჰოტ-დოგში: იგი გახვეულია ლავაშში, თოჯინას წასმული აქვს საწებელი და ჰაერღუმელში იწვება.

სხვა ფოტოსურათებზე ბარბი გამოსახულია შამფურზე წამოცმული, ტოსტერში ჩადებული, აგრეთვე, შიშველი ბარბი სამზარეულო კომბაინების ფონზე.

„მატელის“ ხელმძღვანელობა ამტკიცებდა, რომ ეს ფოტოები არღვევენ ფირმის საავტორო უფლებას და სავაჭრო მარკის ფლობის უფლებას, ყოველივე ამის შედეგად კი, მყიდველმა შეიძლება იფიქროს, რომ უხამსობამდე მისული ასეთი ფოტოსურათების გამოქვეყნება პრესაში თვით კომპანიის შეკვეთით ხდებოდა.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა
ზაზა ბეჟანიძემ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

# სპორტი

### სტუმარი



# მე ჟორდანია მჭირდება

**ანრი მიშელი გასული საუკუნის 70-იან წლებში საფრანგეთის ნაკრებში თამაშობდა და 1978 წელს არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატზე „სამფეროვანთა“ ღირსებას იცავდა. მას „ნანტის“ მაისურით თბილისის „დინამოს“ სტადიონზეც აქვს გაგორებული ბურთი, როცა ამ კლუბს უეფას თასზე მოსკოვის „დინამომ“ სწორედ საქართველოს დედაქალაქში უმასპინძლა.**

სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ მუსიე მიშელმა მწვრთნელობა დაიწყო და 1984 წელს თანამემამულეებს ლოს-ანჟელესის ოლიმპიადა მოაგებინა, თანაც ფინალში, არც მეტი, არც ნაკლები, ბრაზილია დააჩოქა – 2:0, ორი წლის შემდეგ კი მექსიკაში გამართულ „მუნდიალზე“ პლატინის თაობის ეროვნულ ნაკრებს უთავკაცა და ნახევარფინალამდე მიიყვანა.

ამჟამად ფრანგი სპეციალისტი მაროკოს ერთ-ერთ კლუბს ავარჯიშებს და, ალბათ, მალე საქართველოს მთავარ გუნდსაც ჩაიბარებს. მისი, ეგრეთ წოდებული, დაზვერვითი ვიზიტი გუშინ სასტუმრო „მარიოტში“ პრესკონფერენციით დამთავრდა.

ჟურნალისტებთან დიალოგი ანრი მიშელის თურქმა აგენტმა და მომავალი კონტრაქტის სულისჩამდგმელმა ბაირამ თუთუმლუმ დაიწყო და განაცხადა:

– თქვენი სტუმარი საბოლოო გადაწყვეტილებას რამდენიმე დღეში მერაბ ჟორდანიას საქმის გათვალისწინებით მიიღებს (**ცნობისათვის:** სფფ-ს პრეზიდენტი – 31 დეკემბერს „რესბალნიცაში“ გადაიყვანეს). ვფიქრობ, საქართველოს ახალი მთავრობის იმიჯისთვის ძალიან ცუდია, რომ ბატონი მერაბი ციხეშია – მოგეხსენებათ, პირადად მას და, მთლიანად, თქვენს ქვეყანას ფიფასა და უეფაში დიდ პატივს სცემენ. რაც შეეხება მომავალ კონტრაქტს, მეამაყება, რომ პირობა შევასრულე და „შინდისფერ“ კრებულს ძლიერი მწვრთნელი ეყოლება.

ამის შემდეგ ანრი მიშელის ჯერიც დადგა. რაფინირებული ინტელიგენტი (ყოველ შემთხვევაში, ნახევარი საათის განმავლობაში მან ასეთი შთაბეჭდილება დატოვა) პირდაპირ საქმეზე გადავიდა და სათქმელი დელიკატურად თქვა:

– უღრმესი მადლობა მასპინძლებს, განსაკუთრებით – სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტ ლერი სულაბერიძეს გულითადი მიღებისთვის. გუშინ სამუშაო პირობებს გავეცანი და ძალიან კმაყოფილი დავრჩი. პირდაპირ მოვჭრი – საქართველოს ნაკრებს პროგრესისთვის მშვენიერი შანსი გააჩნია და მისი გამოყენების შემთხვევაში ჩინებული შედეგიც ექნება. დღეს სამშობლოში იმ იმედით მივემგზავრები, რომ მალე დაგიბრუნდებით, მაგრამ მანამდე მაროკოს კლუბს უნდა დავემშვიდობო, სადაც კონტრაქტით კიდევ ოთხი თვის განმავლობაში უნდა შემუშავა.

– პრესკონფერენციის დასკვნითი ნაწილი კითხვა-პასუხის ფორმით წარიმართა. გთავაზობთ მის ძირითად ფრაგმენტებს:

**– ლერი სულაბერიძე** – ანრი მიშელის ვიზიტის თაობაზე ჩვენ შეგნებულად არ ჩავაყენეთ საქმის კურსში ოფიციოზი. ამ ეტაპზე, ვფიქრობ, ასე ჯობდა.

**– ბაირამ თუთუმლუ** – ჩემი გული თურქეთსა და თქვენს ქვეყანას ეკუთვნის. ვოცნებობ, თანამემამულეებსაც ჩავუყვანო კარგი მწვრთნელი.

**– ანრი მიშელი** – სავარაუდოდ, იანვრის ბოლოდან დავიწყებ თქვენთან თანამშრომლობას, უკიდურეს შემთხვევაში, პირდაპირ კვიპროსის საერთაშორისო ტურნირზე შევუერთდები საქართველოს ნაკრებს, თუმცა გაცილებით უფრო მნიშვნელოვნად 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში წარმატებით გამოსვლა მესახება;

– ფულზე უფრო ფასეული ჩემთვის სპორტული პრინციპია;

– ქართველებს კარგი, მაგრამ გამოუცდელი ფეხბურთელები გყავთ;

– ძალიან ძლიერ შესარჩევ ჯგუფში მოხვდით, სადაც ერთ-ერთი ფავორიტი უკრაინის სოლიდური გუნდია, თუმცა მიზნის მიღწევა აქაც შესაძლებელია;

– თვეში მინიმუმ ერთი ამხანაგური მატჩი მაინც უნდა გავმართოთ. მართალია, წლეულს ევროპის ჩემპიონატის შემდეგ მრავალი ნაკრები დაისვენებს, მაგრამ შეკრებას მაინც მოვაწყობ – მთავარია, კლუბებმა გამოუშვან ბიჭები;

– ლოდ სორელი ჩემი მეგობარია და კარგად ვიცი, როგორ სიმაღლეზე აიყვანა მან ქართული რაგბი. შევეცდები, არ ჩამოვრჩე მას;

– ჩემმა მეუღლემ აქ თავი ისე იგრძნო, როგორც საკუთარ სახლში. დამეთანხმებით, მნიშვნელოვანი დეტალია;

– საერთოდ, იანვარი არცთუ ხელსაყრელი თვეა კონტრაქტის გასაფორმებლად, მაგრამ გამონაკლისის დაშვება ყოველთვისაა შესაძლებელი, მით უმეტეს, რომ სიტყვიერი შეთანხმება ჩვენს შორის უკვე მიღწეულია. ვიმეორებ – ბევრი რამ მერაბ ჟორდანიას ხვედრზეა დამოკიდებული. მომიკითხეთ და გადაეცით, რომ მე იგი მჭირდება – ნაკრებისათვის, ხომ მწვრთნელისა და ფედერაციის პრეზიდენტის ერთობა გადამწყვეტია.

**გია პლატონიშვილი.**
**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

### რჩეულნი

# ვინ იყო უკეთესი?

**ასეთი კითხვა დაუსვა ბი-ბი-სის სპორტულმა განყოფილებამ თავის მსმენელებს, რათა შეედგინა ფეხბურთში ინგლისის სიმბოლური ნაკრები შარშანდელი შედეგების მიხედვით.**

**გასულ წელს კი ფეხბურთის სამშობლოს გულშემატკივრები მოწმენი იყვნენ ჭეშმარიტად დაუვიწყარი გოლებისა, შესანიშნავი ორთაბრძოლებისა და ზოგიერთი ფეხბურთელის გასაოცრად სტაბილური კარგი თამაშისა.**

**რასაკვირველია, ამ მასობრივ სახალხო თამაშზე გადარეულმა ინგლისელმა ფანატებმა არ დააყოვნეს და ბი-ბი-სი წერილებით, დეპეშებით თუ სატელეფონო ზარებით „დასეტყვეს“.**

**მაინც როგორ გამოიყურება მათი წინადადებებით შედგენილი წლის სიმბოლური ნაკრები?**

**მეკარე**

**კარლო კუდიჩინი („ჩელსი“)** – რუსი მილიარდერის რომან აბრამოვიჩის გუნდში იტალიელი მეკარე საიმედოობის ნამდვილი სიმბოლო იყო. წინა წელს თუ გუნდმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემდეგ მეორე ადგილი დაიკავა გაშვებული გოლების მიხედვით – 38, ახალ სეზონში მხოლოდ 16 ბურთი გაუშვეს.

**დაცვა**

**კოლო ტურე („არსენალი“)** – იგი არსენ ვენგერის გუნდისათვის შარშან უმთავრესი აღმოჩენა იყო, როდესაც გუნდს ხანგრძლივად გამოაკლდა ლორანი.

**უეინ ბრიჯი („ჩელსი“)** – გამოირჩეოდა საიმედო თამაშით. ტყუილად კი არ გადაიხადეს მასში 7 მილიონი გირვანქა სტერლინგი.

**ჯონ ტერი („ჩელსი“)** – ამ ახალგაზრდა მცველის ავტორიტეტი აგორებული თოვლის გუნდასავით იზრდება. მან ინგლისის ნაკრებშიც კი მოიპოვა ადგილი.

**მიქაელ სილვესტრი („მანჩესტერ იუნაიტედი“)** – ადრე მხოლოდ წამყვანი ფეხბურთელების შეცვლაზე თუ გამოდიოდა, ახლა „წითელი ეშმაკუნების“ ძირითადი მოთამაშე გახდა.

**ნახევარდაცვა**

**როი კინი („მიუ“)** – უამრავი ტრავმის მოშუშების შემდეგ ირლანდიელი ფეხბურთელი ძალზე მაღალი ხარისხის თამაშს აჩვენებს,

**ფრენკ ლამპარდი („ჩელსი“)** – ყველაზე სტაბილური ნახევარმცველი ინგლისურ ფეხბურთში, თანაც ბომბარდირადაც გამოდგება.

**ჯეი-ჯეი ოკოჩა („ბოლტონი“)** – ნიგერიელი გამოირჩევა გასაოცარი ტექნიკით, ჩემპიონატის ყველაზე ლამაზი გოლების ავტორი.

**დემიენ დაფი („ჩელსი“)** – 17 მილიონ გირვანქად (30 მილიონ დოლარზე მეტი) შეძენილი ირლანდიელი თავისი ახალი გუნდის მარტო ლიდერი კი არა, ევროპის ერთ-ერთი ყველაზე საშიში განაპირა ნახევარმცველიცაა.

**თავდასხმა**

**ტიერი ანრი („არსენალი“)** – ინგლისის ჩემპიონატის 139 მატჩში „მეზარბაზნეების“ გასახარად 94 გოლი გაიტანა, აქედან შარშან – 23. კინაღამ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

**რუუდ ვან ნისტელროი („მიუ“)** – ანრისთან ერთად თავდამსხმელთა დიდებული ტანდემი გამოვიდოდა. შარშან პრემიერ-ლიგაში 30 ბურთი გაიტანა. უდიდესი წვლილი შეიტანა თავისი გუნდის გაჩემპიონებაში.

**მწვრთნელი**

**სერ ალეკს ფერგიუსონი („მიუ“)** – დაჯაბნა არსენ ვენგერი პირად პაექრობაში, შარშან, მაისში ინგლისის ჩემპიონობა მოიხვეჭა, 2003 წელი კი სატურნირო ცხრილში პირველი ადგილით დაამთავრა.

### ყოველი მხრიდან

## საახალწლო სტარტი აიღო „დაკარმა“

**ახალი, 2004 წლის პირველ დღეს საფრანგეთის ცენტრში – ქალაქ კლერმონფერანიდან სტარტი აიღო მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა რალიმ „პარიზი-დაკარი“. რიგით 26-ე რეიდის ქარავანში 400 მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანა, აგრეთვე მოტოციკლეტია. რალის შემადგენლობა ძალზე ძლიერია, მასში ადრინდელ რბოლების 18 გამარჯვებულია.**





რალის ორგანიზატორებმა მისი პირობები ერთობ გაართულეს. ეკიპაჟებმა ერთი ეტაპის შემდეგ დამოუკიდებლად, ტექნიკოსების დაუხმარებლად, უნდა შეაკეთონ თავიანთი მანქანები, რაც ადვილი როდია. ხოლო ორი აფრიკული ეტაპი პილოტებმა თანამგზავრული ნავიგაციის გამოუყენებლად, მხოლოდ კომპასებით უნდა გადალახონ.

ამ უდიდესი რალის მარშრუტი 11 ათასზე მეტ კილომეტრზეა გადაჭიმული. მისმა მონაწილეებმა საფრანგეთისა და ესპანეთის გარდა, უნდა გადალახონ მაროკოს, მავრიტანიის, მალის, ბურკინა-ფასოსა და სენეგალის ქვიშნარი და კლდე-ღრეები. „დაკარი“ 18 იანვარს დასრულდება სენეგალის ცნობილ ვარდისფერ ტბასთან.

## „თამბაქოს ომი“ გრძელდება

**საზოგადოებრივი ორგანიზაცია ASH, თამბაქოს მოწევის წინააღმდეგ რომ იბრძვის, ირლანდიის ტელეარხს RTE მოუწოდებს, შეწყვიტოს „ფორმულა-1“-ის რბოლების ტრანსლაცია. ამ ორგანიზაციის აქტივისტები რბოლების იგნორირებას მოითხოვენ იქამდე, სანამ ამ პოპულარული ავტო-შეჯიბრებების დროს არ შეწყდება სიგარეტების რეკლამა. მათი აზრით, დაუშვებელია ბავშვებისათვის თამბაქოს რეკლამის ჩვენება, რადგან ამან, შეიძლება, მათ მოწევისაკენ უბიძგოს, – აღნიშნავს „ტელესპორტი“.**

ამჟამად „ფორმულა-1“-ის 10 გუნდიდან ხუთს ძალზე ტიტულოვანი თამბაქოს სპონსორები ჰყავს. რბოლის ერთ-ერთ ეტაპზე „კანადის გრან-პრი“ შარშან უკვე აკრძალეს თამბაქოს რეკლამა და ახლა გუნდები იძულებულნი იქნებიან კანადაში თავიანთი სპონსორების ემბლემები არ გაუკეთონ ბოლიდებს.

ალბათ გახსოვთ, ამის გამო კანადა კინაღამ ამოვარდა მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდრიდან. ბოლოს კომპრომისული გადაწყვეტილება მიიღეს – კანადის ეტაპის ორგანიზატორებმა ზარალის ასანაზღაურებლად 29 მილიონი დოლარი უნდა გადაუხადონ იმ გუნდებს ვინც იძულებულია, უარი თქვას ასეთ რეკლამაზე.

## ქალი კლიჩკოსათვის

**კრივის მოყვარულებმა კარგად იციან რინგზე უკრაინელი ძმების ვიტალი და ვლადიმერ კლიჩკოების თავგადასავალი. მათი განსხვავება მარტო გამარჯვებებით და ასაკით როდი შეიძლება.**

უფროსი ძმა – ვიტალი, კარგა ხანია, დაქორწინებულია მშვენიერ ნატალიაზე და ორი შვილის მამაცაა.

ვლადიმერმა კი აქამდე ვერ მოძებნა ღირსეული თანამგზავრი. ამიტომაც გერმანულმა გაზეთმა Bild-მა გადაწყვიტა ამ მხრივ „ხელმოცარული“ უკრაინელის დახმარება.

გაზეთმა თავის ფურცლებზე ერთგვარი კონკურსი გამოაცხადა: ყოველ ასე თუ ისე ლამაზ ქალიშვილს შეუძლია, გამოაგზავნოს თავისი ფოტოსურათი, ასევე მცირე სასიყვარულო ბარათი და მონაწილეობა მიიღოს სუპერ-პრიზის – თავად



ვლადიმერ კლიჩკოს – გათამაშებაში. თანაც გამარჯვებული ორგზის მოგებული დარჩება – ჯერ ერთი, ის დაესწრება უკრაინელის მომავალ ბრძოლას გერმანიაში, და მეორეც, მას მოელის პირადი შეხვედრა მოკრივესთან, რომელმაც, ვინ იცის, იქნებ სერიოზული რამ გადაწყვიტოს.



კონკურსის პირველმა შედეგებმა მოლოდინს გადააჭარბა: გერმანიის ყოველი კუთხიდან რედაქციისაკენ დაიძრა წერილებისა და ფოტოსურათების ნაკადი. ერთ-ერთ მათგანს აქვე ვაქვეყნებთ.

თუმც, რას ფიქრობს „მათი ოცნების მამაკაცი“ ანუ „მთავარი პრიზი“, ჯერჯერობით გაურკვეველია.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

სპორტი

საქართველოს რესპუბლიკა

№ 2, კვირა, 4 იანვარი, 2004 წელი.

ძალოსნობა

# თაობათა მძლავრი ნაკადი

**საქართველოს მრავალი შესანიშნავი ძალოსანი ჰყოლია: ჩემპიონიც, პრიზიორიც, რეკორდსმენიც, საბჭოთა კავშირით დაწყებული, ევროპა-მსოფლიოს გავლით და ოლიმპიურით დამთავრებული.**

**ამჯერად წარმოგიდგენთ შესანიშნავ სამეულს: გრიგოლ კოსტავას, მამია ქღენტს, არკადი აბაშმაძეს– პირველ ქართველ პრიზიორებს საქართველოდან, ვინც მეკვლეობდნენ ჩვენი ქვეყნის ძალოსანთა წარჩინებულ პლეადას.**



საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების პირველი პრიზიორი ქართველთაგან და საერთოდ, საქართველოდან გახლდათ ქუთაისელი (მოსკოვში გამოცემულ ცნობარშიც ასე მოიხსენიებოდა – КУТ). 25 წლის გრიგოლ (გრიშა) კოსტავა – შემდეგში სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. მას ოფიციალური მწვრთნელი არ ჰყოლია, მაგრამ ყმაწვილობაში რიონის ნაპირებზე „საჯილდაო ქვის“ აწევა-გადატანაში თანატოლებთან ხშირმა გაჯიბრებამ და ბუნებისგან მომადლებულმა ღონემ თავისი გაიტანა. 1928 წელს გამართულ საკავშირო სპარტაკიადაზე, რომლის პროგრამაში ძალოსნობაც შედიოდა ქვეყნის პირველობის სტატუსით, ამიერკავკასიის გუნდის წევრმა გრ. კოსტავამ საშუალო წონაში ხუთჭიდის ჯამში 429,5 კილოგრამს „მოუყარა თავი“ და მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა: ამ შედეგით გრ. კოსტავამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გუნდურ ჩათვლაში: კავკასიელები მეოთხე ადგილზე გავიდნენ რუსეთის, უკრაინის და ბელორუსიის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ ცალკეული ძალოსნური მოძრაობებიდან იგი შეუდარებელი იყო ისეთ რთულ მოძრაობაში, როგორიცაა აჭიმვა (სად გამოადგა რიონის პირას მიღებული გამოცდილება!). ამ მოძრაობაში გრიშამ ხუთი კილოგრამით აჯობა წონაში გამარჯვებულს დ. პოლიაკოვს.

ამ დროს გრიშა საქართველოს რამდენიმე გზის რეკორდსმენი იყო, მაგრამ ისინი 1927-28 წლებში ჰქონდა დამყარებული. საკავშირო სარბიელზე ასე წარმატებული გამოსვლის შემდეგ გრ. კოსტავა, ეს დიდი პოტენციური შესაძლებლობათა მქონე სპორტსმენი, აქტიურ სპორტს რატომღაც ჩამოშორდა. შეიძლება ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ 1929 წლიდან 1937 წლამდე ძალოსნობაში, სამწუხაროდ, საქართველოს პირველობა არ გამართულა. ამ სავალალო სტატისტიკურ ცნობას სულ ახლახან გაზეთ „ფიზკულტურელის“ 1937 წლის დეკემბრის ერთ-ერთ ნომერში კი წავაწყდი, მაგრამ მიზეზები ვერ ვიპოვე.

* * *

თუ 1928 წელმა ქართულ ძალოსნურ სკოლას საკავშირო ჩემპიონატის ერთი პრიზიორი მაინც შესძინა, ამ მხრივ ორჯერ მეტად „უხვმოსავლიანი“ გამოდგა 1939 წელი. აქ წარმოჩინდნენ მამია ქღენტი და არკადი აბაშმაძე. წინასწარმეტყველური აღმოჩნდა ამ მხრივ გაზეთი „ფიზკულტურელი“, როცა 1938 წელს გამოაქვეყნა ინფორმაცია სიმძიმეების წევაში სრულიად საქართველოს შეჯიბრების შესახებ... მხოლოდ მ. ქღენტის და ა. აბაშმაძის ფოტოების თანხლებით. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მომდევნო 1939 წელს ქართველ ძალოსანთაგან მხოლოდ მათ შეძლეს საპრიზო სამეულში გასვლა.



მამია ქღენტმა ძალოსნობა არმიაში სამსახურში შეიყვარა. თუმცა შტანგას მანამდეც „ეთამაშებოდა“. 1934 წელს მონაწილეობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პირველობაზე და მსუბუქ წონაში მეორე ადგილზე გავიდა, მომდევნო წელს კი ჩემპიონი გახდა.

გადიოდა წლები. მამია ხვეწდა ოსტატობას, ტექნიკას. საქართველოში „თავის“ წონაში ვერვინ ჯაბნიდა, აუმჯობესებდა რესპუბლიკურ რეკორდებს. 1938 წელს მსუბუქი წონის ძალოსანთა შორის საბჭოთა კავშირის საუკეთესო ხუთეულში შედიოდა.

1939 წელს ხარკოვში, 6-9 მაისს თანაგუნდელებთან ერთად ქღენტი გამოვიდა საბჭოთა კავშირის პირად-გუნდურ ჩემპიონატში.

ნახევარმსუბუქ წონაში თავი გამოიჩინა გამოცდილმა მოისეი კასიანიკმა, რომელიც ადრე ჯერ ზაპოროჟიეს, შემდეგ ხარკოვის სახელით გამოდიოდა, ამჯერად (და შემდგომ წლებშიც) თბილისს წარმომადგენლობდა. მან მეორე ადგილი დაიკავა.

მამია ქღენტი მსუბუქ წონაში გამოდიოდა. სამჭიდში მან 332,5 კგ. მოაგროვა, იმდენი, რამდენიც კიეველმა იუზეფ პოლონსკიმ, მაგრამ დამეტებითი მაჩვენებლებით მესამე ადგილზე აღმოჩნდა.

შემდგომ წლებში ქართველი ძალოსანი სამჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი: ორჯერ – მსუბუქ წონაში (1943,1945 წ.წ.), ერთხელ – საშუალო წონაში (1948 წ.), ოთხჯერ კი მესამე იყო.

* * *



კოლორიტული ფიგურაა ძალოსნობაში და, საერთოდ სპორტში ოზურგეთელი არკადი აბაშმაძე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზკულტურის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ იგი კონსერვატორიის სტუდენტი გახდა.

ამ წლებში მთელი არსებით ჩაება საძალოსნო სპორტში. ა. აბაშმაძე ნახევრადმძიმე წონაში გამოდიოდა და მისი შედეგები ცალკეულ მოძრაობებში და, ცხადია, კლასიკურ სამჭიდში თანდათან იზრდებოდა: 325 კგ, 341 კგ, 368,2 კგ. ახლოვდებოდა საბჭოთა კავშირის 1939 წლის პირველობა.

27 წლის არკადი აბაშმაძე უძლიერეს ძალოსანთა გარემოცვაში აღმოჩნდა: ქვეყნის 1938 წლის ჩემპიონი კიეველი ეფიმ ხოტიმსკი, საკავშირო პირველობის ორგზის პრიზიორი მოსკოველი ალექსანდრ ბოჟკო, პროფკავშირების ჩემპიონი გასანენკო, საკავშირო რეკორდსმენი კაშაევი და სხვები. მათ შორის იყო პირველობის დებიუტანტი ა. აბაშმაძე.

ძნელი იყო წარმატებაზე ფიქრი, მაგრამ ქართველმა ვაჟკაცმა სამჭიდში კიდევ უფრო გაზარდა პირადი რეკორდი და 372,5 კილოგრამით გვერდით დაუდგა მრავალნაცად ბოჟკოს. მხოლოდ ცდების რაოდენობის თუ საკუთარი წონის გამო დათმო არკადიმ მეორე ადგილი და მესამეთი დაკმაყოფილდა. სამაგიეროდ, ცალკეულ მოძრაობებში მოუგო უშუალო კონკურენტებს: აჭიმვაში 12,5 კილოგრამით (115 კგ.) აჯობა (სად გამოჩნდა ღონე!) ბოჟკოს, ხოლო 385 კილოგრამით პირველ ადგილზე გასულ ხოტიმსკის 2,5 კილოგრამით (ეს ცოტა არ გეგონოთ!) მოუგო აკვრაში (145 კგ).

წინ იყო ნათელი პერსპექტივა, მაგრამ სრულიად მოულოდნელად ტრაგიკულად დამთავრდა 29 წლის სპორტსმენის სიცოცხლე. დამთავრდა ისე, რომ საბოლოო სიტყვა არ უთქვამს არც სპორტში და არც ვოკალურ ხელოვნებაში.

გავიდა წლები, წავიდ-წამოვიდნენ თაობები ცხოვრების ყველა დარგში, მათ შორის სპორტშიც.

ეჭვი არაა, სპორტის ამ ვაჟკაცურ სახეობაში მძლავრ ტალღად ისევ შემოიჭრება ნიჭიერ თაობათა ნაკადი, როგორიც გახლავთ დღევანდელ ქართველ ძალოსანთა ლიდერი, გიორგი ასანიძე, მანამდე – კახი კახიაშვილი, ისე მძლავრად, როგორც თავის დროზე შემოიჭრნენ გრიგოლ კოსტავა, მამია ქღენტი, არკადი აბაშმაძე...

**გიორგი მახარაძე.**

**სურათებზე: გრიგოლ კოსტავა (1970 წ.); საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მამია ქღენტი (1943 წ.); არკადი აბაშმაძე (1938 წ.).**

ფეხბურთი

# ფრანკ რაიკაარდსი: ვნახოთ...

**„ბარსელონა“ ხან წარმატებით თამაშობს, ხან სუსტი შედეგები აქვს, მაგრამ იყო და ახლაც რჩება ერთ-ერთ ყველაზე უფრო პოპულარულ კლუბად მსოფლიოში, მას საქართველოშიც ჰყავს გულშემატკივარი.**

**აი, რამდენიმე ნაწყვეტი ვრცელი ინტერვიუდან – „ფრანს ფუტბოლის“ კორესპონდენტი ესაუბრება „ბარსელონის“ ჰოლანდიელ მწვრთნელ ფრანკ რაიკაარდს.**

**– ფრანგი გულშემატკივრები ელიან, რომ „ბარსელონას“ სანახაობრივ და ღია ფეხბურთს დაუბრუნებთ. ისეთივეს, როგორც მას თქვენი მეგობრის იოჰან კრუიფის დროს ჰქონდა.**

– მე მართლაც მინდა, რომ მან შემტევი, ამბიციური სტილით ითამაშოს, ამავე დროს საღი გონებითაც ვიმსჯელოთ. იცით, მე უფრო იტალიელს ვგავარ, ვიდრე ჰოლანდიელს. დარწმუნებული ვარ, გუნდისთვის მთავარია გაწონასწორებული რგოლების შექმნა. უნდა შეუტიო, როცა შენი დაცვის სოლიდურობაში ხარ დარწმუნებული, შეუტიო იმავე დაცვის შემწეობითა და დახმარებით.



**– სათქმელად იოლია...**

– ასეთი სტილის დასამკვიდრებლად კლუბში ურთიერთნდობის ატმოსფერო უნდა შეიქმნას. „აიაქსში“ ყველა შემადგენლობა, საბავშვო გუნდიდან მოყოლებული და ძირითადით დამთავრებული, ერთი და იგივე ტაქტიკური სქემით თამაშობს. ამიტომაც არის, რომ ჭაბუკს არ უჭირს უფროსი ასაკის ფეხბურთელებთან საერთო ენის გამონახვა. „ბარსელონაში“ ამის გაკეთება ძნელია. ბევრი ახალი მოთამაშეა, რომლებიც თანდათან ეჩვევიან ერთმანეთს.

**– ისე გამოდის, რომ მეტოქეებს „ფორას“ აძლევთ.**

– ერთგვარად ასეც კია, მაგრამ მე მეტად ამბიციური მოთამაშეები მყავს, ისინი „დამშეული“ არიან, უნდათ ყველაფრის მოგება, რისი მოგებაც კი შეიძლება. ასეთი განწყობილებით ყველაფრის მიღწევა შეიძლება.

**– როგორი ურთიერთობა გაქვთ მოთამაშეებთან? კრუიფი მათ გართობაზეც ზრუნავდა, ლუის ვან გაალი კი რობოტების შექმნაზე ზრუნავდა.**

– ფეხბურთი ძალზე სერიოზული რამაა. გართობა ძალიან კარგია და სასარგებლოც კი, ამასთან, უფრო მნიშვნელოვანია სოლიდურად, სერიოზულად, მუყაითად მუშაობა.

**– თქვენ გული დაგწყდათ, როცა ბექჰემი „ბარსაში“ არ აღმოჩნდა პრეზიდენტ ლაპორტას ამდენი ცდის მიუხედავად?**

– ბექჰემი ინგლისის ნაკრების კაპიტანია, დიდი ფეხბურთელი, მაგრამ მე მაინც გული არ დამწყვეტია იმიტომ, რომ ჩემთან თამაშობს მეგავარსკვლავი რონალდინიო.

**– თქვენ ხომ არ ოცნებობთ ისეთ შემადგენლობაზე, როგორიც მადრიდის „რეალს“ ჰყავს?**

– „რეალით“ ნუ მაშინებენ. მე უფრო „ბარსას“ საქმეები მაინტერესებს, ვიდრე „რეალთან“ კონკურენცია.

**– ხომ არ ნიშნავს თქვენი სიტყვები, რომ „რეალს“ უდავო ფავორიტად არ თვლით?**

– „სამეფო კლუბში“ დიდი ფეხბურთელებია თავმოყრილი. თითოეულ მათგანს შეუძლია არა მარტო რომელიმე კომბინაციის დროს გამოიჩინოს თავი, არამედ მატჩის ბედიც კი გადაწყვიტოს. მე განსაკუთრებით ზიდანის თამაშით ვარ აღფრთოვანებული. ზოგჯერ ისეც კი მეჩვენება, რომ იგი მინდორზე სადღაც არის, იქ არა, სადაც გადამწყვეტი ბრძოლაა. უცბად, რაღაც გენიალური ილეთით სწორედ ბრძოლის შუაგულში აღმოჩნდება ხოლმე. ავიღოთ თუნდაც რონალდო და რაული. ისინი იმდენად სახიფათონი არიან, რომ ელვის სისწრაფით შეუძლიათ თამაშში გარდატეხის შეტანა. ამასთან, დარწმუნებული ვარ: კარგი „ბლოკის“ შექმნით ასეთი თავდამსხმელების შეჩერება შეიძლება.

**– დღეისათვის „ბარსელონა“ ძლიერია?**

– ჩვენ სწორი კურსი ავიღეთ. რა თქმა უნდა, მეტი გვინდა, მაგრამ ეკონომიკური შესაძლებლობებიც ხომ უნდა გავითვალისწინოთ. მარცხენა ფრთა მაღელვებს, შეიძლება სადმე მარცხენა მცველი ვნახოთ.

**– მოდი, ვიოცნებოთ. ვისი მოწვევა გსურდათ? დაასახელეთ ერთი მოთამაშე.**

– ამ კითხვაზე ძნელია პასუხის გაცემა. სიამოვნებით მოვიწვევდი დესაიის, მე სწორედ ასეთი მოთამაშე მაკლია. მას შეუძლია წესრიგის დამყარება, მტკიცე ხასიათის გამოვლენა, სიცარიელეების ამოვსება.

**– მაშინ თქვენ რაიკაარდსი გჭირდებათ.**

(რაიკაარდსს ეცინება) – არა, მაინც დესაიი სჯობს. მე მას თვალ-ყურს ვადევნებდი, როგორ ითამაშა ჩვენს წინააღმდეგ 2000 წელს ევროპის პირველობაზე, ბევრი რამ ვნახე.

**– ხომ არ გაოცდით, როცა „ბარსელონაში“ მუშაობა შემოგთავაზეს?**

– ასე ვიტყოდი: მე ყოველდღიურობით ვცხოვრობ. ჩემი ცხოვრება ყოველთვის სიურპრიზებით იყო სავსე. არ ველოდი, რომ „მილანში“ სათამაშოდ მიმიწვევდნენ, არც იმას, რომ ჰოლანდიის ნაკრების, განებავთ „ბარსელონის“ მწვრთნელი გავხდებოდი. რაკი დავთანხმდი, ახლა ნდობა უნდა გავამართლო.

**– იოჰან კრუიფთან ახლოს ხართ?**

– ვიცი, რომ მან ჩემს შესახებ „ბარსელონის“ ხელმძღვანელობას ბევრი რამ უთხრა, მადლობელი ვარ. მას უსმინა კიდეც პრეზიდენტმა ლაპორტამ, რამაც გამახარა. კრუიფი ჩემი კეთილი, ძველი მეგობარია. იგი იცნობს ჩემს იდეებსა და მუშაობის მეთოდებს. ისე კი, მე ფეხბურთზე ჩემი – ფრანკ რაიკაარდის შეხედულებები მაქვს.

**– სხვა მწვრთნელებმა მოახდინეს თქვენზე გავლენა?**

– რა თქმა უნდა. მე მწვრთნელის ხელობას ბევრისგან ვსწავლობდი. ერთი რომ დავასახელო, ის რინუს მიხელსი იქნება.

**– სხვა მიზნებთან ერთად პრეზიდენტი ლაპორტა „ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრასაც გისახავთ. რამდენად რეალურია ეს ამოცანა?**

– რატომაც არა. ჩვენი პრიორიტეტული ამოცანაა ამ პრესტიჟულ ტურნირში დაბრუნება. ვფიქრობ, „ბარსელონისათვის“ აუცილებელია რაიმე სერიოზული ტურნირის მოგება: ან ჩემპიონთა ლიგის, ან ესპანეთის ჩემპიონატის, სამეფო თასის, უეფას თასის...

**– რაიმე პრეტენზია ხომ არა გაქვთ გუნდის გულშემატკივრების მიმართ?**

– არავითარი. პირიქით, გულშემატკივრებს უნდა ჰქონდეთ პრეტენზიები.

**– რონალდინიომ უნდა გაამართლოს იმედები?**

– დიახ, აუცილებლად. იგი ხომ ძალიან ძლიერი მოთამაშეა, ნამდვილი ვარსკვლავი. გარდა ამისა, ძალიან მომწონს მისი ფანტასტიკური შეხმატკბილება პარტნიორებთან. ეჭვგარეშეა, იგი გუნდს დიდ სარგებლობას მოუტანს.

**– ლიდერად იქცევა?**

– არა. ლიდერი მე სულ სხვანაირად წარმომიდგენია. რონალდინიო ისეთი ტიპის მოთამაშეა, რომელთაც შედეგიც მოაქვთ და ლამაზი ფეხბურთიც. ამასთან, ლიდერი, ჩემი გაგებით, ცოტა სხვანაირია. ეს არის სოლიდური, სერიოზული, შესაძლოა, არც ისე „კაშკაშა“ ფეხბურთელი, რომელსაც შეუძლია გუნდის თამაშის საჭირო მიმართულებით წარმართვა.

**– ზოგი იმას გედავებათ, რომ კლუივერტს ცენტრფორვარდის ფუნქციებს აკისრებთ.**

– რა არის აქ სადავო? პატრიკი ამ პოზიციაზე ჩემთან ჰოლანდიის ნაკრებშიც თამაშობდა. მაშინ მე ამ ვარიანტმა დამაკმაყოფილა.

**მოამზადა**
**გივი თორელა.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

წლის ლაურეატი

# პაველ ნედვედი, ანუ პავლე პირველი

**ეს საკმაოდ იშვიათად ხდება. ჟურნალისტებმა დიდი ხნით ადრე გამოიცნეს, რომ 2003 წლის „ოქროს ბურთს“ მაინცდამაინც ჩეხი პაველ ნედვედი („პავლე პირველი“) მოიპოვებდა.**

**პაველ ნედვედის მოკლე სადარბაზო ბარათი:**

**დაიბადა 1972 წლის 30 აგვისტოს ჩეხეთის ქალაქ ჰებში. სიმაღლე 177 სმ, წონა 70 კგ. ჰყავს მეუღლე ივანა. შვილებს მშობლების სახელი ჰქვიათ: პაველ-უმცროსი და ივანა-უმცროსი. გატაცება — ღვინოების კოლექციონერობა, ამჟამად მის კოლექციაში ათასზე მეტი დასახელების ღვინოა.**

**1991-1992 წლებში თამაშობდა პრაღის „დუკლაში“, 1992-1996 წ. წ. — პრაღის „სპარტაში“, 1996-2001 — რომის „ლაციოში“, 2001 წლიდან — ტურინის „იუვენტუსში“. ჩეხეთის ნაკრებში 74-ჯერ ითამაშა და გაიტანა 17 გოლი. ჩეხეთის სამგზის ჩემპიონი და თასის ორგზის მფლობელი, იტალიის ორგზის ჩემპიონი და თასის სამგზის მფლობელი, თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში გამარჯვებული.**

მოგვყავს ნაწყვეტები ნედვედის რამდენიმე უკანასკნელი ინტერვიუდან.

**— მე სრულიადაც არ მაინტერესებდა „ოქროს ბურთი“** — ასეთი მოულოდნელი რამ თქვა ნედვედმა, როცა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდოს მინიჭების ამბავი შეიტყო — მოთამაშემ, უპირველეს ყოვლისა, ქველმოქმედებაზე უნდა იფიქროს, ვიდრე პირად ჯილდოებზე.

**— როგორ, ასეთ ავტორიტეტულ გამოკითხვაში გამარჯვება თქვენთვის არაფერია?**

— არა, რატომ. მე, რა თქმა უნდა, ბედნიერი ვარ, რომ პრიზი მომენიჭა, იმ შეუპოვარი შრომისათვის ვარჯიშის, თავგამოდებით თამაშისათვის, ამასთან, მინდა გავიმეორო, რომ ცხოვრებაში იმაზე მნიშვნელოვანი მოვლენებიც არის, ვიდრე პრიზები, წოდებები, გამარჯვებები.

**— ამ სეზონში თქვენთვის ყველაზე ტრაგიკული მოვლენა იყო ჩემპიონთა ლიგის ფინალში „მილანის“ წინააღმდეგ თამაშის შესაძლებლობის დაკარგვა. ეს ყვითელი ბარათი „რეალთან“, ალბათ, მთელი თქვენი სიცოცხლის განმავლობაში არ დაგავიწყდებათ...**

— ეს ფრიად უსიამოვნო რამ კიდევ დიდხანს მემახსოვრება. ამასთან, თითოეული მატჩი, თითოეული მოპოვებული ქულა ხომ იმას გახსენებს, რომ ცხოვრება გრძელდება. ამიტომ დილით რომ ვიღვიძებ, ერთი განზრახვა მაქვს — კვლავ ვითამაშო.

**— თქვენ ისტორიაში ორმოცდამერვე მოთამაშე ხართ, ვინც „ფრანს ფუტბოლის“ ჯილდო „ოქროს ბურთი“ დაიმსახურა. ეს პრიზი მერვედ მიიღო „იუვენტუსის“ ფეხბურთელმა, პირველად — ჩეხეთის წარმომადგენელმა. რა გრძნობა დაგეუფლათ?**

— ამასთან ისიც ვთქვათ, რომ ჯილდოს მეორედ იღებს ფეხბურთელი, რომელიც ჩეხოსლოვაკიაში დაიბადა, 41 წლის წინათ „ოქროს ბურთი“ იოჟეფ მასოპუსტმა მიიღო. მე ბედნიერი ვარ, რომ ასეთ დიდ ფეხბურთელს გავუთანაბრდი, ისევე როგორც ბევრი ჩემი თანამემამულესათვის, მასოპუსტი ჩემთვისაც ლეგენდა იყო. მე სამუდამოდ დავიმახსოვრე პრაღის „დუკლას“ ამ ბრწყინვალე ნახევარმცველის მატჩები, ჯერ კიდევ შავ-თეთრი ტელევიზორით ნახულ „ოქროს ბურთზე“ მთელი ჩემი თაობა ოცნებობდა, განსაკუთრებული ილუზიები კი არავის ჰქონია, ეს მაშინ რაღაც შორეულად და მიუწვდომლად მოჩანდა.

**— ისე გამოდის, რომ თქვენ ამ გადაწყვეტილებამ, ცოტა არ იყოს, გაგაოცათ.**

— დიახ, მე ნამდვილად გაოცებული ვარ, ამას არ ველოდი. მაისში მე ვერ მოვახერხე, მეთამაშა ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩში. ჩემი აზრით, მარტო ეს ფაქტიც კი საკმარისი იქნებოდა პრეტენდენტთა რიგებიდან ჩემს გამოსარიცხად. ამავე დროს, მე ყოველთვის მოკრძალებული, ცოტა მორცხვი ადამიანიც კი ვიყავი. ამიტომ თავს არასოდეს მივიჩნევდი უძლიერესად. პრიზის მინიჭებას ჩემი შრომის, ჩემი ცდის აღიარებად ვთვლი. ბევრი მატჩი „იუვენტუსსა“ და ჩეხეთის ნაკრებში ურიგოდ როდი ჩავატარე. ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ჩეხეთმა შეძლო გაესწრო ჰოლანდიისათვის, მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერესი გუნდისათვის. მე უკვე აღარ ვლაპარაკობ წაუგებლად წარმართულ 19 მატჩზე, ზედიზედ 15 გამარჯვებაზე.

**— თქვენ ყოველთვის უპირატესობას გუნდურ თამაშს ანიჭებდით. ასე არ არის?**

— სრული სიმართლეა. მე ეს ბავშვობიდანვე გავითავისე. ჩემს ქვეყანაში მწვრთნელები ფეხბურთელებს ყმაწვილობიდანვე აქეთკენ მოუწოდებენ. ეს ჩვენთან კულტურის დონეზეა აყვანილი. ვისაც ამაში დარწმუნება სურს, თვალყური ადევნოს ჩეხეთის ნაკრების მატჩებს: გუნდი სძლევს ხოლმე ინდივიდუალობას.

**— ხმების მიცემისას გამოირკვა, რომ თქვენ დიდი მანძილით ჩამოიტოვეთ უახლოესი მდევრები — ტიერი ანრი და პაოლო მალდინი. რას იტყვით ამის შესახებ?**

— ჩემი აზრით, ჟიურის რთული არჩევანი ჰქონდა: ანრი და მალდინი ბრწყინვალე ფეხბურთელები არიან. განსაკუთრებით კი პაოლო, რომლის თამაში მრავალი ფეხბურთელისთვის სამაგალითო, მიბაძვის ღირსია. შეიძლება დღეისათვის იგი ისე აქტიურად აღარ მიდის წინ, რაც არ უნდა იყოს, ცენტრალური მცველის პოზიციაზე თამაშობს — ნესტასთან ერთად „მილანში“ უმძლავრეს დაცვით ზღუდეს ქმნის. მე ამას საკუთარი გამოცდილებით მოგახსენებთ, თვითონ დავრწმუნდი.

**— როგორ ფიქრობთ, „მილანთან“ მატჩმა იმოქმედა იმაზე, რომ პრიზი მოგენიჭათ?**

— ჩემი აზრით, ამ პრიზის მინიჭებაში მაინც მთელმა სეზონმა იმოქმედა, ამისათვის დამაჯილდოვეს.

**— თქვენ ხომ არ გინდათ იმის უარყოფა, რომ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში მადრიდის „რეალთან“ გამარჯვებამ პირადი ქულები შეგძინათ. ამ მატჩში „იუვენტუსი“ არაჩვეულებრივი შეუპოვრობით და განწყობით თამაშობდა. ესპანური პრესა იტალიურ ფეხბურთზე უარყოფით აზრს გამოთქვამდა. ამას თქვენი გუნდის თამაშზე რამენაირად ხომ არ უმოქმედია?**

— იმოქმედა, როგორ არა. ჩვენი გაკრიტიკება მეოთხედფინალიდან დაიწყეს, როდესაც „ბარსელონა“ დავამარცხეთ. ასეთი რამ გვითხრეს: „იტალიელთა მოქმედებაში არავითარი სათამაშო ფუნდამენტი არ ჩანს“. რა თქმა უნდა, ასეთმა განცხადებებმა გაგვაღიზიანა. ჩვენ მას უსამართლოდ ვთვლიდით და გვინდოდა საპირისპიროს დამტკიცება.



**— სამწუხაროდ, ნახევარფინალში, თამაშის დამთავრებას რომ თითქმის აღარაფერი უკლდა, მაკმანამანთან შეტაკებისას ყვითელი ბარათით დაგსაჯეს, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ფინალში ვეღარ ითამაშებდით, რა გრძნობა დაგეუფლათ, როცა მსაჯმა ყვითელი ბარათი დააძრო?**

— როცა ბარათი დავინახე, ლამის გავთავდი. მუხლებზე დავეცი და თავბედს ვიწყევლიდი „ის, რაც მთელი წლის მანძილზე გავაკეთე, წყალში გადავყარე“. არა, მე მსაჯს არ ვამტყუნებდი, მხოლოდ საკუთარ თავს.

**— თქვენ თვლით, რომ 2003 წელი საუკეთესო იყო თქვენს კარიერაში?**

— ვფიქრობ, ასეა. ადრეც მქონდა კარგი ეტაპები, განსაკუთრებით — „ლაციოში“. ჩემი პირველი სეზონიც კი „ივენტუსში“, ძნელი დასაწყისის მიუხედავად, მუდმივად სასიამოვნო მოგონებად დამრჩა. განსაკუთრებით კარგი იყო კოლექტიური თამაში, როცა ბოლო ტურში მაინც მოვიპოვეთ „სკუდეტო“. 2003 წელი ჩემთვის ძალიან კარგად წარიმართა: ბევრი მატჩი მოვიგეთ. მე კი პრაქტიკულად შეუცვლელად ვთამაშობდი. სერიოზულად ერთხელაც კი არ დავშავებულვარ — ესეც წარმატებად ჩავთვალოთ.

**— თქვენ არასოდეს გითქვამთ, რომ „ოქროს ბურთზე“ რაიმე პრეტენზია გქონდათ. მაგრამ ეს თქვენს მაგივრად „იუვენტუსის“ მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ თქვა.**

— ლიპი ნამდვილად დიდი ტაქტიკოსი და უაღრესად გულისხმიერი ადამიანია. როგორც კი „იუვენტუსში“ ჩავირიცხე, დამიახლოვდა, მამხნევებდა, განსაკუთრებით — პირველ თვეებში. რაც შეეხება „ოქროს ბურთს“, თავიდანვე დარწმუნებული იყო, რომ აუცილებლად მომანიჭებდნენ. ერთხელ ლიპიმ მითხრა: „მიიღებ ამ ჯილდოს, აუცილებლად მიიღებ. არა გჯერა? შემხედე ხელზე: ბრასლეტი მიკეთია. ჩემი შვილიშვილის საჩუქარია, არასოდეს ვიცილებ. მასში რაღაც ჯადოსნურია, მომავალს რომ გამოიცნობ. აი, მეც „ოქროს ბურთსა“ და პარიზში გამართულ ცერემონიას ვხედავ“! მაშინ მეგონა, რომ მწვრთნელი ხუმრობდა, მაგრამ იგი მართალი აღმოჩნდა. იგი ამისათვის ყველაფერს აკეთებდა. არც ისე მნიშვნელოვან მატჩებში გამოვყავდი, რათა წარმატებით მეთამაშა და რწმენა მომმატებოდა. ლიპისათვის ამ ტიტულის მონიჭებას ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, შეიძლება იმიტომაც, რომ იგი ძალიან აფასებს იმ ცდასა და შრომას, რომელსაც მე ყოველდღიურ ვარჯიშებს ვახმარ.



**— თქვენ ყოველთვის თვლიდით, რომ ზიდანი უფრო მაღალი კლასის ფეხბურთელია. ამასთან, ორი წლის განმავლობაში ორი სკუდეტო მოიპოვეთ, იმდენივე, რაც ზიდანმა „იუვეში“ ყოფნის მთელ პერიოდში.**

— სტატისტიკა ყოველთვის დამარწმუნებელი როდია. მე ზიდანს სამყაროს ყველაზე უკეთეს ფეხბურთელად ვთვლი. გეთანხმებით, „იუვენტუსის“ წარმატებაში დიდი წვლილი შევიტანე. როცა ზიდანი თამაშობდა, „იუვენტუსი“ ტექნიკური თვალსაზრისით უკეთესი იყო. მე გუნდს მეტი ძალა და სისწრაფე მოვუტანე.

**— თქვენ თქვით, „ჩემი თამაში — ეს არის სიზქარის მუდმივი მომატება, ბრძოლა მინდვრის თითოეულ უბანზე“. ძალები როგორ გყოფნით?**

— ამისათვის საჭიროა ყოველდღიური ვარჯიში, მიღწეულზე შეუჩერებლობა, მაშინ შედეგები ძალიან მალე გამოჩნდება.

* * *

*საინტერესოა, რომ „ოქროს ბურთის“ მინიჭების წინ გამოჩენილმა არგენტინელმა მწვრთნელმა კარლოს ბიანკიმ („ბოკ ხუნიორსი“) თქვა: „დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები: ნედვედი რომ იტალიელი, ესპანელი ან ინგლისელი ყოფილიყო, იგი დიდი ხნით ადრე მოიპოვებდა „ოქროს ბურთს“, თუნდაც ერთხელ მაინც!*

*ხომ მოიპოვა!*

*აი, ვინ რამდენი ხმა მიიღო:*

*1. ნედვედი — 190 ხმა, აქედან 27-ჯერ პირველი ადგილი მიაკუთვნეს, 9-ჯერ მეორე, 2-ჯერ მესამე, 4-ჯერ მეექვსე, ერთხელ — მეხუთე.*

*2. ანრი — 128 ხმა. 8-ჯერ — პირველი, 9-ჯერ მეცხრე, 14-ჯერ მესამე, 4-ჯერ მეოთხე, 7-ჯერ მეხუთე.*

*3. მალდინი — 127. 7-ჯერ — პირველი, 13-ჯერ მეორე, 7-ჯერ მესამე, 4-ჯერ მეოთხე, 7-ჯერ მეხუთე.*

*დანარჩენი პრეტენდენტები საგრძნობლად ჩამორჩნენ (4 შევჩენკო — 67, 5. ზიდანი — 64. 6. ვან ნისტელროი — 61 და ა. შ.).*

*„ოქროს ბურთის“ სიმბოლური ნაკრები ასეთია: ბუფონი — ნესტა, მალდინი, რობერტო კარლოსი — ბექჰემი, დეკუ, ნედვედი, ზიდანი, შევჩენკო, ვან ნისტელროი, ანრი.*

პუბლიკაცია მოამზადა
**გივი გამრეკელმა.**

ჭადრაკი

# „რკინის მონსტრების“ ჩემპიონი



**დღემდე დიდი ჩემპიონები, განებავთ, გარი კასპაროვი, განებავთ ვლადიმირ კრამნიკი ვერაფრით ახერხებენ თავიანთი საგრძნობი უპირატესობის დამტკიცებას „რკინის მონსტრებთან“, ანუ საჭადრაკო პროგრამასთან, თუმცა, ფიქრობენ, რომ ამას მალე მოახერხებენ...**

ამასობაში გადაწყდა თვით „რკინის მონსტრების“ დიდი შეჯიბრების გამართვა ყველა თვალსაჩინო პროგრამის მონაწილეობით. ხომ კარგა ხანია გავიდა დრო, როცა ცნობილი ამერიკელი დიდოსტატი იასერ სეირავანი (ნახევრად არაბი, ნახევრად ინგლისელი), ამბობდა: „საჭადრაკო კომპიუტერი — ეს გახლავთ მეორე თანრიგის მოჭადრაკე, რომელსაც არასოდეს მოსდის აშკარა შეცდომები“, შეცდომები, ცხადია, ახლაც მოსდის, მაგრამ შედარებით იშვიათად.

და აი, გრაცში (ავსტრია) მოეწყო შეჯიბრება 16 უძლიერეს კომპიუტერს შორის, რომელთა შემდგენლებს სერიოზული ფულადი ჯილდო გადაეცემოდა. შეჯიბრებამ მაღალ დონეზე ჩაიარა, მთელი რიგი პარტიები კი საჭადრაკო თეორეტიკოსებისთვისაც საინტერესო აღმოჩნდა.

მონაწილეებს შორის პირველი ადგილისათვის იბრძოდა ოთხი — გერმანული „შრედერი“, რომელსაც ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს, ამჯერად კომპიუტერთა წრეში ყველაზე ცნობილი „ფრიცი“ (რომელსაც კასპაროვმა ვერაფერი დააკლო), შარშანდელი ჩემპიონი „ჯუნიორი“ და ახალბედა „ბრუტუსი“.

საბოლოოდ დაწინაურდნენ და ჩემპიონის გამოსავლენად ერთმანეთს გადამწყვეტ მატჩში შეხვდნენ გერმანული პროგრამები „შრედერი“ და „ფრიცი“, რომლებმაც ძირითად ტურნირში 9,5-9,5 ქულა მოაგროვეს. ანგარიშით 1,5:0,5 გაიმარჯვა „შრედერმა“, რომელსაც ჩემპიონობა მიენიჭა.

როგორ თამაშობს „შრედერი“? როგორც ყველა საუკეთესო თანამედროვე კომპიუტერული პროგრამა, მწვავედ, ღრმად, შორს ითვლის ვარიანტებს, უყვარს ფიგურების შეწირვა, ძალიან ძალუმად უტევს. იგი ისეთ სადებიუტო ვარიანტებს ირჩევს, რომლის შედეგადაც უფრო იოლია ინიციატივის გამოვლენა. სწორედ ასეთნაირად წარიმართა მისი შეხვედრა ძლიერ კომპიუტერ „ჯონისთან“, სადაც გამარჯვებულმა შეწირვების მთელი „კასკადი“ განახორციელა.

## მწვრთნელი

**ოლიმპიურ თამაშებზე ქართველ ათლეტთაგან ყველაზე მეტი მედალი მოჭიდავეებზე მოდის. ტრადიციას ღირსეულად განაგრძობენ დღევანდელი ფალავნები. დასტურად ისიც გამოდგება, რომ შარშან მსოფლიო ჩემპიონატებზე ჩვენმა სპორტსმენებმა ორი ოქროს მედალი მოიპოვეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ამჯერადაც მოჭიდავეები ავიდნენ. ათენის ოლიმპიურ თამაშებშიც სწორედ მათი იმედი გვაქვს. გვესაუბრება საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზაზა თურმანიძე.**



# ტაქტით და გამოცდილებით

— ნიუ-იორკის ხალიჩა ჩვენთვის იღბლიანი გამოდგა, — მითხრა მან. — ელდარ კურტანიძემ (96 კგ.) ზედიზედ მეორედ დაამარცხა ფინალში ირანელი ალი რეზა ჰეიდარი და ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი. მსგავსი წარმატების მიღწევა შეეძლო შარშანდელ ევროპის ჩემპიონ რევაზ მინდორაშვილს (84 კგ.), მაგრამ საბოლოოდ ბრინჯაოს“ დასჯერდა. შეჯიბრების წინ მან იავადმყოფა და ჩვეულ სპორტულ ფორმაში არ იყო, თორემ კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურისკენ მიმავალ გზაზე ვერავინ გადაეღობებოდა.

*საგულისხმოა, რომ ორივე სპორტსმენმა ათენის ოლიმპიური თამაშების ლიცენზია მოიპოვა. მათთან ერთად ელადის საგზურები დაიბევეს დავით პოღოსიანმა (60 კგ.), ოთარ თუშიშვილმა (66 კგ.) და ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა ალექსი მოდებაძემ (მძიმე წონა), ულიცენზიოდ დარჩნენ ბესარიონ გუჩაშვილი (55 კგ.) და გელა საღირაშვილი (74 კგ.), არადა, გუჩაშვილი ძალიან ახლოს იყო მიზანთან. ბერძენთა სახელით მოასპარეზე ყოფილ ვლადიკავკაზელთან, ოლიმპიური თამაშების პრიზიორ ამირან კარტანოვთან ბესომ 9 წუთი იჭიდავა. მართალია, ანგარიში 1:1 იყო, მაგრამ ქართველ ფალავანს ნაკლები გაფრთხილება ჰქონდა. გონგამდე წამით ადრე კარტანოვმა მას გამარჯვების ქულა აართვა.*

— ყოველივეს მიუხედავად, იმედს არ ვკარგავთ და ათენში სრული გუნდით გავემგზავრებით. იანვრის მიწურულს ბრატისლავაში, ხოლო 14-15 თებერვალს სოფიაში ორი სალიცენზიო ტურნირი გაიმართება. ვფიქრობ, ორივე წონაში ვაკანსიების შევსება არ უნდა გაგვიჭირდეს.

რაც შეეხება ყველაზე მნიშვნელოვანს — გუნდურ მსოფლიო პირველობას, საქართველოს ნაკრებმა, როგორც იცით, ყველას აჯობა, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა ქართული ჭიდაობის ისტორიაში, მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, ამერიკელები და ირანელები გავიდნენ.

**— სამომავლოდ რას აპირებთ?**

— წლეულს უმთავრესი მიზანია ოლიმპიურ თამაშებზე წარმატებით გამოსვლა. საამისოდ ძალასა და ენერგიას არ დავზოგავთ. შარშან ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა გოჩა ძასოხოვმა, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა, ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა და ოლიმპიურმა ფონდმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ჩვენს მოჭიდავეებს ნორმალური მოსამზადებელი პირობები და შეჯიბრებებზე თავიანთი შესაძლებლობების სრულად წარმოჩენის საშუალება ჰქონოდათ. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მათ მორალური და მატერიალური მხარდაჭერისთვის. იმედია, წლეულს — ოლიმპიურ სეზონშიც არ მოგვაკლებენ თანადგომას. ათენში გამგზავრებამდე უკვე დაგეგმილი გვაქვს 6 საწვრთნელი შეკრება და 3 საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობა. 23-25 აპრილს სტამბოლში ევროპის ჩემპიონატზეც ვიასპარეზებთ, ოღონდ როგორი შემადგენლობით, ამას მოგვიანებით გავარკვევთ. ვეცდებით, ქომაგები არ გავაწბილოთ და ელადიდან ერთი ოქროს მედალი მაინც ჩამოვიტანოთ. საამისოდ აქედანვე იჭერენ თადარიგს ჩვენი გამოცდილი მწვრთნელები — გია გალდავა, მარლენ ოსეყმაშვილი, დავით ხურცია, ნუგზარ სხირელი, კობა ლოჩოშვილი, ვანო ნიკოლაძე და სხვები, რომლებიც საწვრთნელ პროცესებს უნარიანად ხელმძღვანელობენ და შეგირდებს მომავალი ორთაბრძოლებისთვის ამზადებენ.

*ცხადია, ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის საქმიანი რჩევითა და საერთო ზედამხედველობით. ზაზა თურმანიძეს ხომ საამისოდ არც ტაქტი აკლია და არც გამოცდილება. თავადაც ახლო წარსულში სახელოვანი ფალავანი გახლდათ.*



ასე ჭიდაობდა ზაზა თურმანიძე (მარჯვნივ)

ჭიდაობა 14 წლისამ დაიწყო საჩხერეში მიხეილ ღამბაშიძის ხელმძღვანელობით. გლდანის სპორტსკოლაში გადმოსვლის შემდეგ ჯონი ლორია ავარჯიშებდა.

საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია. 1981 წელს მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა მოიგო. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებზე თითოჯერ ოქროს (1990 წ.), ვერცხლისა (1988 წ.) და ბრინჯაოს (1986 წ.) მედლები მოიპოვა. 1987 წლის ევროპის ჩემპიონია. 1994 წელს „კეთილი ნების“ საერთაშორისო თამაშები მოიგო, ორჯერ (1989-1990 წ. წ.) თბილისის საერთაშორისო ტურნირებში გაიმარჯვა. 1996 წელს მონაწილეობდა ატლანტის ოლიმპიურ თამაშებში, არის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ორჯერ (1989 და 1991 წ. წ.) მსოფლიო თასის გათამაშების მეორე პრიზიორი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ღირსების ორდენის კავალერი.

1991 წლიდან საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებს უდგას სათავეში. მისი მთავარი მწვრთნელობისას მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს დავით გობეჯიშვილმა, ელდარ კურტანიძემ, ემზარ ბედინეიშვილმა, გურამ მჭედლიძემ, ოთარ თუშიშვილმა, დავით ოთიაშვილმა, დავით პოღოსიანმა, ზაზა ზოზიროვმა, ალექსი მოდებაძემ, რევაზ მინდორაშვილმა. საქართველოს ნაკრებმა 2001 წელს ევროპის ჩემპიონატზე გუნდური მესამე, 2002 წელს კი მეორე ადგილი დაიკავა, 2003 წელს ნიუ-იორკში მსოფლიო ჩემპიონატზე ყველას აჯობა და მთავარი პრიზი დაიმსახურა.

ზაზა თურმანიძე არის 38 წლის (დაიბადა 1965 წლის 1 აგვისტოს საჩხერის რაიონის სოფელ მახათაურში), ჰყავს მეუღლე — ნანა ჯაფარიძე და 2 შვილი — 4 წლის ანდრო და 2 წლის მარიამი.

— სპორტული ოჯახიდან ვარ, მამა ძალოსანი მყავდა, პატარაობისას მეც ვცდილობდი შტანგასთან შეჭიდებას, მაგრამ მიხეილ ღამბაშიძის ზეგავლენით ჭიდაობამ გადამძალა, — ასე გაიხსენა სპორტული კარიერის დასაწყისი ზაზა თურმანიძემ. ისიც დასძინა, არჩევანში არ შევმცდავარო.

— ზოგჯერ ბედიც გინდა კაცს, — დანანებით თქვა მან. — ისეთ დროს მომიწია ჭიდაობა, როცა საბჭოთა კავშირში დავით გობეჯიშვილის და ასლან ხადარცევის სახელები გრგვინავდა. მაინც ბედნიერი ვარ, რომ მათთან პაექრობაში რამდენიმე მნიშვნელოვან წარმატებას მივაღწიე. 1986 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ნახევარფინალში სწორედ ხადარცევთან დავმარცხდი, მესამე ადგილისთვის ორთაბრძოლა კი გენადი ჟილცოვს მოვუგე. 1988 წელს კრასნოიარსკში ფინალამდე მივაღწიე. გადამწყეტ შეხვედრაში დავით გობეჯიშვილმა მძლია. იმ წელიწადს დათომ წარმატებით იასპარეზა სეულის ოლიმპიურ თამაშებში და ოქროს მედლით დაბრუნდა.

საკავშირო ჩემპიონატის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მეც ავედი 1990 წელს. ფინალში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის — ალექსანდრ მედვედის ვაჟი — ალექსანდრ მედვედი-უმცროსი დავამარცხე.

**— ევროპის ჩემპიონატზე როგორდა მოვხვდით?**

— 1987 წელს თბილისის საერთაშორისო ტურნირზე მესამე ადგილი დავიკავე, მერე მინსკში ალექსანდრ მედვედის ტურნირი მოვიგე, სოციალისტური ქვეყნების შეიარაღებული ძალების ჩემპიონიც გავხდი. იმ წელიწადს იანვარში ხადარცევმა მსოფლიო თასის ფინალი წააგო ამერიკელ ბრიუს ბაუმგარტნერთან. საკავშირო ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ივან იარიგინმა ბულგარეთში ევროპის ჩემპიონატზე მე წამიყვანა. იქ კი ზედიზედ ვძლიე მასპინძელთა იმედს — ათანასოვს, უნგრელ ბალას, გერმანელ მსოფლიო ჩემპიონს — ანდრიას შროიდერს და ოქროს მედალი მოვიპოვე, მაშინ ბულგარეთში ჩემპიონი გახდა ლერი ხაბელოვიც.

**— ვიცი, რომ ბაუმგარტნერთანაც გიჭიდავიათ...**

— ამერიკელი ათლეტი მართლაც შესანიშნავი ფალავანი იყო. ორჯერ მქონდა მასთან პაექრობის ბედნიერება — 1989 და 1991 წლებში. ორჯერვე მსოფლიო თასის გათამაშების ფინალში დავმარცხდი ბრიუსთან და მეორე ადგილებს დავჯერდი. სპორტულ ფორტუნას 1994 წელს ლენინგრადშიც უნდა შევეხვედრებინეთ ერთმანეთთან, მაგრამ „კეთილი ნების“ თამაშების ნახევარფინალში მას ანდრეი შუმილინმა აჯობა. ფინალში კი შუმილინს მე მოვუგე. ბედნიერი ვარ, რომ მაშინ დამოუკიდებელი ქვეყნის სახელით ვიასპარეზე და დარბაზში ჩემი გამარჯვების აღსანიშნავად საქართველოს ჰიმნი აჟღერდა.

ბედნიერი ვარ იმითაც, რომ ეროვნული ნაკრების სათავეში ყოფნისას, ასევე, არნახულ წარმატებას მივაღწიეთ — ნიუ-იორკში გუნდური პირველი ადგილი მოვიპოვეთ.

როგორც გითხარით, ახლა ჩვენი მთავარი საზრუნავია, ქართველმა ფალავნებმა წარმატებით იასპარეზონ ათენის ოლიმპიადაზე და დიდი ხნის ნაოცნებარი ოქროს მედალი მოიპოვონ. ოლიმპიურ „ოქროს“ ხომ სხვა ხიბლი აქვს.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის მეშვეობით ახალი წელი მივულოცო ჩვენს სპორტსმენებს, მთელ ქართველ ერს და ახალ-ახალი გამარჯვებები ვუსურვო!

ესაუბრა
**ვაჟა დანელია.**

## ათლეტიზმი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

## ჯარისკაცებო, მიბაძეთ რიგით „ობობას“. III ნაწილი

ᲒᲐᲛᲫᲚᲔᲝᲑᲘᲡ გამოსამუშავებელი საუკეთესო საშუალებით — ტრენაჟორებით ვარჯიში მთელ მსოფლიოშია გავრცელებული. ამ პროცესში უკანასკნელ ხანს ჩვენთანაც ჩაებნენ, რაშიც საკუთარი წვლილი ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს შეაქვთ. ისინი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტრენაჟორებით აღჭურვილ დარბაზში ვარჯიშობენ, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება უცხოურ ანალოგებს. კარგი იქნება, თუ აღნიშნული ორგანოების მესვეურები თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამის ტრენაჟორებიან დარბაზებს თავიანთ სპორტულ ბაზებზეც გახსნიან.

დღეს განვაგრძობთ ვარჯიშების სერიას უშიშროების სამინისტროს ჯარების რიგითის **სერგო მერაბიშვილის** შესრულებით. შეგახსენებთ, რომ მას ფიზიკური მომზადების ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი ნიკოლოზ სარალიძე მწვრთნის.



1



2



3



4

**ზურგის უგანიერესი კუნთების ვარჯიში ტრენაჟორებით**

**1. ბლოკის ღერძის ჩამოზიდვა მკერდამდე განიერი ჭიდით (სურ. 1).** სრულდება 6 მისვლა 15-15 გამეორებით.

**2. ბლოკის ღერძის მიზიდვა მუცელთან (სურ. 2).** სრულდება 4 მისვლა 12-12 გამეორებით.

**3. ტრენაჟორის ღერძის ამოწევა მკერდამდე (სურ. 3).** სრულდება 6 მისვლა 12-12 გამეორებით.

**4. ტრენაჟორის ღერძის მოქაჩვა სხეულთან შეხებამდე (სურ. 4).** სრულდება 6 მისვლა 15-15 გამეორებით.

**ზურაბ ჭავჭანიძე.**
**ნაზი ბოზიშვილის ფოტო.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## საუბარი კოლეგასთან

# რატომ შეუგროვეს ფული თანამშრომლებმა ილია კევლიშვილს

**საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციაში ილია კევლიშვილს ვინმე რომ არ იცნობდეს, შეუძლებელია. იგი მთავარი რადიოს გამორჩეული ჟურნალისტია. პირველი საავტორო გადაცემა ჯერ კიდევ მაშინ შექმნა, როდესაც რადიოში დიქტორთა ინსტიტუტი არსებობდა. ეს იყო „საღამო მშვიდობისა“. ამ გადაცემამ 17 წელი იარსება, რაც ქართული რადიოს ისტორიაში უპრეცედენტოა. მისი ახლანდელი გადაცემები — „ინფორმაცია განსჯისათვის“ და „ცხელი ტალღა“ კი უამრავი ადამიანის ბედ-იღბალს ეხება.**

**— სად დაიწყო თქვენი ჟურნალისტური მოღვაწეობა?** — ვეკითხები ბატონ ილიას.

— გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“. პროფესიით თეატრმცოდნე ვარ და ჯერ კიდევ ვსწავლობდი, როცა იქ დავიწყე მუშაობა. თბილისში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დღეები ტარდებოდა და მე ამ დღეების გაშუქება მომანდეს, აღმოჩნდა, რომ ყველა მასალა, რომელიც მოვამზადე, რეპორტაჟული ხასიათისა იყო. გაზეთში მირჩიეს რადიოში დამეწყო მუშაობა. მართლაც, 1968 წელს მივედი საქართველოს რადიოში და ერთი წლის შემდეგ შტატში ჩავირიცხე. პირველი მასალა, რომელიც აქ მოვამზადე, მოდას ეხებოდა. მაშინ ვორონცოვზე ერთადერთი მოდელების სახლი იყო, სადაც ქართული მოდა იქმნებოდა. მოდელებში ეროვნულმა ელემენტებმა დამაინტერესა. რა მოდა აგიტყდაო, რადიოში მითხრეს, მაგრამ, როცა გავაკეთე გადაცემა, მოეწონათ და ეთერში გაუშვეს. მე თვითონ არ ვიყავი კმაყოფილი, მასალას დიქტორი კითხულობდა და ავტორის დამოკიდებულება არ ჩანდა. მაშინ სურვილი გამიჩნდა საავტორო გადაცემა გამეკეთებინა. საინტერესო იყო ერთი რამ: ჩემი ხმა არ არის ე. წ. ბარიტონი და როცა მაღალ ნოტებში ვლაპარაკობ, არასასიამოვნოდ აღიქმნება და, გარდა ამისა, მინდოდა გარკვეული ინტიმი შემექმნა. მაშინ მიკროფონი არ მოძრაობდა და დამონტაჟებული იყო გარკვეულ მანძილზე, ამიტომ სკამზე დავდექი მუხლებით და ისე მივედი ახლოს მიკროფონთან. ხმის რეჟისორმა მითხრა, ასე გადაცემის ჩაწერა არ შეიძლებაო, და გამექცა. მის თანაშემწეს — მარინა გუდკოვას დავუძახე და გადაცემა იმას ჩავაწერინე. ეს იყო ჩემი პირველი გადაცემა „საღამო მშვიდობისა“.

**— წერილები ყოველთვის მოდიოდა ამ გადაცემების სახელზე, მაგრამ იყო ერთი განსაკუთრებული შემთხვევა...**

— ჩემმა კოლეგებმა დაიწყეს ჭორაობა, რომ კევლიშვილი თვითონ წერს თავის თავს წერილებსო. ეს რომ გავიგე, გავბრაზდი და ვფიქრობდი, რითი გადამეხადა სამაგიერო. ერთ-ერთ გადაცემაში რადიომსმენელს მივმართე: მომწერეთ ერთი სიტყვა — გისმენთ, მიაწერეთ სახელი, გვარი, ასაკი და პროფესია. მართლაც, ეს პარასკევს მოხდა და, ორშაბათიდან რომ დაიწყო წერილებმა დენა, ამ კონკრეტულ გადაცემაზე 5000 წერილი მივიღე. ყველა წერილი მოვაგროვე, ჩავდე ტომრებში და დავდგი რედაქციის წინ. ორი დღე იდო ტომრები. ჩემი კოლეგები მოდიოდნენ, ამოიღებდნენ წერილს, წაიკითხავდნენ და იყო ჩოჩქოლი.

**— ვთქვათ, ვიზას არ აძლევდნენ გადაცემას და გინდოდათ, რომ ეთერში მაინც გასულიყო, რამე ეშმაკობებს მიმართავდით?**

— ზოგჯერ ასეც ხდებოდა, მაგალითად: 1971 წელს ვამზადებდი მუსიკალურ გადაცემებს, ვიყავი დიჯეი. ევროპის, ამერიკის და ქართული ესტრადის ყველაზე თანამედროვე მუსიკალურ ნაწარმოებებზე და მომღერლებზე ვსაუბრობდი. როდესაც გადაცემის ანოტაციას ვწერდი, იმ მომღერლის გვარს კი არ ვუთითებდი, არამედ რომელიმე ვიზირებული მომღერლის გვარს, რომელიც ასრულებდა სიმღერას, დავუშვათ, პარტიაზე. ერთი-ორჯერ გამომიჭირეს, ყურებიც ამიწიეს, მაგრამ მაინც ასე ვაგრძელებდი, იმიტომ, რომ ვასრულებდი მსმენელის სურვილს და ჩემთვის ეს იყო უზენაესი მაშინაც და ახლაც. პირველად მე გადავეცი „ბიჯიზის“, „ბიტლზის“, სტივ ვანდერის, თინა ტერნერის სიმღერები, ალა პუგაჩოვას გახმაურებეული „არლეკინო“. სხვათა შორის, ალა პუგაჩოვასთან პატარა ინტერვიუც მივეცი... ჩემს მოსკოველ კოლეგას ალინა სილიკაშვილს ვთხოვე და ინტერვიუ ჩემი დაკვეთით შედგა, სადაც პუგაჩოვა იხსენებდა, 18 წლის გოგონა როგორ ჩამოვიდა საქართველოში ენგურჰესის მშენებლობაზე და იმღერა მშენებლებისთვის. მაშინ ის ჯერ არ იყო ვარსკვლავი.

**— თქვენ ძალიან გიყვართ დილით ადრე მუშაობა, ეს ჩვევა ბავშვობიდან გამოგყვათ?**

— (იღიმება), ტოროლა ვარ... ისე, ჩემი ცხოვრების წესით იყო გამოწვეული ადრე ადგომა, იმიტომ, რომ მე, ჩემი მეუღლე, დედაჩემი, ჩემი და, ჩემი სამი შვილი ერთ ოთახში ვცხოვრობდით. ბინის აღრიცხვაზე ვიყავი, მაგრამ აღარ მაღირსეს და მერე იძულებული გავხდი კოოპერატიული ბინა ვალებით ამეშენებინა. თანხის მოგროვებაში ჩემი რედაქციის თანამშრომლები დამეხმარნენ. ბინას ჩვენი ორგანიზაცია აშენებდა. გადავწყვიტე სამოთახიანი ამეშენებინა და რომ მოვაგროვეთ თანხა, მითხრეს სამიანი აღარ არის, გვაქვს ოთხიანიო. კოლეგებმა მითხრეს, ნუ გეშინია, სადაც სამი, იქაც ოთხიო. ერთი სიტყვით, სანამ ჩვენ ისევ ფულზე ვირბინეთ, აღმოჩნდა, რომ ოთხიანიც აღარ იყო. დარჩა მხოლოდ ხუთიანები. მე ვუთხარი, არავითარ შემთხვევაში, სადა მაქვს ფული? რით გადავიხდი-მეთქი. მაგრამ „გამაბრიყვეს“, თვითონ იშოვეს ფული მედეა გეგეშიძემ, ზინა დიაკონიძემ და ასე მოხდა, რომ ერთოთახიანიდან პირდაპირ ხუთოთახიანში აღმოვჩნდი. რემონტი არ გამიკეთებია და შარშან, ჩემმა ნაბოლარა მესამე ვაჟმა — გიგიმ, რომელიც ჩემთან ცხოვრობს, ამდენი წლის შემდეგ გააკეთა რემონტი. იგი ქირურგია, ორ საავადმყოფოში მუშაობს, ძალიან დატვირთულია.

**— რამე შემთხვევას ხომ არ გაიხსენებთ, როცა პირადად არ გიცნობდნენ და ხმით გიცნეს?**

— ბოლო 5-6 წელია ეკრანზე გამოვჩნდი. მანამდე უარს ვამბობდი, რადგან არ მინდოდა მსმენელებისთვის დამერღვია ის ილუზია, რომელიც მათ ჰქონდათ ჩემს მიმართ, თუმცა ბევრმა მაინც ვერ მნახა. რამდენიმე დღის წინათ ალმაშენებელზე მივდივარ. ახალგაზრდა ბიჭი დამეწია და მეუბნება, უკაცრავად თქვენ ილია კევლიშვილი არა ხართო? კი-მეთქი. ნამდვილადო? ცოტა გავბრაზდი, რაშია-მეთქი საქმე. იცით რა, სანაძლეო მაქვს დადებული მეგობრებთან, ისინი მეუბნებიან, რომ ეგ არ არისო. მეგობრებიც იქვე იდგნენ. მივედი და დავუდასტურე, რომ ილია კევლიშვილი ვარ. კიდევ ერთ ამბავს გავიხსენებ. ერთ-ერთ წვეულებაზეა ჩემი შუათანა ვაჟი — კახა, მაშინ 19 წლის იყო, სამხატვრო აკადემიის სტუდენტი (ახლა ტელევიზიაში მუშაობს, მხატვარია). ამ წვეულებაზე ესმის, რომ ახალგაზრდა გოგო ყვება თავის შეყვარებულზე, თუ როგორა აქვს რომანი ჟურნალისტ ილია კევლიშვილთან. ჩემს შვილს უფიქრია, ეს რას აკეთებს მამაჩემიო. მერე უკითხავს, რამდენი წლის არის ილია კევლიშვილიო და 21-ისო, გოგოს უპასუხია. მე მაშინ 40 წლის ვიყავი. აი, ასე იყო...

**— წერილებშიც გიხსნიდნენ სიყვარულს?**

— საკმაოდ ხშირად, სურათებსაც მიგზავნიდნენ, ლექსებსაც.

**— აქტიური ჟურნალისტური მოღვაწეობა გაქვთ, მაგრამ მაინც თუ ჩნდება ხოლმე დაუკმაყოფილებლობის გრძნობა?**

— ბუნებით ვარ შემოქმედი და ყოველთვის ვცდილობ ახალი რაღაც გავაკეთო. რადიოსადგური „სიჭაბუკე“ როცა გვქონდა, მაშინ მიმომხილველების ინსტიტუტი შემოვიტანე. ლიტერატურული მიმომხილველი რეზო მიშველაძე იყო, ეკონომიკური ზაზა კაციაშვილი და ა. შ. ამას მოჰყვა „საღამო მშვიდობისა“, მერე „სტუდენტური დისკოთეკა“. დისკოთეკის ხსენებაზე აზრიალებდათ, იმიტომ, რომ დასავლეთიდან შემოვიდა. ამ დროს ჩემს გადაცემაში ჟღერდა საცეკვაო მუსიკა და ახალგაზრდები დროს ატარებდნენ. უამრავი სტუდენტი მისმენდა. აქ მქონდა ქართული აკრძალული მუსიკაც. მაგალითად, ჯემალ სეფიაშვილის „სანთლები“ პირველად ჩემთან აჟღერდა. ადრე ვახსენე ჩემი ახლობელი ალინა სილიკაშვილი, რომელიც რადიოსადგურ „Þ í î ñòü“-ში მუშაობდა. ერთხელ ჩემთან მოვიდა და მითხრა, ძალიან საინტერესო ახალგაზრდა უნდა გაგაცნოო და ჯემალ სეფიაშვილი მომიყვანა. ვუთხარი, რომ მოეტანა თავისი სიმღერები. ჯემალს მაშინ არავინ იცნობდა.


ასეთი იყო ახალგაზრდა ილო კევლიშვილი.


ასეთია დღეს საყოველთაოდ ცნობილი ილია კევლიშვილი.

**— შარშან გაზაფხულზე შეგისრულდათ 60 წელი, თუმცა ვინც თქვენ გიცნობთ, ამას ნამდვილად ვერ იტყვის. როგორი განწყობა გქონდათ და, საერთოდ, გიყვართ დაბადების დღეები?**

— დაბადების დღეები არ მიყვარს. პირველი შვილი რომ შემეძინა, ეს იყო 33 წლის წინათ, მას შემდეგ დაბადების დღე არ გადამიხდია. შარშან უფროსმა ვაჟმა, ბექამ ცოლი მოიყვანა, ყველაზე ბოლოს, სხვათა შორის. იგი ცალკე ცხოვრობს, ექიმია, აფხაზეთის ომის მონაწილე. ბექამ გადაწყვიტა, რომ ახალმოსახლეობა და მამის დაბადების დღე მე უნდა გადავიხადოო და მაშინ აღვნიშნეთ.

**— გადაცემის ჩაწერის დროს ზიხართ მხოლოდ მიკროფონთან საუბრისას, დანარჩენ დროს ვერ ისვენებთ, სულ ფეხზე ხართ...**

— იმიტომ, რომ ეს არის შემოქმედებითი პროცესი. იქვე ექსპრომტად იბადება მნიშვნელოვანი ნიუანსები, ახალი იდეები. ვმუშაობ ისეთ საინტერესო შემოქმედთან, როგორიც კომპოზიტორი ზურაბ მჟავიაა — არაჩვეულებრივი სიმღერების ავტორი. ჩვენ ერთად ვამზადებთ გადაცემებს 24 წელია.

**შარშან ილია კევლიშვილს ჟურნალისტური პრემია „ოქროს ფრთა“ მიენიჭა. იგი იმ ხუთ ჟურნალისტთა შორისაა, ვისაც ეს ჯილდო პირველად გადაეცა. და ბოლოს, 11 წლის მარიამ კევლიშვილის ჩანახატიდან ნაწყვეტს შემოგთავაზებთ: „ჩემი ნება რომ იყოს, წარსულში დავბრუნდებოდი და მთელ ჩვენს ისტორიას გავეცნობოდი, საუკეთესო ხანას ამოვირჩევდი და იმ დროში დავაბრუნებდი. ძალიან მაინტერესებს ყველაფერი. გავიგებდი, რა გვარია შოთა რუსთაველი, სადაა დაკრძალული თამარ მეფე. გავიგებდი, სიმართლეს და არა სხვადასხვა ვერსიებს. ჩემი ნება რომ იყოს, ყველა ქვეყანას მოვივლიდი და იქ, რაც კარგი იქნებოდა, საქართველოში გადმოვიტანდი. საქართველოს რუსეთის ხელას გავხდიდი. ჩემი ნება რომ იყოს, წიგნებში ვიმოგზაურებდი, შიგ დაწერილ ფანტაზიას სინამდვილედ ვაქცევდი. ერთი სიტყვით, ჩემი ნება რომ იყოს, ჯადოქარი ვიქნებოდი. ყველას სურვილები აუხდებოდა, ფული აღარ იარსებებდა...“.**

**ნანული ზოტიკიშვილი.**

## ობიექტივშია ახალი წლის ღამე


ახალ წელს სიდნეის მცხოვრებნი გასაოცარი ფეიერვერკებით შეხვდნენ.


ათასობით ბერლინელი ბრანდენბურგის ჭიშკართან ადევნებდა თვალს პიროტექნიკურ სანახაობას.



ერაყი გამოეთხოვა ეპოქალურ, მაგრამ სისხლიან წელიწადს.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ქვეყანა

საქართველოს რესპუბლიკა

№ 2, კვირა, 4 იანვარი, 2004 წელი.

## აბზარი

# ჩვენი შვილები ქართულ ჯარში იმსახურებენ!

საქართველოს შინაგან ჯარებში, ახალი წლის წინა დღეებში, ახალწვეულთა კიდევ ერთმა ასეულმა სამშობლოს წინაშე ერთგულების ფიცი დადო, კიდევ ერთხელ აჟღერდა ქართული სახელმწიფოს ჰიმნი და ომახიანად გაისმა – „ვფიცავ, ვფიცავ, ვფიცავ“! საზეიმო



მწყობრში ჩამდგარი პირტიტველა ბიჭები წელგამართულნი და თავაწეულნი მიაბიჯებდნენ სარიტუალო მოედანზე და კარგად დაკვირვებული თვალი უცილობლად შეამჩნევდა მათ ქვეყნისადმი უანგარო სამსახურისთვის სურვილს.

ვინ იცის, მერამდენედ ვესწრებით მსგავს რიტუალს. მუდამ სიამაყის გრძნობა გვეუფლება, როცა ვხედავთ ამ ყმაწვილებისა და მათი მშობლების იმედიან მზერას, – უკვე დავაჟკაცებულან ბიჭები, ფრთები შეუსხამთ და მზად არიან მამულის დასაცავად.

მუდამ გამორჩეული, საზეიმო ელფერი ალამაზებს ამ დღეს და, როცა მიინავლება ამაღლებული განწყობილება, ჩავფიქრდებით ხოლმე, – ნუთუ ასე ცოტანი არიან ჩვენში ვაჟკაცები, რომელთაც მამულისადმი ერთგულება გულთან ახლოს მიაქვთ?

სამწუხაროდ, ეს განწყობა, უკვე წლიდან წლამდე გადაეცემა თითოეულ ოჯახს, თითოეულ ადამიანს, რომელმაც იცის თუ როგორი ჭაპანწყვეტით ივსება ქართველ ჯარისკაცთა რიგები, საბოლოოდ კი, რამდენი ახალგაზრდა რჩება სამხედრო- სავალდებულო სამსახურის გარეშე, ჯარი კი – შეუვსებელი! მართალია, ამ პრობლემის მოუგვარებლობას ქვეყნის საერთო ეკონომიკური სიდუხჭირეც უწყობს ხელს, მაგრამ მთავარ მიზეზად მაინც, ჩვენთვის მიუღებელი, გაუაზრებელი, ქვეყნისთვის საზიანო საკანონმდებლო ბაზა მიგვაჩნია, რომელსაც ზოგიერთი „რეფორმატორი“, რატომღაც, „პროგრესულად“ მიიჩნევს. საქმე ეხება სავალდებულო სამხედრო სამსახურის გადავადების ან, საერთოდაც, გაუწვევლობის საფასურად გარკვეული თანხის გადახდას. ჯერ კიდევ შარშან, ჩვენ შევეცადეთ გაგვერკვია თუ როგორ აღიქვამდნენ ამ ე. წ. რეფორმატორულ კანონს ჩვენი თანამემამულენი. ამიტომ, ერთგვარი სოციოლოგიური გამოკითხვაც ჩავატარეთ. გამოკითხულთა კონტინგენტის ნახევარი ხელმოკლე ოჯახებიდან შევარჩიეთ, დანარჩენები „მდიდრებიდან“... და აი, რა შედეგი მივიღეთ: – ხელმოკლეთა ას პროცენტს გაუმართლებლად მიაჩნია „გადასახადების“ შემოღება, რამეთუ, საქართველოს ყოველმა მოქალაქემ, რომელსაც ჯანმრთელობა და ოჯახური პირობები უწყობს ხელს, ანუ მდიდარმაც და ღარიბმაც, მამაპაპათა მსგავსად, ერთნაირი ფორმითა და მეთოდებით, თავისი უპირველესი მოქალაქეობრივი ვალი უნდა მოიხადოს ქვეყნისა და ერის წინაშე! ხოლო, რაც შეეხება ეკონომიკურად შეძლებულ რესპონდენტებს,



მათი ასი პროცენტი მომხრეა „გადასახადის“ შემოღებისა, რათა შვილებს საშუალება მიეცეთ „ტყუილად“ არ დაკარგონ დრო და რაღაც ისწავლონ!

მკითხველისთვის მიგვინდვია ორივე პასუხის შეფასება, ჩვენ კი, ქართული სინამდვილისთვის, ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობისთვის აბსოლუტურად მიუღებლად მიგვაჩნია საზოგადოების ასე დაყოფა, დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი უსუსური ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის კიდევ უფრო დასუსტება. ის თეზა, რომ გადახდის საფასურად სამშობლოს წინაშე სავალდებულო სამსახურზე უარის თქმა ერთგვარად შეავსებს ბიუჯეტს და იგი „გაამდიდრებს“ სამხედრო სტრუქტურას, ძირშივე მცდარად და მიუღებლად მიგვაჩნია. განა ეს თანხა გაამდიდრებს ქვეყანას? ასეც რომ იყოს, შეიძლება სამშობლოს დაცვისა და ძლიერების განმტკიცების საქმე მხოლოდ ღარიბებს დავაკისროთ? თითქოსდა, მდიდრები ამ ქვეყნის შვილები არ იყვნენ და არ ევალებოდეთ მისი გადარჩენისთვის, საკუთარი სიმდიდრის დაცვისთვის ზრუნვა! ჯერ ხომ დამოუკიდებელი საქართველოა გადასარჩენი, გონს უნდა მოვეგოთ, თორემ ყველაფერი წყალში ჩაგვეყრება.

სწორედ ამ საკითხებზე გვქონდა ახალწვეულთა მშობლებთან იმ დღეს საუბარი და მხოლოდ ერთი ფრაზით ვპასუხობდით:

მართალი ბრძანდებით და ამაზე არა ერთხელ გვქონია საუბარი რესპუბლიკურ პრესაშიც, მაგრამ... შეაყარე კედელს ცერცვი!

ყველაზე დამაფიქრებელი (აღმაშფოთებელიც!) ის იყო, რომ საფუძვლიანი გამოხმაურება არავისგან მიგვიღია და კვლავ მიდის ქარავანი თავისი გზით, ჩვენ კი, ძაღლივით ვყეფთ!

**ამ ბოლო ხანებში, მადლობა ღმერთს, გამოჩნდნენ ქვეყნის ხვალინდელ დღეზე მოფიქრალი ახალი პოლიტიკოსები, რომლებიც ამ საკითხზე წინამორბედთა მსგავსად როდი ფიქრობენ.**

**– „საქართველოს არმიაში სამსახური საქართველოს ყოველი მოქალაქის უპირველესი მოვალეობაა... როცა ჩემი შვილი, 7-8 წლის შემდეგ, შესაბამის ასაკს მიაღწევს, იგი ქართულ ჯარში აუცილებლად იმსახურებს... ვინც ჯარს დაემალება, ყოველგვარი კარიერა დაივიწყოს!“ – განაცხადა ნაციონალური მოძრაობის ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა ვაზიანის სამხედრო ბაზაზე მე-11 მექანიზებული მოტომსროლელი ბრიგადის პირად შემადგენლობასთან შეხვედრისას და რაოდენ სასიამოვნოა, რომ ქართულ პოლიტიკაში მოდიან ადამიანები, რომლებიც ასე ფიქრობენ.**

ამიტომაც ისმოდა იმ დღეს, ათმაგი შემართებით, შინაგანი ჯარების ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში ახალწვეულთა ომახიანი შეძახილი, „მე საქართველოს მოქალაქე, ვფიცავ!..“

მშობლებს კი სიხარულის ცრემლებით ავსებოდათ თვალები, მათი შვილები ხომ, უკვე სამშობლოს დამცველთა რიგებში იდგნენ!

ათასჯერ გვითქვამს და კიდევ გავიმეორებთ: ჯერ ჯარი და მერე ყველა დანარჩენი. არმიის მშენებლობა უპირველესი პრიორიტეტია!

ეს კარგად უნდა ესმოდეს ერსაც და ბერსაც!..

**სპარტაკ ძოზულია,**
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე;
**ზაურ ფიფია,**
საქართველოს შინაგანი ჯარების გაზეთ „ფარის“ რედაქტორი.

## არასამთავრობო ორგანიზაცია

# ცენტრმა წლის შედეგები შეაჯამა

**შარშანდელი წლის მიწურულს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში (ალმა-მატერი) გაიმართა დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების დამოუკიდებელი ცენტრის საერთო კრება, რომელზეც განიხილეს ცენტრის მიერ გაწეული მუშაობის შედეგები. ანგარიში გააკეთა ცენტრის ხელმძღვანელმა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა მალხაზ ბაძაღუამ.**

აღინიშნა, რომ ცენტრის ძალისხმევით გამოიცა წიგნი „ანტიკორუფციული მოძრაობა“, რომლის თანაავტორები არიან მიხეილ სააკაშვილი, გიორგი ბარამიძე, ლადო პაპავა, დავით უსუფაშვილი, კახა უგულავა, მალხაზ ბაძაღუა, გიორგი ღლონტი, გიორგი თოდრია და სხვები. ასევე აშშ საელჩოს მხარდაჭერით დაისტამბა წიგნი „კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა აშშ-სა და საქართველოში“.

ცენტრმა თავისი ფილიალი ჩამოაყალიბა თსუ-ს ახალციხის ფილიალის ბაზაზე, სადაც ჩატარდა გასვლითი სხდომა და ლექცია-სემინარი.

ცენტრმა მონაწილეობა მიიღო პროფესორ ვალერიან ლორიას, დოცენტ ბაადურ გელაშვილის, მანანა ბენდელიანის მიერ მომზადებული წიგნის „ადამიანის უფლებები და პოლიცია“ გამოცემაში, სამეცნიერო-პრაქტიკული ხასიათის კონსულტაციებისა და ქ. თბილისის პოლიციის დანაყოფებში მისი განხილვის ორგანიზაციაში.

საანგარიშო კრებაზე განიხილეს ცენტრის დამფუძნებლისა და კოორდინატორის ოთარ კვაჭაძის წიგნი „ტერორომანია“ და ცენტრის დირექტორის მოადგილის ჯემალ გაბელიას წიგნი „ადამიანის მოტაცების სისხლის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები“.

განხილვაში მონაწილეობა მიიღეს პროფესორმა რომან შენგელიამ, პეტრე ნეტკაჩევმა, დოცენტმა გიორგი ღლონტმა, ბაადურ გელაშვილმა, მანანა ხვედელიძემ, გელა ხუციშვილმა, ცენტრის დამფუძნებელმა და კოორდინატორმა ნანა ლომაიამ, ცენტრის მთავარმა კონსულტანტმა თამაზ ყიფიანმა.

გრ. რობაქიძის უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა მამუკა თავხელიძემ მადლობა გადაუხადა ცენტრის ხელმძღვანელს საინტერესო ღონისძიებების ჩატარებისათვის და კვლავაც მხარდაჭერა აღუთქვა ამ არასამთავრობო ორგანიზაციას.

საერთო კრებამ, რომელმაც ერთსულოვანი სოლიდარობა გამოუცხადა მოქმედ ხელისუფლებას, მიიღო მიმართვა, საქართველოს საზოგადოებისადმი, რომელშიც ნათქვამია:

ვარდების რევოლუციას, რომელიც თქვენ მოახდინეთ, მოჰყვა ყოფილი ხელისუფლების უსისხლო შეცვლა, მაგრამ ამით ქვეყნისთვის ესოდენ მნიშვნელოვან ღონისძიებებში თქვენი მონაწილეობა არ ამოწურულა. საჭიროა დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა – მიღწეული შედეგების შემდგომი განმტკიცება და ახალი, სოციალურ თანასწორობაზე დამყარებული დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მოგიწოდებთ, რომ მონაწილეობა მიიღოთ მოქმედი ხელისუფლების მიერ ახალი სახელმწიფოს შესაქმნელად დაგეგმილ დემოკრატიულ ღონისძიებებში. უწინარესად, საჭიროა, რომ 2004 წლის 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში აქტიურად გამოხატოთ თქვენი ნება – ხმა მისცეთ პრეზიდენტობის ღირსეულ კანდიდატს.

**გიორგი კაჭარავა.**

## ობიექტივში ახალი წლის ღამე



ბევრი ამერიკელი ჯარისკაცი ახალ წელს სამშობლოდან შორს შეხვდა.



2004 წელს ჰონკონგის მცხოვრებნი სიხარულით და იმის იმედით შეეგებნენ, რომ იგი კვლავაც ეკონომიკურ წარმატებებს მოუტანს მათ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

განხილვა

# სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტის ამ სახით მიღება დაუშვებელია

საგამოძიებო ექსპერიმენტი კი ტარდება ცდების სახით, რათა დადგინდეს გამოსაძიებელ საქმეზე ნამდვილად შეიძლებოდა ჰქონოდა თუ არა ადგილი მოცემულ გამოსაკვლევ გარემოებას, კერძოდ, იგი შეიძლება ჩატარდეს სმენადობის, ხილვადობის, ამა თუ ტვირთის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაადგილების შესაძლებლობის და სხვა მთელი რიგ გარემოებების დასადგენად, რომლის ჩატარების ორგანიზატორი და „რეჟისორი" თვითონ მისი ჩამტარებელი გამომძიებელი ან პროკურორია. ეს უკანასკნელი მოქმედება ასევე არსებითად განსხვავდება ჩვენების ადგილზე შემოწმებისა და დაპირისპირების ჩატარებისაგან. ამიტომ საპროცესო კანონმდებლობით თითოეული მათგანი ცალკე, დამოუკიდებელი სახით საგამოძიებო მოქმედებად უნდა იქნეს გათვალისწინებული და სრულყოფილად მოხდეს მათი ჩატარების წესის ასახვა.

**41. კატეგორიულად ვერ დავეთანხმებით აზრს იმის შესახებ, რომ საქართველოში შემოვიღოთ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.**

ჩვენს პირობებში, პრაქტიკულად, შეუძლებელია 12 ნაფიცი მსაჯულის შერჩევა, რის გამოც მოხდება საქმის განხილვის დაწყების უთავბოლო გაჭიანურება. საქართველო პატარა ქვეყანაა, ბევრ შემთხვევაში ყველა ერთმანეთის მეგობარი და ნათესავია, განვითარებულია პროტექციონიზმი, რის გამოც ნაფიცი მსაჯულები აბსოლუტურ უმრავლეს შემთხვევაში ვერ გამოიტანენ სწორ, ობიექტურ ვერდიქტს.

**საქმეთა განხილვა-გადაწყვეტა უმჯობესია ყოველთვის მოხდეს პროფესიულ მოსამართლეთა მიერ.** მთელ რიგ ქვეყნებში არ არსებობენ ნაფიცი მსაჯულები და საქმეებს წყვეტენ მხოლოდ პროფესიული მოსამართლეები. მაგალითად, იაპონიაში საქმის სირთულიდან გამომდინარე საქმეთა განხილვა-გადაწყვეტა ხდება 3-დან 5-მდე პროფესიული მოსამართლის მიერ.

იმ ქვეყნების რაოდენობა, სადაც ჯერ კიდევ არსებობენ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები, კატეგორიულად მცირდება მათ მიერ მათი ქვემდებარე საქმეთა განხილვა. მაგალითად, ინგლისში, რომელიც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების სამშობლოა (ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დაარსდა 1166 წელს) ამჟამად დაკარგა თავისი ფუნქცია. ისინი ქვემდებარე საქმეებიდან 3-4 პროცენტ სისხლის სამართლის საქმეებს განიხილავენ და 1 პროცენტამდე – სამოქალაქო სამართლის საქმეებს. ამერიკაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები იხილავენ ქვემდებარე საქმეებიდან მხოლოდ 6-7 პროცენტს. უმრავლეს შემთხვევაში ბრალდებული და დამცველი უარს აცხადებენ ბიუროკრატიულ სასამართლოში საქმის განხილვაზე.

აღნიშნული პირობების გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ საქართველოში არ უნდა შეიქმნას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები. სისხლის სამართლის საქმის სირთულიდან გამომდინარე შეიძლება გაიზარდოს მხოლოდ პროფესიულ მოსამართლეთა რიცხვი.

**42. მტკიცებულებები არის საპროცესო კანონის საფუძველთა საფუძველი. სწორედ ამიტომ, ჩვენი აზრით, აუცილებელი იყო მტკიცებულებებს დათმობოდა ცალკე დამოუკიდებელი კარი ან თავი და მასში ასახულიყო მტკიცებისა და მტკიცებულებათა ცნება, სახეები, მტკიცების პროცესი, მტკიცებულებათა შეფასების პრინციპი,** მტკიცების საგანი, მტკიცებულებათა დასაშვებობა და მტკიცებულებათა შესახებობა. მაშინ, როდესაც ცალკე თავი აქვს დათმობილი (XVII) „საქმეზე სხვა საქმის დართვას", რომელიც შედგება მხოლოდ ორი მუხლისაგან და შვიდი სტრიქონისაგან, გაოცებას იწვევს საპროცესო კოდექსის უარყოფითი დამოკიდებულება მტკიცებულებებისადმი.

43. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ **საპროცესო კოდექსის პროექტში არ არის მოცემული გამოყენებული ტერმინების განმარტება,** მაშინ, როდესაც პროექტში ნახმარია ბევრი ახალი ტერმინი.

**44. პროექტის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის „ე" პუნქტში ნახსენებია აღკვეთის ღონისძიების სახე – შინაპატიმრობა, მაგრამ მითითებული არ არის, რა შემთხვევაში, ვის მიმართ და რა ვადით გამოიყენება იგი.**

**45. საპროცესო კოდექსის 183-ე მუხლი ეხება გირაოს გამოყენების საკითხს, მაგრამ მითითებული არ არის, თუ რა შემთხვევაში, ვის მიმართ გამოიყენება იგი და ამასთან, მასში აღწერილი არ არის ამ სახის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საპროცესო წესი.**

46. იმისათვის, რომ საპროცესო კოდექსის პროექტში საკითხები განხილული და გადაწყვეტილი ყოფილიყო ლოგიკური თანმიმდევრობით, საჭირო იყო კოდექსის შედგენა მიღებული სისტემის შესაბამისად. კერძოდ, **საპროცესო კოდექსს უნდა ჰქონოდა ზოგადი და კერძო ნაწილები. ასეთი ხარვეზი იწვევს საკითხების განხილვა-გადაწყვეტის არათანამიმდევრობას, არეულობას და ართულებს კოდექსის გამოყენებას.**

47. საპროცესო კოდექსის პროექტის მეორე კარი ეხება პროცესის მონაწილეებს, მაგრამ მასში **მოცემული არ არის პროცესის ყველა მონაწილე,** იგი ეხება მხოლოდ პროცესის სავალდებულო მონაწილეებს: პროკურორს, მოსამართლეს, ბრალდებულსა და დამცველს. მაშინ, როცა აღნიშნულ თავში განხილული უნდა ყოფილიყო პროცესის არასავალდებულო მონაწილეებიც და მათი საპროცესო მდგომარეობაც (დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე, მოწმე, თარჯიმანი, დამსწრე, ექსპერტი, სპეციალისტი). თუ არის პროცესის სავალდებულო მონაწილე, მაშასადამე, არის პროცესის არასავალდებულო მონაწილეც. სწორედ ამიტომ ლოგიკურია, რომ პროცესის ყველა მონაწილის სტატუსი ჩამოყალიბებული ყოფილიყო ერთ კარში.

48. **არალოგიკურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, როდესაც საპროცესო კოდექსის პროექტი ჯერ განიხილავს საკითხს განაჩენის გამოცხადების შესახებ (მუხლი 363), შემდეგ კი განაჩენის გამოტანის პროცედურას (მუხლი 370).** ელემენტარული საკითხია, რომ ჯერ კოდექსის პროექტში განხილული უნდა ყოფილიყო განაჩენის გამოტანის წესები და მხოლოდ ამის შემდეგ გამოტანილი განაჩენის გამოცხადება.

**49. გაუგებარი და ლოგიკურად აუხსნელია ის გარემოება, რომ საპროცესო კოდექსის პროექტი ჯერ აყალიბებს განაჩენის გამოტანის წესსა და მის გამოცხადებას, შემდეგ კი თარჯიმნის მონაწილეობას სასამართლოში** (მუხლი 378-379), სასამართლო სხდომის საჯაროობას (მუხლი 383-385). აღნიშნული საკითხების რეგლამენტაცია წინ უნდა უსწრებდეს სასამართლოში საქმის განხილვის საპროცესო წესის დადგენას.

**50. საპროცესო კოდექსის მე-12 კარი განსაზღვრავს განსაკუთრებული საპროცესო წარმოების სახეებს (მუხლები 509-527). აღნიშნულ კარში, როგორც დასათაურებიდან ჩანს, უნდა ყოფილიყო განხილული სამართალწარმოების თავისებურებანი ცალკეული კატეგორიის საქმეებზე, რომლებსაც ახასიათებს განსაკუთრებული სამართალწარმოების ნიშნები.** ამავე კარში განხილული უნდა ყოფილიყო სხვა საქმეებიც, რომელთა გამოძიებასა და სასამართლოში განხილვას აქვს თავისებურებანი, სახელდობრ, კერძო ბრალდების საქმეების, (მუხლები 424-444), კერძო-საჯარო ბრალდების საქმეების (მუხლები 86-87), არასრულწლოვანთა საქმეების წარმოების (მუხლები 639-663) თავისებურებანი.

**51. საპროცესო კოდექსის პროექტში ჯერ ჩამოყალიბებული უნდა ყოფილიყო წინასწარი პატიმრობის აღსრულების წესები** (კარი მე-18), **შემდეგ კი უნდა ყოფილიყო განხილული სასამართლო გადაწყვეტილების (განაჩენის) აღსრულება** (კარი მე-13) და არა პირიქით, როგორც ეს კოდექსის პროექტშია მოცემული.

**52. საპროცესო კოდექსის პროექტის 21-ე კარი აწესრიგებს საკითხებს სისხლის სამართლის რეესტრის წარმოების შესახებ** (მუხლები 664-684). ეს საკითხი პირველად არის დაწვრილებით ჩამოყალიბებული საპროცესო კოდექსის პროექტში. ჩვენი აზრით, აღნიშნული დებულებები ეხება საუწყებო საკითხებს და არა საპროცესო პრობლემებს. სწორედ ამიტომ **სასურველი და მიზანშეწონილია** აისახოს არა საპროცესო კოდექსში, არამედ შესაბამისად კანონში „პროკურატურის შესახებ" და კანონში (დებულებაში) „შინაგან საქმეთა სამინისტროს შესახებ".

**53. ჩვენი აზრით, მიუღებელია 38-ე მუხლის ალტერნატივა, რომელიც ეხება მსაჯულთა რიცხვის გაზრდას ყველა რგოლის სასამართლოში ორიდან-ექვსამდე.**

**54. 69-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად „ბრალდებულისათვის დამცველის დანიშვნის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო". მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ შემთხვევაში უსაფუძვლოდ არის შეზღუდული პროკურორის ფუნქცია. საკითხი უნდა გადაწყვიტოს უშუალოდ პროკურორმა,** რადგანაც მას ევალება გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობა. ხოლო თუ პროკურორის მოქმედება იქნება გასაჩივრებული, ასეთ შემთხვევაში საკითხი უნდა განიხილოს მოსამართლემ.

**55. უსაფუძვლოდ მიგვაჩნია, საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლის მეხუთე ნაწილის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც სასამართლო სხდომის ოქმს ხელს აწერს მოსამართლისა და სასამართლო სხდომის მდივნის გარდა „დაკითხული პირი, დამცველი, კანონიერი წარმომადგენელი, თარჯიმანი, ექსპერტი". საკითხის ასეთი გადაწყვეტა უსაფუძვლოდ გააჭიანურებს სასამართლო პროცესს. ამასთან, ამით ერთგვარ უნდობლობას ვუცხადებთ სასამართლოს.** ზემოთ დასახელებულ პროცესის მონაწილეებს უფლება აქვთ საქმის განხილვის დამთავრების შემდეგ უშუალოდ გაეცნონ სასამართლო სხდომის ოქმს და გამოთქვან შენიშვნები ოქმის შედგენის სისწორისა და სისრულის შესახებ, რომელიც განხილვას ექვემდებარება.

56. როგორც აღვნიშნეთ, **მთელ რიგ გაუგებრობასა და შენიშვნებს იწვევს ექსპერტიზის საკითხები. გაუგებარი და მიუღებელია ექსპერტისა და სპეციალისტის გათანაბრება „ექსპერტი/სპეციალისტი"** (138-151 მუხლები). ექსპერტი არის პირი, რომელიც ატარებს ექსპერტიზას თავისი კომპეტენციის ფარგლებში და იძლევა დასკვნას. სპეციალისტი არ ატარებს არავითარ დამოუკიდებელ გამოკვლევას და არ იძლევა დასკვნას. იგი მხოლოდ თავისი სპეციალური ცოდნის ფარგლებში კონსულტაციას უწევს გამომძიებელს (მოსამართლეს), მონაწილეობს საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებაში ტექნიკური ხასიათის დახმარების აღმოჩენის მიზნით, მონაწილეობს შემთხვევის ადგილზე გვამის დათვალიერებაში და ა. შ.

**შოთა ფაფიაშვილი,**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;**

**აპოლონ ფალიაშვილი,**
**იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

(დასასრული იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 344-349. 2003 წ.

დედაქალაქი

# სიცოცხლის გზაჯვარედინზე

**ამ ბოლო დროს დედაქალაქში ძალზე გახშირდა საგზაო-სატრანსპორტო და ფეხით მოსიარულეთა ავარიული შემთხვევები, რომელიც ხშირად მსხვერპლით მთავრდება. ამის შესახებ არაერთხელ ითქვა და დაიწერა, მაგრამ დღემდე ქალაქში მდგომარეობა არა თუ გამოსწორდა, გაუარესებამდე მივიდა. რა არის ამის მიზეზი?**

**ვნახოთ დედაქალაქის ქუჩები, გზაჯვარედინები და გადასასვლელები.**

დღის მეორე ნახევარში ქალაქში მანქანებისა და ფეხით მოსიარულეთა ნაკადი ერთიორად იზრდება. როცა მოქალაქე ქუჩის მოძრაობის წესებს არღვევს, ხშირად ავარიის მსხვერპლი ხდება. მძიმე შედეგების უმეტესობა, სწორედ მათი გაუთვითცნობიერებელი მოქმედების შედეგია.

ამას წინათ, რუსთაველის გამზირზე, ცენტრალური ფოსტის მოპირდაპირე მხარეს, 30 წუთის განმავლობაში, ოცდაშვიდმა მოქალაქემ გზა თვითნებურად გადაკვეთა. როცა შუახნის ქალბატონმა გზის გადაჭრა დააპირა, ვკითხე, – რატომ იგდებდა თავს საფრთხეში, მან ასე მიპასუხა:

– მე ვიცი ჩემი საქმისა, იქით ტროტუარზე ისე მოვექცევი, ისე ავუვლი ამ მანქანებს გვერდს, არც ხელს შევუშლი მათ და მშვიდობითაც გადავალო. მეორემ კი ასე თქვა: – მეჩქარება, სად მცალია გადასასვლელი ვეძებო, შევეცდები ავარიის მსხვერპლი არ გავხდეო და ქუჩა გადაჭრა. მალე ახალგაზრდა ქალი და ბავშვი გამოჩნდა, მათაც გზა იმავე ადგილას გადაკვეთეს.

მ. კოსტავას ქუჩაზე, იქ სადაც მიწისქვეშა გასასვლელია, 15 წუთში 22-მა მოქალაქემ დაარღვია ქუჩაში მოძრაობის წესები, ხოლო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ოც წუთში – 32-მა მოქალაქემ.

ასეთ შემთხვევებს თითქმის მთელ ქალაქში ნახავთ და, სამწუხაროდ, დღეს ეს ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, საბურთალოზე, ვარკეთილში, ნაძალადევში, გლდანში, ღრმაღელესა თუ ვაკეში, თითქმის ყველგან ერთი „წესი" მოქმედებს. ადამიანები უშიშრად კვეთენ გზას და არაფრად აგდებენ მანქანების სრბოლას. მათი მოქმედება დღეს ჩვეულ „წესად" იქცა. იქვე მდგარი პოლიციელი გზის დამრღვევთ სრულიად არ აქცევს ყურადღებას, რადგან თურმე, პოლიციას მხოლოდ ავტომანქანების კონტროლი ევალება.

განსაკუთრებით უმძიმესი მდგომარეობაა ბაზრებისა და გარე ვაჭრობის მიმდებარე ქუჩებსა და გზაჯვარედინებზე, სადაც ქუჩაში მოძრაობის ელემენტარული წესები საერთოდ უგულებელყოფილია.

ერთხელ, საღამო ხანს, ყავარჯენს დაყრდნობილი მოხუცი გზას ნელი ნაბიჯით მიუყვებოდა. იგი გზაჯვარედინთან გაჩერდა. მარჯვენივ და მარცხნივ შეუჩერებლად მიმოქროდნენ მანქანები. გადასასვლელზე შუქნიშანი ჩაბნელებული იყო. მოხუცმა გზის მეორე მხარეს სცადა გადასვლა, მაგრამ ვერ გაბედა. დახმარება ვთხოვე, იუარა. სხვა რომ მეხმარება, სიფხიზლეს ვკარგავო მითხრა. და ჯოხის კაკუნით მეცხრე საავადმყოფოსკენ გაუყვა გზას, სადაც მიწისქვეშა გასასვლელი ეგულებოდა, მაგრამ აქაც იმედი გაუცრუვდა. ჩასასვლელი კიბეები ჩაბნელებული დახვდა და იძულებული იყო ქუჩა როგორმე ზევიდან გადაეკვეთა. კარგა ხანს გასცქეროდა იგი მეორე მხარეს. ბოლოს, ტროტუარიდან ჩამოვიდა და მანქანებს შორის გზის გაკაფვა სცადა. მძღოლები სვლას ანელებდნენ და ადგილს უთმობდნენ. უეცრად მოხუცს ფეხი დაუსხლტა და წაიქცა. ხალხი ორივე მხრიდან მოსაშველებლად დაიძრა. უცებ, ჩვენ წინ მანქანა გაჩერდა, მძღოლმა მოხუცი წამოაყენა და თან წაიყვანა.

იმ საღამოს ეს, ბედნიერი შემთხვევა იყო. მოხუცი გადარჩა, მაგრამ ამ ბოლო დროს ტრაგიკული ავარიული შემთხვევები დედაქალაქში ძალზე გახშირდა, რაც, ძირითადად, გამოწვეულია ქუჩაში მოძრაობის წესების დარღვევით.

როცა ეს ამბავი მოხდა, როგორც ვთქვით, არც შუქნიშანი მუშაობდა, მიწისქვეშა გასასვლელის კიბეები ჩაბნელებული, ხოლო ასფალტზე ღერძულა და კვეთილი ხაზებიც წაშლილი იყო, მოქალაქენი კი, მიუხედავად საშიშროებისა, მანქანებს შორის გზას მიიკვლევდნენ.

ქუჩაში მოძრაობის წესების დაცვა, ადამიანის სიცოცხლის ტოლფასია, მაგრამ როგორ მოვთხოვეთ მის დაცვას მოქალაქეებს, როცა ქალაქში მოძრაობის ელემენტარული წესები დარღვეულია.

უამრავ პრობლემას შორის, უპირველესი საზრუნავი სწორედ ღერძულა და კვეთილი ხაზების აღდგენაა, რაც უახლოეს ხანში აუცილებლად უნდა გაკეთდეს. ტრანსპორტით გადატვირთული ქალაქის და ქუჩებში თუ მოძრაობის ელემენტარული წესები დაცული არ არის, არც მოქალაქეთა უსაფრთხოება იქნება გარანტირებული.

ფრთხილად, თბილისელებო, ქუჩა სავსეა შემზარავი მოულოდნელობებით.

**ცისანა სიხარულიძე.**
**ხავარ ლომაძის ფოტო.**



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## აქტუალური ინტერვიუ

**როგორც ამ თემაზე დაწერილ წინა აქტუალური ინტერვიუთი ვიუწყებოდით, სადღეისო მოვლენებთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა სასახლეში გაიმართა ქართველ მწერალთა გაფართოებული კრება. მწერლებმა ბევრ საჭირბოროტო საკითხებზე ისაუბრეს. კრების შემდეგ ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა ბევრ მათგანს და ასეთი კითხვებით მიმართა:**
**1. დღეს რატომღაც აქტიური გახდა მწერალთა კავშირზე საუბარი, ზოგი სახელის შეცვლას მოითხოვს, ზოგი – რეორგანიზაციას, ზოგი კი, საერთოდ, მის დაშლას, ანდა დაშლილიც კი ჰგონიათ, როგორ გესახებათ მწერალთა კავშირის მომავალი?**
**2. რა აზრის ხართ მწერალთა კავშირის სახელწოდების შეცვლასთან დაკავშირებით?**
**3. რას ისურვებდით ახალი წლის დღეებში?**

# „ერის სული მწერლობაში ლაპარაკობს"

**მზია ხეთაგური — პოეტი, დრამატურგი:**

— არა მგონია, სიტყვა „კავშირი" იყოს მიზეზი ბოლო ხანებში მწერალთა კავშირის მიმართ გამოხატული მწვავე კრიტიკისა, — ეს სასაცილო იქნებოდა. ვფიქრობ, სულ სხვა, შორს გამიზნული გეგმები უდევს საფუძვლად არსებულ ბრძოლას. ერთი მნიშვნელოვანი საბაბი ისიც გახლავთ, რომ თავად მწერალთა კავშირის თავმჯდომარე და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" მთავარი რედაქტორი წლების მანძილზე უნებურად უწყობდა ხელს ასეთი დამოკიდებულების გამწვავებას თავისი მოუფრთხილებელი, ერთი მხრივ, აგრესიული, მეორე მხრივ, ზედმეტად მაამებლური პუბლიკაციებით. ეს აღიზიანებდა, შეურაცხყოფდა პრინციპულ და ერუდირებულ საზოგადოებას თავად მწერალთა კავშირის თითქმის ყველა წევრის ჩათვლით, და ხელს აძლევდა მწერლობას მიტმასნებულ „თინეიჯერების" ნარცისიზმსა და მათ ახალგაზრდულ მაქსიმალიზმზე გამთვლელ იდეურ ხელმძღვანელებს.

მწერალთა კავშირი არ დაშლილა!.. წევრობაზე უარი თქვა მწერალთა გარკვეულმა ნაწილმა და ეს ხდებოდა ეტაპობრივად. რა თქმა უნდა, ნებისმიერ მწერალს აქვს უფლება, თავისი პროტესტი გამოხატოს და გავიდეს კავშირის რიგებიდან, მაგრამ არა მგონია, ასეთი ნაბიჯები ყოველთვის ზნეობრივი პრინციპებით იყოს გამოწვეული. მწერალთა ერთ ჯგუფს ბევრად უკეთესი მატერიალური პირობები გაუჩნდა სხვაგან, და ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგან მწერალთა კავშირის მიერ გაცემული სტიპენდიები, ფაქტობრივად, სიმბოლურ ხასიათს ატარებდა. როგორც იტყვიან, რომ მივმდგარ-მოვმდგარიყავი, მსგავს მატერიალურ გაუმჯობესებას, ალბათ, მეც შევძლებდი, მაგრამ ასეთ შემთხვევაში უსათუოდ ზარ-ზეიმით უნდა გავსულიყავი კავშირიდან პროტესტის ნიშნად. შეიძლება ვცდები, მაგრამ პროტესტის საუკეთესო ფორმა მე მაინც კავშირში დარჩენა და ადგილზე პატიოსანი ბრძოლა მგონია, ვიდრე ხელის ჩაქნევა და სხვაგან მოკალათება. თუ არ მოგვწონს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა, მით უმეტეს შეცდომად მიმაჩნია ჩვენი სახლის, თავად ჩვენი კავშირის მიტოვება და მემკვიდრეობაზე უარის თქმა.



საჭიროდ მიმაჩნია თანამედროვეობის გათვალისწინებით ჩატარდეს რეფორმები და აღსდგეს ის ძველიც, რისთვისაც შეიქმნა ეს კავშირი. უნდა შეიკრიბოს ყველა, ვისაც მწერალთა კავშირის წევრად დარჩენა და ამ სახლში ცხოვრება სურს (დიახ, ცხოვრება, რადგან იგი მუდამ იყო და მომავალშიც განახლებული სახით უნდა იყოს ჩვენი ურთიერთობების, შეხვედრების, სახელმწიფოებრივად აზროვნების კერა); საჭიროა, გააქტიურდეს სექციების მუშაობა, ყველა თაობის მწერალთა მორალურ თუ მატერიალურ მხარეზე ზრუნვა... ალბათ, შეიქმნება თანამოაზრეთა ცალკეული ჯგუფებიც (დღეს კლუბებს რომ უწოდებენ); რაც თავისი განსხვავებული შეხედულებებით ხელს შეუწყობს საერთო საქმეს. უფრო მაღალ პროფესიულ დონეზე უნდა ეწყობოდეს პრეზენტაციები, იუბილეები, ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობა, ახალგაზრდა, მართლა ნიჭიერი მწერლებისთვის მაქსიმალურად ხელშეწყობა, რადგან: „სჯობს დაეხმარო ნიჭიერს, თორემ უნიჭო თავად გაიკვლევს გზას!" უსათუოდ უნდა ამოქმედდეს სასადილო, სადაც როგორც მწერლებს, ასევე მათ სტუმრებს საშუალება ექნებათ ერთად ისადილონ თუ ივახშმონ და სასიამოვნო ატმოსფეროში ისაუბრონ, იკამათონ, წაუკითხონ ან გაუზიარონ ერთმანეთს ახალი შემოქმედებითი ნაწარმოებები... ეს სახლი უნდა იყოს ნამდვილი ოაზისი ჩვენი სულების გადასარჩენად.

მოვიდა ახალი წელი. ყველას მადლობას ვუხდი, ვინც მომილოცა, ვისაც ვახსოვარ და სჯერა ჩემი. მე კი საახალწლო სურვილებს თქვენს მიმართ ასე გამოვხატავდი:

ჩვენ არ უნდა გავღიზიანდეთ და მადლობაც კი უნდა ვუთხრათ საზოგადოების იმ წარმომადგენლებს, ვინც ასე მწვავედ შეგვახსენა ჩვენივე თავი, ლიტერატურის მთავარი დანიშნულება და განსხვავებულ შეხედულებებშიც ჩაგვახედა. ვფიქრობ, სარგებლობას მოგვიტანს ასეთი მკაცრი ექსკურსები!

იმასაც შევნიშნავდი, რომ დღეს ჩვენს მწერალთა ახალ კავშირს ოპონენტებზე მეტად მეცენატები სჭირდება, რათა ის სულიერი ოაზისი შეიქმნას ჩვენს ძვირფას, ყველასათვის ღია სახლში, რაზედაც ზემოთ ვოცნებობდი.

მივულოცოთ ერთმანეთს ახალი წელი და გავითვალისწინოთ, რომ უკვე ოცდამეერთე საუკუნეში ვცხოვრობთ! დროს არ ჩამოვრჩეთ! არ დავკარგოთ გალაკტიონის „კავშირი გულთა შორის" და ნუ გავნაწყენდებით ოპოზიციურად განწყობილ ჯგუფზე, — ისინიც „ბედკრული საქართველოს შვილები" არიან და „ვარდების რევოლუციის" შედეგად ჩასახული იმედი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა! თუ ერთმანეთს ჩამოვრჩებით, თუ სიკეთემ და გონიერებამ არ იმძლავრა, მომავალში უსათუოდ შეგვანჯღრევენ და ყურში ჩაგვძახებენ: „გაიღვიძე, გრიშა ბიძია, დეპოში ვართ!"

**ვაჟა ოთარაშვილი — პოეტი:**

— საქართველოს მწერალთა კავშირი მე-20 საუკუნის კულტურის ტრადიციათა მემატიანეა, აქტიური მონაწილეა, დედა ეკლესიის შემდეგ ივერთა სულიერების და ეროვნული ცნობიერების ბურჯია, კომუნისტური რეჟიმის რეპრესიათა წნეხის მიუხედავად, საქართველოს მწერალთა კავშირი კრემლის „იდეოლოგიურ დანამატად" არ გადაქცეულა, არ დალეულა მაღალი ზნეობის და ქართული სჯულის შემოქმედები, არ გამქრალა ქართველ მწერალთა ერთად, ერთ სამწერლო ოჯახში ყოფნის სურვილი.

დღეს, სამწუხაროდ, მწერალთა კავშირის დაშლას ურცხვად მოითხოვენ (იქნებ ჩადენილ ბნელ საქმეთა მისაჩქმალადაც?!) ისინი, ვისაც ამის მორალური (ზოგიერთს იურიდიული) უფლება არა აქვს, ვინც თავის დროზე ყველაზე მეტად ისარგებლა მწერალთა კავშირის სახელით, მწერალთა კავშირისაგან მიიღო ბინები, აგარაკები, ავტომანქანები, თანამდებობები, პრემიები, გაგლიჯა და მიითვისა თვით მწერალთა კავშირის უმთავრესი ქონება — გამომცემლობა „მერანი", ხელი შეუწყო იურიდიული ლაფსუსებით სავსე მწერალთა საერთო-ეროვნული კავშირის წესდების მიღებას. თბილ ბუხართან წამებულის სახით შემომსხდარი „ბედის ნებიერი" მედროვეები ყველა ეპოქას ჰყავდა. ასეთია ყვარყვარიზმის იდეოლოგია. ასეთი ხალხის მიზანი მწერალთა კავშირის ქონების (დარჩენილის) ხელში ჩაგდებაა, მიტაცებაა, დაკანონებაა, ქონებისა (შენობებისა),



რომელიც მთელი ერის საკუთრებაა და არა კონკრეტულად ვინმესი, თუნდაც ჯგუფისა, გაერთიანებისა... თუ მღვდლის ალილუია, ან მასწავლებლის განათლების დონე არ მოგვწონს, ამისთვის ეკლესიის დანგრევა, ან სკოლის დახურვა სულაც არ არის საჭირო.

საჭიროდ მიმაჩნია მწერალთა კავშირის ვადამდელი ყრილობის მოწვევა, მიუხედავად მისი „პარტიული თუ ოლიგარქიული" კუთვნილებისა, საჭიროა ახალი წესდების მიღება და შესაბამისად ორგანიზაციული და სტრუქტურული რეფორმების ჩატარება, კარი უნდა გავუხსნათ ახალი, ენერგიული, პატიოსანი და ღირსეული თაობის (ძალის) მოსვლას მწერალთა კავშირში და უმთავრესი: საჭიროა ძველი სტერეოტიპების და მთლიანად სამწერლო ორგანიზაციის ხელმძღვანელი სისტემის შეცვლა! მისი ფინანსურ-ეკონომიკური სფეროს სრული გამჭვირვალობა.

კონკრეტულად, გთავაზობთ მწერალთა კავშირის ფუნქციონირების ახალ თანამედროვე მოდელს, რომელიც ჯერ კიდევ 1999 წლის სექტემბერში „ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებიდან შევთავაზეთ ფართო საზოგადოებას ავტორთა ჯგუფმა „კულტურის სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის", ხოლო 2000 წელს — მწერალთა კავშირის ალტერნატიული წესდების სახით, ამ პროექტებში ევროპისა და მსოფლიოს ოცდაათზე მეტი ქვეყნის შემოქმედებითი ორგანიზაციების არსებობის გამოცდილების ანალიზის საფუძველზე მოცემულია საქართველოსთვის კულტურის სახელმწიფო პოლიტიკის მიზნები, პრინციპები, მმართველობის მექანიზმები, ხელოვნების და კონკრეტულად მწერლობის განვითარებისთვის დაფინანსების მოდელები, „სახელმწიფო და კერძო" შერეული ფონდების დაარსების საკანონმდებლო თავისებურებები, ფისკალური ღონისძიებები, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში გასატარებელი ცვლილებები, შეღავათები ხელოვნების სფეროში, ქველმოქმედების (მეცენატობის) შესახებ კანონის მიღება, მწერლობის განვითარებისათვის ჩადებულ ინვესტიციებზე შეღავათების დაწესება და სხვ.

ჩვენი პროექტის მიხედვით: მწერალთა კავშირში არ იქნება თავმჯდომარის თანამდებობა, არამედ ყრილობის მიერ არჩეული ოთხი მდივანი ოთხი წლით, რომლებიც მორიგეობით თითო წელი უხელმძღვანელებენ მწერალთა კავშირს (იურიდიული და ფინანსურ-ადმინისტრაციული კუთხით). ამასთან, ოთხივე მდივანი სხვა სამსახურში აღარ იმუშავებს (გარდა პედაგოგიური მოღვაწეობისა), არ წარადგენს თავის ნაწარმოებებს ქვეყნის სხვადასხვა სახელმწიფო პრემიაზე და მთლიანად თავის ძალას და ენერგიას მოახმარს ქართული სამწერლო ორგანიზაციის გაძლიერებას, სახსრების მოზიდვას, გრანტების აღებას, მწერალთა კავშირის ჩართვას ახალ სამთავრობო თუ არასამთავრობო პროექტებში და პროგრამებში. მწერალთა კავშირს ეყოლება ასევე ყრილობის მიერ არჩეული 15-20-კაციანი რეალური გამგეობა და ასევე გამგეობის წევრი ჟანრობრივი სექციების ხელმძღვანელები. ჩემი აზრით, მწერალთა კავშირის ასეთი სახით ფუნქციონირება ხელს შეუწყობს შემოქმედებითი ორგანიზაციის განვითარებას დემოკრატიის პრინციპებით, აღმოფხვრის დიქტატს და გარე ძალების ჩარევის შესაძლებლობას.

ქართულ სულიერებაზე ბუღა-ტურების შემოსევის მიზანი ეროვნული ტრადიციების შეცვლაა, ეროვნულის ამოშანთვაა. არადა, დღეს დემოკრატიული ევროპა თავის წინაპართა ტრადიციებს, სათავეებს უბრუნდება. არადა, საქართველოს მწერალთა კავშირი ქართული სულიერების დიდი მემატიანეა. ჩემი აზრით, სახელწოდება — „საქართველოს მწერალთა კავშირი" უნდა დარჩეს. მთავარია, როგორი იქნება მისი ორგანიზატორული სტრუქტურა, მმართველობის სისტემა, მიზანი და უპირველესი: ვინ იქნებიან მისი წევრები. დღეს მასმედიამ და ტელეარხებმა მოდაში შემოიტანეს ე.წ. „ტიტრიანი წევრები, ანუ მწერალ-ტიტრები", რომელთაც არაფერი ღირებული არ შეუქმნიათ ამ ქვეყანაზე, სამაგიეროდ, მწერლობის პრეტენზია გააჩნიათ. ნუ გვაშინებს სიტყვა „კავშირი". ევროპულმა ქვეყნებმა, რომლებიც ინტეგრაციისაკენ მიდიან, „ევროკავშირი" უწოდეს თავის გაერთიანებას. იმედია, იგი კომუნისტების ნაკარნახევი არ არის. მწერალთა კავშირში (წესდებიდან გამომდინარე) შეიძლება ყველა შემოქმედებითი ასოციაცია, კლუბი, ლიტერატურის დარბაზის წევრები გაერთიანდნენ. ასე იყო ტიციან ტაბიძის და პაოლო იაშვილის დროსაც. მათ „ცისფერყანწელობას" ხელი არ შეუშლია სამწერლო ორგანიზაციის წევრობაზე.

უფლისაკენ მობრუნებულიყოს ქართველი ერი და ღვთისმშობლის კალთა ფარავდეს ყველა ქართველს, ქართულად აღვლენილიყოს ლოცვანი, არ გამქრალიყოს ჩვენი მართლმადიდებლური ეროვნული ცნობიერება, დაბადებულიყოს ახალი ხანძთელი და რუსთაველი, გურამიშვილი და ბარათაშვილი, ვაჟა, ილია, აკაკი, გალაკტიონი, ქართული წიგნის მადლი და მწერლობის სიყვარული არ დაეკარგოს ერს...

**იზა ჟაჟვაძე.**

**(დასასრული იქნება).**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## მკითხველი და გაზეთი

### ახალი წლის დადგომა ფიქრისა და განსჯისაკენ მოუხმობს ადამიანს. „საქართველოს რესპუბლიკის" მკითხველები თავიანთ გულისნადებს გვიზიარებენ

# ჩვენი „მთავარი კორესპონდენტის" საახალწლო სურვილები

**იზო ბურბენიძე, თბილისის 126-ე სკოლის მასწავლებელი, კლასის ხელმძღვანელი:** — 2003 წლის შემოდგომაზე მარნეულის რაიონში მიხეილ ჯავახიშვილის სოფელ წერაქვს ვესტუმრეთ. ჩვენი ჩასვლა ძალიან გაეხარდათ. 2004 წელს, გამოზაფხულდება თუ არა, წერაქვს კვლავ ვესტუმრებით. წიგნებს ვაგროვებთ ამ სოფლის სკოლის ბიბლიოთეკისთვის. ბატონ ნოდარ წულეისკირს ვულოცავ ახალ წელს, სიხარული არ მოკლებოდეს მის ოჯახსა და წერაქველებს, სადაც სვანეთიდან ჩამოსახლებულებიც არიან. მთელი ჩემი მე-8 კლასი გილოცავთ, ბატონო ნოდარ.

**მანანა ბერიძე, თბილისის 180-ე სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი:** — ჩემს კლასში 15 მოსწავლეა. ძვირფასო რედაქცია, გილოცავთ ახალ წელს. მინდა, რომ „საქართველოს რესპუბლიკის" შეძენა ვარკეთილშიც თავისუფლად შევძლოთ.

**იამზე ერისთავი, თბილისის № 5 სამშობიარო სახლის უფროსი მედდა:** — „საქართველოს რესპუბლიკასთან" უკვე 5 წელიწადია ვმეგობრობ, რუბრიკაში „გიხაროდენ"! გაწვდით ინფორმაციას. ძვირფასო რედაქცია, ვიცი თითოეული ჩვილის დაბადება გიხარიათ და ამიტომაც გატყობინებთ.

**ნაზი ჯვებენავა, მარტვილის რაიონის განათლების განყოფილების გამგე:** — „საქართველოს რესპუბლიკა" მთელი წლით გვქონდა გამოწერილი. კვლავ ველოდებით. ჩვენ ხომ ამ გაზეთით ვიგებთ ქვეყნის მაჯისცემას, განათლების სფეროში მიმდინარე სიახლეებს.

**ეთერ ნიკოლაიშვილი, დიასახლისი.** — ამ გაზეთს ყოველდღე ვყიდულობ. კიოსკერმა იცის, ვინც არის მისი მუდმივი მკითხველი. მჯერა, მკითხველი კვლავ მოგემატებათ, ხელისუფლებაში ხომ ახალგაზრდები მოვიდნენ, გვაინტერესებს მათი საქმიანობა.

**თამარ თხელიძე:** — რესტორანში ვმუშაობ. რა იქნება, ჩვენი კატეგორიის ხალხზეც დაიწეროს და, საერთოდ, რიგით ადამიანებზე მეტი ითქვას. ეს ჟურნალისტებზეა დამოკიდებული, შეიხედეთ რესტორნებში, კაფე-ბარებში, იქ სტუდენტებიც მუშაობენ...

**როზა კუხალაშვილი, აფხაზეთის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე:** — „საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებზე მინდა, ხშირად იწერებოდეს ქალის ბედზე. ჩემი და აფხაზეთიდან ჩემსავით დევნილების ნატვრა ერთია — აფხაზეთში დაბრუნება. 2004 წელს იმედით შევყურებთ.

**იამზე ბესელია-კაკულია, პრესის რეალიზატორი:** — ჯიხური, სადაც ვმუშაობ, ხეთაგუროვის ქუჩაზე მდებარეობს. № 51 „მაცნეს" საგაზეთო ჯიხურის გამყიდველი ვარ, იმის შემდეგ, რაც აფხაზეთიდან წამოსვლა გვაიძულეს, „საქართველოს რესპუბლიკა" გაუყიდავი არ მრჩება. ამ ბოლო დროს ორშაბათის ნომერს არ ვღებულობ, არ გამოდისო, რატომ?



**ლანდა ბაბილონია, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი:** — „საქართველოს რესპუბლიკის" მუდმივი მკითხველი ვარ. ჩემი ვაჟი, გია ოდიშარია, 27 სექტემბერს აფხაზეთის ომში, სოხუმში დამეღუპა. ნუ დავივიწყებთ ამ ომში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად წასულ ბიჭებს. ვწეროთ, გავიხსენოთ მათი სულისკვეთება, ქვეყნის სიყვარული.

**მიხეილ ჭონქაძე, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი,** — „საქართველოს რესპუბლიკაში" დაიბეჭდა ჩემი წერილი დუშეთის რაიონის სოფელ ჭონქაძეების სკოლაზე. მინდა ჩვენი უნივერსიტეტის მუშაობაც გაშუქდეს, როგორ ვსწავლობთ და ვეუფლებით ჟურნალისტის პროფესიას. ახალ წელს გილოცავთ თქვენ და ჭონქაძეებს, რომლებიც ჩემს სოფელში ცხოვრობენ.

ოთარ კიკნაველიძე (პროფესია არ დაგვისახელა): — ჩემს შვილს წიგნი არ უყვარს, არადა, ძალიან მომეწონა ახლახან „საქართველოს რესპუბლიკაში" დაბეჭდილი ინტერვიუ ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორთან. ჩემი აზრით, აუცილებელია წიგნის პროპაგანდა. მე სკოლის წლებიდან საჯარო ბიბლიოთეკაში დავდიოდი. ოჯახში კარგი ბიბლიოთეკა მაქვს, მაგრამ ეს წიგნები ადრე ნაყიდია. ახლა ძალიან ძვირია, ვერ ვყიდულობ.

**დემურ ბაღდავაძე, ღირსების ორდენოსანი, სოჭის „ელექტრომშენის" გენერალური დირექტორი, ქართული კულტურის ცენტრ „ივერიის" გამგეობის წევრი, რუსეთის დამსახურებული ინჟინერი:** — „საქართველოს რესპუბლიკას" ახალი წლის დადგომას ყოველთვის ვულოცავ. წლეულსაც არ გივიწყებთ თქვენ 2004 წლის დადგომას სოჭში მცხოვრებ ქართველების სახელით გილოცავთ. სოჭსა და თბილისს შორის დიდ დარდად არის ჩაწოლილი აფხაზეთის ქართული მიწა-წყალი. სოჭში 3000-ზე მეტი ქართველი ცხოვრობს, მინდა ისინი მალე მშობლიურ კერას დაუბრუნდნენ. თქვენი გაზეთის საშუალებით, მინდა ვანის რაიონში მცხოვრებ დედაჩემსაც მივულოცო ახალი წელი.

რამინ სილაგაძე (გაბრაზებული): — უშველის კი ჩემს გაჭირვებას თქვენი ან კიდევ სხვა გაზეთი? ასე მგონია, გაზეთებმა ადამიანები ერთმანეთს გადაჰკიდა. მთავარია, უმუშევრობას მოეღოს ბოლო. თქვენს გაზეთში რომ სამუშაო ადგილები დაიწეროს, ის სანთლით საძებნელი გახდება. (როგორც ჩანს, პატივცემული მკითხველი ჩვენს გაზეთს არ კითხულობს, თორემ ნახავდა, რომ ყოველ კვირა ჩვენ ვაკანტური სამუშაო ადგილების სიას ვაქვეყნებთ).

**როლანდ ჩაგუნავა, მუშა:** — ხონის რაიონის სოფელ მათხოჯიდან უკვე 20 წელიწადია რაც წამოსული ვარ. იქ დედა და ძმა ცხოვრობენ ოჯახით. თქვენი გაზეთის საშუალებით მათ ვულოცავ ახალ წელს.

ჯიმშერ სიჭინავა (პროფესია არ დამისახელა): გაზეთებით არის თბილისი გამოტენილი, მაგრამ ასე მგონია თქვენი გაზეთი მიუკერძოებელია, ამიტომ ველოდები მის ყოველ ნომერს.

მოამზადა
**ნათელა ფაილოძემ.**

## გამოცა

# «ქამი მსხვრევისა»

ღამეულ პანორამაში მარტოდ დარჩენილმა მწერალმა ამქვეყნიური ძნელბედობით გამოწვეული სევდა თუ განცდილი ტკივილი გულწრფელად გამოთქვა... პრობლემათა ლაბირინთებში ჩაფლულმა **გივი ჯახუამ** თანამედროვე ნააზრევი წარსულთან გადაძახილით, თავის მოთხრობებსა და ნოველებში ჩააქსოვა, პუბლიცისტურ-მამხილებლური პათოსით დატვირთა, გროტესკული უნარით გაითავისა... ეს მოთხრობები შემოქმედმა კრებულის სახით გამოსცა და შთამბეჭდავადაც დაასათაურა — **„ქამი მსხვრევისა"**.



აი, რას წერს ამ კრებულის წინასიტყვაობაში წიგნის რედაქტორი **დავით მჭედლური:**

**„გივი ჯახუას მწერლური და ადამიანური ბიოგრაფია განუყრელადაა დაკავშირებული ჩვენი სამშობლოს ეროვნულ და სოციალურ ყოფასთან და რამდენადაც ეს ყოფა ჯერჯერობით სრულიადაც არ არის შვების მომგვრელი, ცხადია, ამ მოთხრობებშიც უფრო სევდა, ტკივილი, ღრმა დაფიქრება და განსჯა გამოსჭვივის. ... მისი მოთხრობების გმირები უმეტესად ის ადამიანებია, რომელთაც ყველაზე მძაფრად შეეხო ახალი დროის სუსხი და წინააღმდეგობრივი მდინარება. ისინი მტკივნეულად განიცდიან საზოგადოებრივ და სოციალურ კატაკლიზმებს, სადაც მშრომელ, პატიოსან და ზნეობრივ ადამიანს უფრო და უფრო უჭირს არსებობა".**

კრებულში თავმოყრილი მოთხრობებიდან **„გასეირნება"** გიგლა ჭავჭანიძის ხსოვნას ეძღვნება, **„შემოდგომის მზე"** კი მორის მირცხულავას სახელს უკავშირდება... ამ მხატვრული ქმნილების შესავალში მწერალი გალაკტიონის ლირიკულ ფრაზებს მოიშველიებს: **„რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები, მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი..."**

პოლიტიკურ პროცესებს ეხმაურება **„ეს გაუმარჯოს ჰეილ-ბოპის"**... და მაინც, რა არის ჰეილ-ბოპი? **„ჰეილ-ბოპი — კუდიანი ვარსკვლავი, ორიათას წელიწადში ერთხელ ესტუმრება-ხოლმე დედამიწას"**. ეს მოთხრობა აფხაზეთის დაკარგვის ტკივილიანი გამოძახილია, რომელსაც ავტორი დასაწყისშივე გალაკტიონის სიტყვებით გამოთქვამს **„გამარჯობა, აფხაზეთო, შენი, ლურჯო მთებო, თეთრო სანატორია"**.

საინტერესოა, გივი ჯახუას სალაღობო ნოველა **„კაცი, რომელსაც მიწისძვრის ეშინია"** და მონადირული სალაღობო **„მამალი ხოხობი"**, რომელთა შუაგულ მოქცეული დამატყვევებელი მოთხრობა **„შეხვედრა ჩარლი ჩაპლინთან"** ასე იწყება:

**„ერთი ციცქნა კურორტის უსიერი ტყე თუ ჩარლ ჩაპლინთან შემახვედრებდა, ნამდვილად არ მოველოდი... და აი, ისიც — კუჭ-ნაწლავის სამკურნალო წყაროსთან ახლოს, პატარა სკვერში, უშველებელი წიფლების, წაბლებისა და ნაძვების ჩრდილში არ გამომეჭიმა? თან, სწორედ ისეთი, როგორიც გინახავთ თავის ფილმში — ფართხუნა შარვლით, ტანზე შემოტკეცილი სმოკინგით, ჰიტლერისაგან მოპარული ულვაშით, მარჯვენა ხელში განუყრელ ჯოხს ათამაშებდა. განზე გაფარჩხულ ფეხებზე ისევ ის უზარმაზარი ფეხსაცმელები ეცვა. ბატონი ჩარლის გულშიჩამწვდომი, საოცრად სევდიანი, ტკივილჩაბუდებული მზერა სადღაც მთებს შორის, მსუბუქ ნისლში იკარგებოდა.**

**მეც, რაღა დამრჩენოდა, თავი მდაბლად დავუკარი და"...**

და თუ როგორ წარიმართა გენიალურ მსახიობთან და რეჟისორთან იუმორისტული საუბარი, ამას დაინტერესებულნი თავადვე ჩაიკითხავენ... ასევე დიდად ისიამოვნებენ თუკი თვალს გადაავლებენ მოთხრობებს — **„ძაღლი და ნაყინი", „ეს ვინ ყოფილა ხინკალას ბიჭი", „ქალი ჯუჯა ნაძვის ქეჩოში", „ძაღლი და ლონგინოზი", „როგორ, წვიმაც არ ყოფილა?!", „სიცილი — დღეგრძელობის აბი", „სანამ მეცხრე ტალღა მოვა", „კონდენციონერი ისევ ღუღუნებდა"...**

წიგნის დასასრულს **როლანდ ბერიძე** კარგად შენიშნავს:

**„1989 წლიდან გივი ჯახუას პროზამ პუბლიცისტური სიმძაფრე შეიძინა, მაგრამ მის ნახელავში უცვლელი დარჩა ჭეშმარიტი ბელეტრისტიკის ნიშანდობლივი თვისება, რომლის მიხედვითაც მწერლის ტენდენცია შიშველი სახით კი არა, თავისთავად გამომდინარეობს ნაწარმოების მხატვრული არეალიდან...**

**70 წლისა გამხდარაო...**

**არადა, ეს „მოხუცი" ყოველდღე, დილაუთენია, ჩვეულებრივ, მუხლის გასამართავად, ჭაბუკური შემართებით აუყვება ხოლმე იაღლუჯისაკენ ამავალ ოღრო-ჩოღროიან „ბილიკებს". ხოლო მას შემდეგ, რაც რუსთაველთა ძალისხმევით, იაღლუჯის კალთაზე ვეებერთელა ჯვარი აღიმართა, ჩვენი „მოხუცი" ყოველ შაბათ-კვირას საგანგებოდ გაიგრძელებს გზას, მიეახლება იმ წმინდა ნიშს. მიეახლება და მუხლჩახრილი ლოცულობს ქართული ენისა და გენის, ჯიშისა და ჯილაგის გადასარჩენად".**

**მზეხა მახარაძე.**

## პერიოდიკა



# უწყვეტი კავშირი

**აზერ უკვე ხუთი წელიწადია, რაც მაგთიკომის ჟურნალი „მუდმივი კავშირის სამყარო", დროთა კავშირს მსახურებს და აშუქებს კეთილსინდისიერად, თვალისთვის და სულისთვის საინტერესოდ.** ჟურნალის ახალი, მე-4 ნომრის ყდიდან ნაცნობი ღიმილი შემოგანათებთ — ამ ღიმილიან ქალს ჩვენი ტელევიზიის I არხიდან ვიცნობთ და იგი განსაკუთრებით პოპულარული გახდა ბოლოდროინდელი მშვენიერი კლიპის წყალობით „გადმორეკეთ" რომ ჰქვია — ნინო კურატაშვილზე მოგახსენებთ.

ჟურნალის წამყვანი სტატიაა „ერთიანი საქართველოს სიმბოლო", — რომელშიც მოთხრობილია ამ ეროვნული მთლიანობის სიმბოლოდ აღიარებული ტაძრის მშენებლობის შესახებ (მასალა მოამზადა წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდის პრესსამსახურმა, ფოტოები ეკუთვნით ზაალ სამხარაძეს და ჯემალ კასრაძეს). მას მოსდევს წერილი „მაგთი GSM"-ის ქსელი ეკოლოგიურად სუფთაა" (ეს გაფანტავს იმ ეჭვებს, რაც დროდადრო თავს იჩენს ხოლმე მოსახლეობაში, მეტადრე ახალი წერტილის ათვისებისას); „მუდმივი კავშირის სამყარო 5 წლისაა", ულამაზესი ფოტორეპორტაჟი „გადმორეკეს"... გადასაღები მოედნიდან" (რეჟისორი გიორგი ებრალიძე და ოპერატორი გიორგი ბერიძე). თანამედროვეობის ერთ-ერთ გამოჩენილ მევიოლინესთან, ლიანა ისაკაძესთან საუბარს გვთავაზობს ქეთევან ბაქრაძე (ქალბატონ ლიანასთან საუბარი შედგა ბორჯომის II საერთაშორისო ფესტივალის დამთავრებისას); კვლავაც ინერგება სიახლეები მაგთიკომში — ამას მოწმობს გაშლილი გვერდი, მიძღვნილი ქართული „ლოგოსა" და ქართული GSM-სადმი. აქვეა პასუხები „მაგთიკომში" შესულ შეკითხვებზე. და ბოლოს, გაეცნობით ილუზიონისტ ვადაჭკორიას და მის სასწაულმოქმედებებს (ავტორი ირა ჭელიძე) და სხვადასხვა ქვეყნის საახალწლო ტრადიციებს.

„მუდმივი კავშირის სამყარო", „ნეოსტუდია" და „მაგთიკომი" გვილოცავს 2004 წელს, გვისურვებს ჯანმრთელობას, ხვავს, ბარაქას, მშვიდობასა და სიმშვიდეს! — ამინ! ჩვენც ამ იმედით ვდგამთ ფეხს ახალი წლის ზღურბლზე და გულით ვულოცავთ მაგთიკომელებს!

**ნანა ღვინეფაძე.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## ალბომი

### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ბებია და შვილიშვილი – ცუცა (შუშანა) სულუხია, ნინელი ცინცაძე. თბილისი, 1965 წელი.

მოგვაწოდა მაკო ცინცაძემ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

*ფოტოების მომწოდებელთ ვთხოვთ, რომ დაბეჭდვიდან ერთი კვირის ვადაში მოაკითხონ რედაქციას გამოქვეყნებული სურათების წასაღებად.*

## იუმორესკა

– ალო, ალო, ალო...
– გისმენ, კაცო, რა იყო, რა დაგემართა.
– შენ თვითონ რა დაგემართა, რა დაძმარებული მელაპარაკები.
– რა ვიცი, აბა, გადავიღალე, სამი დღე ენაგადმოგდებული დავრბოდი, ხომ იცი ამ ახალ წელს რამხელა მუცელი აქვს.
– მერე, რას დარბოდი, ბარე 19-გან იყო ბაზარი. შენ ფული თქვი, თორემ... მისულიყავი ერთგან და გეყიდა ყველაფერი.
– ეეჰ, ზოგჯერ ფული გაქვს, მაგრამ რაც გინდა, იმას ვერ იშოვნი.
– რას ვერ იშოვნი. ჩიტის რძეც კი მტკვარივით მოედინებოდა...
– მოედინებოდა. მაგრამ...
– ახლა კი გავგიჟდები, – გოჭი გქონდა?
– მქონდა. მაგარი ბურვაკი იყო.
– ინდაური?
– ეგეც. სიდიდით სირაქლემასა ჰგავდა.
– ქათამი?
– ოთხი დედალი მოვიტანე. სულ ქონი გადმოსდიოდათ...
– ყველი?
– გუდაც, სულგუნიც, იმერულიც...
– თევზი?
ცოცხალიც, ლოქოც, ზუთხიც.
– სახაშლამე?
– მაშ, კაცო, ჩვენი სუფრა უმაგისოდ გაგიგონია.
– სამწვადე?
– ეგეც იყო.
– ტკბილეული? ბოსტნეული?
– მაგეებს აღარა ვთვლი...
– სასმელი გაკლდა?
– რას ამბობ, თეთრი ღვინოც იყო, წითელიც, არაყიც, კონიაკიც, ბრენდიც...

### სიძე-სიდედრიანი

– აბა, მეტი რაღა გინდოდა, ნაღდად შარზე ხარ.
– რა შარზე ვარ, ისე ჩაიარა ახალმა წელმა, პირი არაფერზე დამიკარებია, ნერწყვიც არ გადამიყლაპია...
– აღარ იტყვი, კაცო, რა გინდოდა ასეთი და რა ვერ იშოვნე?
– რა და... წავკისური ვარდი...
– რაღად გინდოდა ეგ წავკისური ვარდი, მოახდინა მაგან უკვე ერთი რევოლუცია და მეორეს აპირებდი?
– ეგ მთავრობაში მოახდინა, მაგრამ ჩემს სახლში?
– შენს სახლში რაღა ხდება?
– რაღა ხდება და „დამაჩმორა“ ამ მზითევში მოყოლილმა სიდედრმა. ბოლო 5 წელიწადია დამუნჯებული ვყავვარ. დავით თევზაძე უფრო მეტს ლაპარაკობს „რუსთავი-2“-ში, ვიდრე მე საკუთარ სახლში.
– ჰა, რას ამბობ, კაცო, ხმა წაგართვა?
– ხმაც წამართვა და სიტყვაც. ჩურჩულიც კი ამიკრძალა. შენ მარტო ფული მაიტა და ნაგავი – გაიტაო.
– აუჰ, ჩემო დაჩაგრულო ძმაო! აქამდე რამ მოგათმენინა.
– რა ვიცი, ხან ცოლის მეხათრებოდა, ხან – შვილის, ხან – დის, ხან, – სამსახურის ხალხის... ახლა კი მორჩა, ბოლმა ყანყრატომდეა! ამ საახალწლოდ თავისი ნათესაობა მოყარა, მე კუთხეში მიმსვეს, ჩემი ნაამაგარი ერთიანად გადახრეს და მადლობაც არ მითხრეს. თუ ამაღამვე ეგ ოჯახის მოურავობიდან არ გადავაყენე, მე გადავხტები ამ მეოთხე სართულიდან.
– დაიცა, კაცო, თავს რად იკლავ, თუ მაგ წავკისურ ვარდს ვერ ვიშოვნით, მოკლე ხანში „კმარა“ მორატორიუმს ამთავრებს. მივუსიოთ და გადავაყენოთ...
– ვერა, მეტს ველარ მოვითმენ, დღეს უნდა დამთავრდეს ყველაფერი, დღეს...
– კარგი, ძმაო, დაწყნარდი! ახლავე მივდივარ წავკისში, ფეხით ჩამოვივლი კარდაკარ, ერთ ვარდს ვერ ვიშოვნი?! სახელმწიფოში წესრიგის დამყარება სწორედაც ოჯახიდან იწყება! შენ არ იდარდო, მაგ გადაყრანტალებულ ბებერს დავაჩაგვრინებ შენ თავს...

შებინდებისას წავკისში გავარდნილი ძმა ერთი კი არა, დაჩაგრულ სახლიკაცს მთელი თაიგულით მიადგა. კარი გაუღეს და... „ზალაში“ უხმოდ შეაცილეს. მოსული გაშრა. ანჩხლ სიდედრს შუაგულ ოთახში ძვირფას ტახტზე თვალები მიელულა და „გულის საათის“ ბოლო წამებს ითვლიდა.

დამწუხრებულმა სიძემ ძმას ვარდები გამოართვა, მომაკვდავ სიდედრს ფეხებთან მიულაგა და ცოლის დასანახად თვალთაგან ცრემლები ღაპა-ღუპით წამოჰყარა...

**ბონდო გულიაშვილი.**

## ღიმილის დოზა



ახლახან გავრცელდა ინფორმაცია, რომ მადონნას ქალიშვილობაში ერქვა ლუიზა ჩიკონე. ხალხი დაიშოკა: მადონნას თურმე ქალიშვილობა ჰქონია!

* * *

ერთხელ უყურადღებობის მიზეზით დაშნების მყლაპავმა ფიწალი გადაყლაპა და დოზის გადამეტების გამო გარდაიცვალა.

* * *

— ბონდი, ჯეიმს ბონდი!
— პუხი, ვინი პუხი!

* * *

10 წელიწადს ატარა უდაბნოში მოსემ ებრაელები. მიიყვანა ერთ ადგილზე და ეკითხება:
— მოგწონთ!
— არა, აქ ყარს!
კიდევ 10 წელიწადი ატარა და სხვა ადგილას მიიყვანა:
— აქ მოგწონთ?
— არა! აქაც ყარს!
იარეს ისევ, 20 წელიწადი იარეს და ახალ ადგილზე მივიდნენ.
— აქ მოგწონთ? — ჰკითხა მოსემ.
— აქ მოგვწონს, — უპასუხეს ებრაელებმა.
ახლა არაბებს აქვთ ნავთობი, ებრაელებს კი არავითარი სუნი არ აწუხებთ.

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.**

## ობიექტივშია ახალი წლის ღამე



ესპანეთის დედაქალაქში – მადრიდში შამპანურის „წვიმა“ მოდიოდა.



ტოკიოში კი ეს „მხატვარი“ ფრიად ორიგინალური ხერხით ხვდება მაიმუნის წელიწადს.

---

საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელობა და კოლექტივი სამძიმარს უცხადებენ ნუკრი და სპარტაკ ერგემლიძეებს

მამის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

---

მეუღლე მერაბი, შვილები ირაკლი, საბა, ტატო, შოთიკო, შვილიშვილი ნატალია ჯიშიაშვილები, მშობლები მედეა და შოთა, და-ძმა მაკა და ომარი სამუშიები, რძალი ნათია, მძახლები მატილდა და გია იოსელიანები, დეიდა ნელი შამათავა, მამიდები ტატიანა, ლენა სამუშიები, მულები ლეილა, მაგული ჯიშიაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნაილი შოთას ასული სამუშია

პანაშვიდი 4, 5 I, 4 სთ., დიდი დიღომი, III მ/რ, IV კორპ., II სად., V სართული. გამოსვენება 6 I, 2 სთ., საბურთალოს სასაფლაოს ამაღლების ეკლესიიდან.

---

ანჟელა გვათუა და დავით გვაძაბია ოჯახით სამძიმარს უცხადებენ ლია მარშავას და გურამ გვათუას დედისა და სიდედრის

დალი ბაბუნია-მარშავას

გარდაცვალების გამო.

---

ანზორ კვარაცხელია და დევის ნადირაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი მეგობარი

გიორგი (ჯემალ) ბესარიონის ძე ვიბლიანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გზების, ხიდების და გვირაბების მშენებლობის 1968 წლის (922 ჯგუფის) კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საგზაო სამსახურის ღვაწლმოსილი მუშაკი თბილისის სამგორის რაიონის საგზაო სამმართველოს უფროსი

გიორგი (ჯემალი) ბესარიონის ძე ვიბლიანი

და სამძიმრარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

დედ-მამა ციალა და გივი არდიები, შვილები ირაკლი და გიორგი, ძმა დათო არდია. მამიდები თინა, მზია და ნანა არდიები, დეიდები მარიცა, ზემფირა და ლეილა წახნაკიები, ბიძები მამანტი არდია და როლანდი წახნაკია, სიძეები შალიკო კვირკვია და გივი ბერძენიშვილი, ბიცოლები ია მადუა და ციცო მიქაია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ირმა გივის ასული არდია

პანაშვიდი 4, 5 I, 4 სთ., დაკრძალვა 6 I, 2 სთ., ნუცუბიძის პლატო, III მიკრორაიონი, IV კვარტალი, II კორპუსი, ბინა № 35.

---

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, ვახტანგ გელაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი რუსლან რუსია.
ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24. სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა – sakresp@gol.ge